ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 მარტი 2000 №55 (1077) | ფასი 50 თეთრი


# ეს აღარ იქნება!

## მანჩესტერ — ბაიერნის ფინალი გამოირიცხა



სარბიელის არქივიდან

ჩემპიონთა ლიგის დღემდე სალაპარაკო შარშანდელი ფინალი. სამუელ კუფური ტედი შერინგემს ვერ გადააფრინდა

ჯერ იყო, „ჩელსის“ „ბაიერნი“ შეხვდა, ორ წუთში კი, ასე არაო და, ლონდონელებს ბავარიელების ნაცვლად კატალონიელები არგუნეს... გუშინ უეფას შტაბ-ბინაში გამართული, ცოტა არ იყოს, უცნაური წილისყრის მთავარი შედეგი კი ისაა, რომ შარშანდელი ფინალი აღარ განმეორდება: მეოთხედფინალში გამარჯვება „მანჩესტერს“ და „ბაიერნს“ ერთმანეთს ნახევარფინალში გადაჰყრის.

იხილეთ მეხუთე გვერდი

### უეფას თასი

ნახევარფინალი

პირველი წრე

6 აპრილი

გალათასარაი თურქეთი — ლიდსი ინგლისი

არსენალი ინგლისი — ლანსი საფრანგეთი

მეორე წრე

20 აპრილი

ლიდსი ინგლისი — გალათასარაი თურქეთი

ლანსი საფრანგეთი — არსენალი ინგლისი

ფინალი 17 მაისი. კოპენჰაგენი

### ჩემპიონთა ლიგა

**მეოთხედფინალი**

4 აპრილი — პირველი წრე — 5 აპრილი

რეალი ესპანეთი –III– მანჩესტერი ინგლისი

პორტუ პორტუგალია –IV– ბაიერნი გერმანია

ჩელსი ინგლისი –I– ბარსელონა ესპანეთი

ვალენსია ესპანეთი –II– ლაციო იტალია

18 აპრილი — მეორე წრე — 19 აპრილი

ბარსელონა ესპანეთი –I– ჩელსი ინგლისი

ლაციო იტალია –II– ვალენსია ესპანეთი

მანჩესტერი ინგლისი –III– რეალი ესპანეთი

ბაიერნი გერმანია –IV– პორტუ პორტუგალია

**ნახევარფინალი**

2 მაისი — პირველი წრე — 3 მაისი

მეორე წყვილში გამარჯვებული — პირველ წყვილში გამარჯვებული

მესამე წყვილში გამარჯვებული — მეოთხე წყვილში გამარჯვებული

9 მაისი — მეორე წრე — 10 მაისი

მეოთხე წყვილში გამარჯვებული — მესამე წყვილში გამარჯვებული

პირველი წყვილში გამარჯვებული — მეორე წყვილში გამარჯვებული

ფინალი 24 მაისი. პარიზი

# ხვალ ან არასდროს!

ხვალ „ტორპედო“ — „დინამოა“. მატჩი, რომელსაც მოუთმენლად ელის მთელი საფეხბურთო საქართველო.

ახლა ან არასდროს! — ასეთი განწყობით დაუხვდებიან რიონისპირელები მეტოქეს.

ბრძოლა არაქათის გაცლამდე — ოთარ კორღალიძის შეგირდებს უკანდასახევი გზა არა აქვთ.

მოკლედ ვთქვათ: არ არის გამორიცხული, ქუთაისურმა დაპირისპირებამ საქართველოს მომავალი ჩემპიონიც შვას.

საქართველოს 11 ჩემპიონატი

### 4 ტური

| «ა» ზონა<br>26 მარტი, კვირა | «ბ» ზონა<br>26 მარტი, კვირა |
|---|---|
| ტორპედო<br>დინამო | სამგურალი<br>გორდა |
| ბათუმი<br>სიონი | ხობი<br>მერანი |
| იბერია<br>ვიტ ჯორჯია | თსუ<br>თბილისი |
| კოლხეთი<br>დილა | ლოკომოტივი<br>არსენალი |



REUTERS

წუხანდელი მილანური მატჩი ევროჩემპიონატებშიც გამორჩეული იყო. ანდრეი შევჩენკოს (მარცხნივ) მორიგი ორი გოლით „მილანმა“ იტალიის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი „იუვენტუსი“ 2:0 დაამარცხა. რუსეთის ჩემპიონატის გახსნის მატჩი კი იმით გამოირჩა, რომ ასეულობით გულშემატკივარი ერთმანეთს დაერია და არაერთი დასახიჩრდა კიდეც. თავად შეხვედრა ზაზა ჯანაშიას ერთადერთი გოლის წყალობით „ლოკომოტივის“ გამარჯვებით დამთავრდა.

წუხანდელი სხვა მატჩების შედეგები იხილეთ ბოლო გვერდზე

საქართველოს ჩემპიონატი — მეორე ეტაპი — 4 ტური

# ოქროს მომენტი

## ლაპარაკობს და უჩვენებს ქუთაისი



1999 წლის 9 მაისი. „ტორპედო“ — „დინამო“ 3:1. ქუთაისელთა მაშინდელი სიხარული

1999 წლის 9 მაისი, „დინამო“ ქუთაისს სტუმრობს და არწაგებით ზედიზედ მეათედ გაჩემპიონებას აპირებს. თბილისელთა მეათე ოქროს მომენტს 20 ათასი „ტორპედოს“ ქომაგი უნდა შეესწროს...

...დინამოელი მიხეილ აშვეთია ანგარიშს ათანაბრებს. კახა ჩხეტიანს ქუთაისელები კვლავ წინ გაჰყავს — 2:1.

სიგარეტი მომეცი, შვილო! — არ გინდა მამა, 6 თვეა, არ მოგიწევია. — ბევრს ნუ ლაპარაკობ, სიგარეტი მომეცი! — ხელები უცახცახებს ჭაღარა კაცს.

ასეთი კაცებით გაივსება ხვალ „ტორპედოს“ სტადიონი. საყვარელი კლუბის ერთგული და ბევრის მომსწრე გულშემატკივრები მოკალათდებიან ტრიბუნებზე.

1999 წლის 13 ნოემბერი. „ტორპედო“ მე-11 ეროვნულის პირველ ეტაპზე თსუ-ს მასპინძლობს. მატჩის დაწყებამდე ერთი პირტიტველა ბიჭი მეცნობა და „დინამოს“ შესახებ კითხვებს მისვამს. მერე პოლიციელებს დაინახავს და ოდნავ შეკრთება.

— არმიაში მიწევს გაწვევა. სტადიონზე სულ იმის შიში მაქვს, ხელი არ ჩამავლონ და პირდაპირ კომისარიატში არ წამაბრძანონ — მეუბნება ხმადაბლა — არა, კი წავალ ჯარში, მაგრამ „ტორპედოს“ რომ ვერ გავყვები თამაშებზე, რა მეშველება?!

ასეთი ბიჭებით გაივსება ხვალ ქუთაისის საფეხბურთო არენა. „ტორპედოზე“ ფანატურად შეყვარებული შმაგები შეესევიან ტრიბუნებს.

...და ხვალ, „დინამო“ მდევრის როლში ეწვევა ქუთაისს. მე-11 ეროვნულის ცენტრალურ და გადამწყვეტ მატჩში ლიდერი „ტორპედო“ საკუთარ კედლებში შეეცდება მარადი ჩემპიონის შემუსვრას. მეტოქის დარად წაფორხილების უფლება არ აქვთ დავით ყიფიანის შეგირდებს. წაგება სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნება ოთარ კორღალიძის „დინამოსთვის“, რომელიც დღეს საღამოს უხმაუროდ გაივლის ქუთაისს და წყალტუბოში დაბანაკდება. ზედიზედ სამ შეხვედრაში ვერმომგები და ვერგამტანი მარადი ჩემპიონი 16 მატჩში დაუმარცხებელ „ტორპედოს“ შეერკინება.

10 წელი ელოდა ქუთაისი ამ დღეს. ოქროს მომენტი აქამდე არასოდეს დასდგომია „ტორპედოს“. ისე, იმერეთისთვის უცხო არაა „დინამოს“ ჰეგემონიასთან გაბრძოლება. ხუთი წლის წინათ „სამტრედიამ“ სცადა ჩემპიონობა, მაგრამ ეს საპატიო ტიტული მხოლოდ გულშემატკივართა მხრიდან მიილო. „მორალური ჩემპიონები“ უწოდეს სამტრედიელ ფეხბურთელებს. მათგან ოთხი — ჭანტურია, ჯანაშია, იონანიძე და გოგიაშვილი დღეს „ტორპედოს“ ღირსებას იცავენ და ამბიციასთან ერთად ერთგვარი შურისძიებაც ამოძრავებთ.



2000 წლის 29 თებერვალი. „დინამო“ — „ტორპედო“ 1:0. ქუთაისელი დავით ჯანაშია (შუაში) ორი თბილისელის გაცდენას ცდილობს

ახლა „დინამო“ სულ სხვა გუნდია. მისი მაშინდელი მწვრთნელი დავით ყიფიანი ახლა ქუთაისელებს თავკაცობს. ყიფიანის „დინამო“ ყოველთვის უხერხული მეტოქე გახლდათ იმერლებისთვის. ყიფიანმა კარგად იცოდა, როგორ უნდა ეთამაშებინა გუნდი „ტორპედოს“ წინააღმდეგ, ხვალ კი საპირისპირო მოქმედება მოუწევს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ სუპერფინალში „დინამოსგან“ დამარცხება მხოლოდ განუახლებელი სეზონის ბრალი იყო და კიდევ ტორპედოელთა სუსტი ფსიქოლოგიური განწყობისა. თავადაც აღიარა პრესკონფერენციაზე, ეტყობა, ბიჭები ფსიქოლოგიურად სათანადოდ ვერ მოვამზადეო. ხვალინდელ მატჩში სწორედ სუპერთასზე „ტორპედოს“ ძლევა რჩება ოთარ კორღალიძის „დინამოსთვის“ უპირატესობის ერთადერთ ფაქტორად. დანარჩენი კი მასპინძელთა მხარეს იხრება. სამწლიანი შემადგენლობა, დაუმარცხებლის იმიჯი, ერთგულ ქომაგთა არმია და მისგან უდიდესი მხარდაჭერა, აუხდენელ ოცნებასთან ჯერარნახული მიახლოება — ეს ყველაფერი „ტორპედოს“ წისქვილზე ასხამს წყალს.

გუნდები ოპტიმალური შემადგენლობებით გავლენ მოედანზე. სიურპრიზი შეიძლება მხოლოდ ფეხბურთელთა განლაგებაში ვიხილოთ. სწორედ ასე მოიქცა 9 მაისს „ტორპედოს“ მაშინდელი მთავარი მწვრთნელი ჯემალ ხერხაძე. მარჯვენაფლანგელი ბადრი ახვლედიანი რატი ალექსიძეს გაარიდა და მარცხენა ფრთაზე გადაიყვანა. ეს ნაბიჯი „დინამოსთვის“ მოულოდნელი აღმოჩნდა. ისე, იმ შეხვედრაში მასპინძლებმა პირწმინდად მოუგეს სტუმრებს.

სათამაშო მოედნის საფარი იდეალურ მდგომარეობაში დაუხვდებათ გუნდებს, არც მაყურებელთა სიმრავლე მოაკლდებათ და მწვრთნელმა და ფეხბურთელმა მეტი რა უნდა ინატროს. ხვალინდელ ქუთაისურ მატჩს ისეთი ინტრიგა ახლავს, ბარე მთელ სეზონს ეყოფა. საათნახევრიანი ოქროს მომენტი დადგება „ტორპედოს“ სტადიონზე და აფერუმ მის ვაჟკაცობას, ვინც ამ მომენტს სათავისოდ გამოიყენებს.

26 მარტს, ალბათ, მთელი საფეხბურთო სამყარო ეწვეოდა ქუთაისს, მაგრამ კალენდარი არ იძლევა ამის საშუალებას.

ხვალ კიდევ შვიდ ქალაქში გაგორდება ბურთი. ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი „ბათუმი“ ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლებს და არა მგონია, ქულის დაკარგვა დაუშვას. „ლოკომოტივის“ თასის ნახევარფინალში გასვლამ „ა“ ზონაში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა. რკინიგზელებმა თასის დაუფლება რომ მოახერხონ, მაშინ მესამეადგილოსანი მხოლოდ ინტერტოტოს საგზურს გამოჰკრავს ხელს.

თასის გათამაშების მიღმა დარჩენილი „ვიტ ჯორჯია“ სამტრედიაში ითამაშებს. „იბერიას“ თავი ქუდში აქვს, მაგრამ საკუთარ კედლებში პრესტიჟის დაცვაზე ზრუნავს. უამბიციო გუნდის ფეხბურთელების სენია, ყოველთვის ძლიერის წინააღმდეგ გამოიჩინონ თავი და საკუთარ კარიერის წარმატებით შეცვლაზე იბრძოლონ. ჰოდა, მოინდომებენ იბერიელები, ფინანსურად წელგამართულ ვიტელებს თამაშით თავს მოაწონებენ და ვინ იცის, ეგებ ყოფილი თანაგუნდელი სევასტი თოდუას დარად ვეტერინართა რიგებში მოხვდნენ მომავალში. ასე რომ, სტუმრებს იოლ გამარჯვებას ნამდვილად ვერ ვუწინასწარმეტყველებთ „ეროსი მანჯგალაძეზე“.

„ა“ ზონის მეოთხე შეხვედრა ფოთში შედგება. „კოლხეთი“ ახლა ისეა გამწარებული, როგორც არასდროს. მათი ჩამოწერა ნაადრევია. „ფაზისზე“ მისული ქომაგი ნამდვილად მოგებული დარჩება. ბევრი გოლი და მასპინძელთა გამარჯვება, ასეთად ჩანს ამ მატჩის პროგნოზი.

„ბ“ ზონის ლიდერი „ლოკომოტივი“ აუტსაიდერ „არსენალს“ მიიღებს. თუ რამ სიბრალულის გრძნობა არ მოერიათ მასპინძლებს, ჩათვალეთ, რომ არმიელები ზედიზედ მეოთხედ დამარცხდებიან.

თსუ — „თბილისის“ მცხეთური შეხვედრა უდავოდ ამ ზონის ცენტრალურ მატჩად უნდა მოინათლოს. თუ „ლოკომოტივს“, „მერანს“ და „გორდას“ „ბ“ ზონაში პირველი სამეულის განაწილების რეალური შანსები აქვთ, მეოთხეადგილოსნობის პრეტენდენტებად თსუ და „თბილისი“ ითვლებიან. სწორედ მათ ურთიერთშეხვედრაში მოეფინება ბევრ რამეს ნათელი და თუ ქუთაისში ვერ წაბრძანდებით, გირჩევთ, მცხეთას მაინც ეწვიოთ.

ხობსა და წყალტუბოში აღმავლობის გზაზე მდგარნი — „მერანი“ და „გორდა“ სტუმრობენ. თუ ზედა ოთხეულში მასპინძლებს რაიმე ცვლილებების შეტანა სურთ, ქულაც არ უნდა გამოატანონ მეტოქეებს, რაც ძალიან გაუჭირდებათ.

განსაკუთრებულ ინტერესს „სამგურალისა“ და „გორდას“ მატჩი იწვევს. რუსთაველები — სანდრო ბურნაძე და გია კილასონია შარშან წყალტუბოელთა გუნდში ირიცხებოდნენ და მათთვის იოლი არ იქნება „26 მაისზე“ „სამგურალის“ წინააღმდეგ თამაში, თუმც რას იზამ, ასეთია ფეხბურთელის ბედი.

და მაინც, სეზონის შეხვედრა „ტორპედო“ — „დინამო“ თავისი ინტრიგით ყველაფერს ჩრდილავს. ოქროს მომენტი დგება „ტორპედოზე“ და იმედია, საქართველოს ტელევიზია გაითვალისწინებს ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესს. იმედია, საქენერგოც შეეშველება პირველ არხს და ხვალ, 15 საათზე, გაისმება ცისფერი ეკრანებიდან — ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს და უჩვენებს ქუთაისი...

**ხვიჩა სანიკიძე**

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 24 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | დინამო | 3 | 0 | 3 | 0 | 0:0 | 0 | 20 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 19 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 | სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 17 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 5 | ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:0 | 6 | 17 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 6 | კოლხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 14 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 7 | იბერია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:12 | -10 | 12 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | -11 | 0 |
| 8 | დილა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 16 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 | გორდა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 6 | 15 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 4 |
| 11 | მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 15 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 |
| 12 | თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 14 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 13 | თბილისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 14 | ხობი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 15 | სამგურალი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | -2 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 16 | არსენალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 16 - იონანიძე | ტორპედო |
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| 10 - გ. კილასონია | გორდა |
| 9 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 7 - მეგრელაძე | ტორპედო |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| ხორგუაშვილი | დილა |
| 6 - რუსია | ლოკომოტივი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 4 ტური

ანონსი

## «ა» ზონა

ქუთაისი. „ტორპედო". 26 მარტი. 15 საათი

### ტორპედო — დინამო

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

ბათუმი. „დინამო". 26 მარტი. 15 საათი

### ბათუმი — სიონი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგავა (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი
დისკვალიფიცირებულნი: თარგამაძე (ბათუმი), თ. სამხარაძე (სიონი)

ფოთი. „ფაზისი". 26 მარტი. 15 საათი

### კოლხეთი — დილა

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა სამტრედია); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: გ ჩიტაია, დავითნიძე (კოლხეთი)

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე". 26 მარტი. 15 საათი

### იბერია — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: მუმლაძე (იბერია)

## «ბ» ზონა

მცხეთა. „არმაზი". 26 მარტი. 15 საათი

### თსუ — თბილისი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი:. არავინ

თბილისი. „ეროვნული". 26 მარტი. 15 საათი

### ლოკომოტივი — არსენალი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. ნონიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: კვარაცხელია (ლოკომოტივი), ე. ალადაშვილი (არსენალი)

წყალტუბო. „26 მაისი". 26 მარტი. 15 საათი

### სამგურალი — გორდა

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: გაბელაია (გორდა)

სენაკი. „ეგრისი". 26 მარტი. 15 საათი

### ხობი — მერანი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ო. ხეცაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: არავინ



თსუ-ს მწვრთნელი თენგიზ კაცია



ზურაბ დოლიძისა (მარცხნივ) და თამაზ ლაცაბიძისთვის აწ უკვე სანანებელი ეპიზოდი: „ვიტ ჯორჯიას" გოლი არ ჩაუთვალეს

# თანამსაჯმა ბრძოლა წააგო

## თავის თავთანაც და სიმართლესთანაც

მსაჯების ცოდვა-უცვედოლობაზე წერა პირველად არ გვიწევს, მაგრამ შეცდომაცაა და შეცდომაც. ფეხბურთში შავოსნის ამა თუ იმ გადაბრუნებულ ნაბიჯს, უდროო დროს ჩასტვენას თუ დროშის უადგილოდ აწევ-არაწევას ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელი შედეგი მოსდევს. ზუსტად ვერ ვიხსენებ, ჩვენში ასე რამდენჯერ გადაბრუნებიათ ფეხი მსაჯებს. პატარ-პატარა, ეპიზოდურ შეცდომებს არ ვგულისხმობ, ამისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ როცა მატჩის განმსჯელის სავალალო ნაბიჯით განსაკუთრებულად ზარალდება გუნდი, ეს უკვე სულ სხვაა. მსაჯის მოქმედებას ასეთი შედეგი რომ მოჰყვება, ამას თავისი სახელი მოეძებნება — შეცდომა, რომელმაც გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე...

თბილისი. 22 მარტი. საქართველოს თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი — „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯია"... კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ მატჩის კულმინაციური მომენტი: „ვიტ ჯორჯიამ" მორიგი იერიში წამოიწყო. ლაშა ნოზაძემ ბურთი დავით დიღმელაშვილს მიაწოდა. მან თავის მხრივ გიორგი ქორიძეს გაუჭრა. მცველი შეცდა, ქორიძე მარჯვნიდან მიუახლოვდა მასპინძელთა კარს და ძლიერად დაარტყა. ბურთი, ალბათ, კარს ასცდებოდა, მაგრამ მას მელქაძემ მიუსწრო, ცაცია მოიქნია და რკინიგზელთა კარის ბადეც შეირხა. ვეტერინარები სიხარულის მორევში გადაეშვნენ. მთავარმა მსაჯმა თამაზ ლაცაბიძემ გოლი დააფიქსირა და მოედნის ცენტრისკენ დაიძრა. გვერდითმა ზურაბ დოლიძემ ორიოდ წამს იყოყმანა და ალამი აღმართა. ლაცაბიძემ დოლიძეს დაუჯერა — თამაშგარე მდგომარეობა..." „სარბიელი", 23 მარტი.

ვიდრე სათქმელს გავაგრძელებდე, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ზემოთ აღნიშნულ ეპიზოდზე იმ მატჩზე მყოფი „სარბიელის" ჟურნალისტის აზრს — „...თანამსაჯ დოლიძის გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი მეპარება. არ ჰგავდა ის მომენტი თამაშგარეს. მელქაძემ საჯარიმო მოედნის სიღრმიდან მიუსწრო ქორიძის დარტყმულ ბურთს."

ბუნებრივია, ეს ინციდენტი რეაგირების გარეშე სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმაც არ დატოვა, წინასწარვე გეტყვით, რომ კომიტეტისთვის დაზარალებულ მხარეს (ანუ „ვიტ ჯორჯიას") პროტესტით არ მიუმართავს (ან კი რა აზრი ჰქონდა). ამ ფაქტის საფუძვლიანი შესწავლა თავად ანატოლი მილჩენკომ (ზემოთ ნახსენები კომიტეტის ხელმძღვანელმა) დააყენა დღის წესრიგში და შედეგად გუშინ სფფ-ში სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის საკონტროლო-საკონფლიქტო კომისიის სხდომა ჩატარდა, სხდომა, რომლის გადაწყვეტილებაც ასეთია — „არბიტრის ასისტენტმა ზურაბ დოლიძემ შეხვედრის 42-ე წუთზე არ ჩათვალა მელქაძის წესების სრულად დაცვით გატანილი გოლი. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის სადისციპლინო კოდექსის თანახმად, ზურაბ დოლიძეს მიეცეს დისკვალიფიკაცია ერთი კალენდარული თვით. მატჩის არბიტრს თამაზ ლაცაბიძეს კი მიეცეს გაფრთხილება". კომისიის ნაყოფიერი სამუშაო დღის აქტივში ითვლება ისიც, რომ „საკონტროლო-საკონფლიქტომ" დააკანონა — „შეცდომების განმეორების შემთხვევაში ზემოთ ხსენებული მსაჯების მიმართ გატარდება კოდექსით გათვალისწინებული უფრო მკაცრი ზომები".

ასე ვაჭმევთ სამართალს პურს ჩვენში. დოლიძის და ლაცაბიძის დასჯა ვერაფერი ნუგეშია სათასო ბატალიებს ჩამოშორებული „ვიტ ჯორჯიასთვის" — ეს გუნდი ხომ პრაქტიკულად უსამართლოდ გაიწირა. აქვე ერთი კითხვაც მიჩნდება (გნებავთ, ეჭვიც დაარქვით ყოველივეს) — „ლოკომოტივის" ფაქტორმა ხომ არ ითამაშა გადამწყვეტი როლი ზემოთ ნახსენები მსაჯების შეცდომებში? იქნებ არცოდნით არ მოსვლიათ შეცდომები დოლიძეს და ლაცაბიძეს? ცოტა ხმამაღლა ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, ჩემი მოსაზრების გასამყარებლად რამდენიმე არგუმენტს მოვიყვან. 1. 12 მარტის თსუ — „ლოკომოტივის" მატჩის დროს გვერდითმა მსაჯებმა გამოგონილი ხელოვნური თამაშგარეებით ტირილამდე მიიყვანეს ახალგაზრდა თსუ-ელები. მაშინაც „ლოკომოტივის" სასარგებლოდ შესცოდეს შავოსნებმა — რკინიგზელებმა 1:0 იმარჯვეს. 2. ეჭვის საფუძველს დოლიძის მოქმედებაც მაძლევს — ლაცაბიძემ რკინიგზელთა კარში გატანილი გოლი დააფიქსირა, გვერდითი მსაჯი კი ამ დროს ჭოჭმანობდა, უჭირდა გადაწყვეტილების მიღება და ორიოდ წამის შემდეგღა აღმართა ალამი. იქნებ თავის თავს ებრძოდა ამ ორი წამის განმავლობაში დოლიძე? თუ ასეა, ვერ უბრძოლია კარგად შავოსანს. 3. ეს არგუმენტი კი ძირითადად სფფ-დან გამოსულ ხმებს ემყარება — ხომ დარჩა „ლოკომოტივის" ახალი სარბიელი აუშენებელი, თუ ამ გუნდმა თასი ვერ აიღოო. და ერთიც, ქარელელი ასკაროლლი გემახსოვრებათ — ყვიროდა ეს კაცი „ლოკომოტივი" — „დინამოს" მატჩის წინ, რკინიგზელთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ფურცელი შემომაჩეჩა ხელშიო, იქნებ დღესაც არის ასეთი ხალხი რკინიგზულ კლუბში. ისე, ასკაროლლიზე... მისმა შეცდომამაც იქონია გავლენა მატჩის საბოლოო შედეგზე (გეხსომებათ, „ლოკომოტივი" — „დინამოს" გახმაურებული სკანდალი) და ეს კაცი დღესაც იხვეწება, დისკვალიფიკაცია მომიხსენითო (სამი კალენდარული თვით მოკვეთეს ეროვნული ჩემპიონატიდან), ანალოგიური (უფრო მძიმე თუ არა) შეცდომისთვის კი დოლიძეს მხოლოდ ერთი თვე აკმარეს. გაფრთხილება ჩვენში რასაც ნიშნავს, კარგად გეცოდინებათ და გადარჩენილია თამაზ ლაცაბიძე, არადა, მისი შეცდომაც თვალნათელია. პირვანდელი, სამართლიანი გადაწყვეტილება შეცვალა და ასისტენტის შეცდომა გაიმეორა.

აი, ასეთი ამბებია ჩვენს ფეხბურთში. ანატოლი მილჩენკოს კი თავის დამშვიდებისთვის ბრძნულ ქართულ შეგონებას გავახსენებთ — მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა.

**პაატა ქვანტალიანი**

# აშვეთია დღეს ითამაშებს
## ტრანსფერი გაგზავნილია

გუშინ საღამოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიხეილ აშვეთიას ნება დართო, ვლადიკავკაზის „ალანიაში" ითამაშოს. ფედერაციამ რუსეთის საფეხბურთო კავშირსა და ფიფაში ფეხბურთელის დროებითი, ორკვირიანი ტრანსფერი გააგზავნა. „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ დოკუმენტურ მასალებს ეყრდნობა და ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, აშვეთიას დროებით განთავისუფლების ფურცელს აძლევს. დაინტერესებულ მხარეებს ორკვირიანი ვადა აქვთ მოსალაპარაკებლად". აი, ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ფეხბურთის ფედერაციამ. „ალანიამაც" არ დააყოვნა და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა კლუბებისგან განაცხადების მიღება 21 მარტს შეწყვიტა, აშვეთია მაინც განაცხადა. ქართველი თავდამსხმელიც ალბათ, დღესვე ითამაშებს მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, აშვეთიას ჯერჯერობით მხოლოდ უახლოეს ორ კვირაში ჩატარებულ მატჩებში მონაწილეობის უფლება აქვს. მერე კი... დანარჩენი თბილისის „დინამოს" დირექტორატზეა დამოკიდებული. „დინამოს" პრეზიდენტობის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა რომან შოთაძემ, რომელმაც დასაჯა აშვეთია და სწორედ ამის გამო ატყდა ერთი ამბავი მის „ალანიაში" ტრანსფერის თაობაზე, და დირექტორატის სხვა წევრებმა თუ საერთო ენა გამონახეს, ფედერაციას საწინააღმდეგო არაფერი ექნებაო, გვითხრა გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ და დაამატა, იმედი მაქვს, ასეც მოხდებაო. შოთაძემ და კომპანიამ თუ მოილაპარაკეს, მაშინ ფედერაცია რუსეთში აშვეთიას იმდენწლიან ტრანსფერს გააგზავნის, რა ხნითაც ფეხბურთელმა „ალანიაში" უნდა ითამაშოს.

ქობა ინასარიძე

# ყაველაშვილი იაშვილმა შეცვალა. ჯანაშიამ კი გაიტანა

ისრაელის ქალაქ აშქელონში 29 მარტის ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ შემადგენლობას საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა ორი ფეხბურთელიც დაამატეს. 27 მარტს აღთქმულ მიწაზე ჩარტერული რეისით ჩაფრენილებს სხვა ლეგიონერებთან ერთად ისრაელში, ქვარ სავას „ჰაპოელში" მოთამაშე გიორგი დარასელია და იქვე, პირველი ლიგის ლიდერ ჰულონის „ცაფრირის" მცველი გოჩა ქოქოშვილიც დახვდებათ. ისინი თუ არ ითამაშებენ, ნაკრებთან ერთად მაინც ივარჯიშებენ.

გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ებრაელებთან მატჩისთვის ალბათ, ზაზა ჯანაშიაც მოემზადება, ყოველ შემთხვევაში, მან მტკივანი ფეხი მოიმუშა და გუშინ რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „ლოკომოტივს" ცესკასთან გატანილი გოლით მოაგებინა.

ჯანაშიასთან განსხვავებით, 29 მარტს გამორიცხულია „ციურიხის" თავდამსხმელის, მიხეილ ყაველაშვილის თამაში. ის ნაკრების მწვრთნელებს თავად შეეხმიანა — დაშავებული ვიყავი, ვარჯიში ორიოდ დღეა, რაც განვაახლე და სასურველ ფორმაში არ ვარო, ძოძუაშვილმა და ყიფიანმა ყაველაშვილის შემცვლელზე ბევრი არც უფიქრიათ, ნაკრებში „ფრაიბურგის" თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი მიიწვიეს.

ქობა ინასარიძე

# მაკლიში ნემსაძეს არ შორდება

შოტლანდიაში, „ჰიბერნიან" — „კილმარნოკის" ახალგაზრდული გუნდების მატჩში გიორგი ნემსაძემ „ჰიბერნიანში" 40 წუთი რომ ითამაშა და მერე მწვრთნელმა შეცვალა, ამის თაობაზე 23 მარტის „სარბიელშიც" ვწერდით. იქვე, ედინბურგელი გუნდის თავკაცის ალექს მაკლიშის ნათქვამსაც წაიკითხავდით, შოტლანდიურ გაზეთ „დეილი რეკორდში" რომ გამოქვეყნებულიყო.

გუშინ კი ალექს მაკლიშს ჩვენვე დავუკავშირდით და ნემსაძის შესახებ ერთი-ორი სიტყვა ვთხოვეთ.

— ქართველი ჩინებული ფეხბურთელია. ტაქტიკურად ნორმალურად აზროვნებს, ტექნიკურია და რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, ჯანიანია, ფიზიკურად კარგად არის მომზადებული. ის „ჰიბერნიანის" ახალგაზრდულ გუნდში ვათამაშე, ტაიმი დასრულებული არც იყო, მეტოქემ ფეხში ჩაარტყა და შევცვალეთ, თუმცა ეს დროც საკმარისი გახლდათ ნემსაძის შესაძლებლობებში დავრწმუნებულიყავი. როგორც გიორგიმ მითხრა, საქართველოს ნაკრები 29-ში ისრაელში თამაშობს და ახლა, დიდი სურვილი მაქვს, იმ მატჩს დავესწრო. ერთხელაც დავაკვირდები ნემსაძეს და „ჰიბერნიანის" ხელმძღვანელებს ჩემსას ვეტყვი. კონტრაქტის პირობები მათთან არის შესათანხმებელი.

ამ ინფორმაციას რომ წაიკითხავთ, გიორგი უკვე თბილისში იქნება, ოთხშაბათს კი ნაკრებს ისრაელში გაჰყვება.

ქობა ინასარიძე

# სადაც სოსო, იქაც ვასო
## გიგიაძეების ყველა გზა სამტრედიაში მიდის



ვასო გიგიაძე

საკმაოდ შორი და მომქანცველი გამოდგა ტყუპი გიგიაძეების წლევანდელი ოდისეა პოსტსაბჭოურ სივრცეში. ყველაფრის თავი და თავი კი ის გახლდათ, რომ სოსოს და ვასოს საქართველოში მაღალ დონეზე თამაშის საშუალება არ მიეცათ. ჯერ იყო და სამტრედიის „იბერიის" ამბიციები ისტორიას ჩაბარდა, მერე თბილისის „დინამომ" ინათხოვრა ძმები იმერული კლუბიდან, მაგრამ ტყუპებს ხშირად მინდორზე გარჯის ნაცვლად სათადარიგოებში ჯდომა უწევდათ და ბუნებრივია, ისეთი გუნდის მოძიება გადაწყვიტეს, სადაც პირობებთან ერთად სათამაშო პრაქტიკაც ექნებოდათ.

თავდაპირველად უკრაინულ „კრივბასში" აღმოჩნდნენ ტყუპები და უნდა ითქვას, რომ კმაყოფილნიც დარჩნენ იქაური სიტუაციით. კრივოი როგში პირობებიც მშვენიერი შესთავაზეს გიგიაძეებს, გუნდიც ამბიციური დახვდათ და კრივბასელებსაც მშვენივრად შეეწყვნენ. თითქოს გიგიაძეთა „კრივბასში" ჩარიცხვა ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ საქმეში მისი უდიდებულესობა ყისმათი ჩაერია და...

სოსო და ვასო, თავიანთგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩამოშორდნენ უკრაინულ კლუბს.

ამის შემდეგ გიგიაძეთა გეოგრაფიულ რუკაზე ახალი წერტილი — მახაჩყალა აციმციმდა. ყაბარდო-ბალყარული კლუბი წლეულს რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადმოვიდა და, ბუნებრივია, სათადარიგო სკამის დაგრძელებას მიჰყო ხელი. გიგიაძეებიც იმ ფეხბურთელთა მარაქაში მოხვდნენ, ვისაც „ანჟისთვის" ახალი სისხლი უნდა გადაესხა.

ფეხბურთელების ახლობელთა ცნობით, „ანჟი" საკმაოზე მეტად სოლიდური გუნდი აღმოჩნდა. ოთხ მილიონ დოლარზე მეტი წლიური ბიუჯეტი, რუს და უცხოელ ფეხბურთელთა ოსტატობის ნორმალური დონე, მშვენიერი ყურადღება რესპუბლიკის მესვეურებიდან და პერსპექტიული ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ისიც, რომ მახაჩყალელთა მწვრთნელი გაჯიევი პატივს სცემს და სწყალობს ქართველებს.

წინასასეზონო შეკრება ტყუპებმა „ანჟისთან" ერთად გაიარეს. შეკრების შემდეგ გაჯიევმა გულახდილად მიანიშნა სოსოს, რომ მისი ამპლუის ფეხბურთელები ისედაც საკმაოდ ჰყავდა და, რა ჩარა იყო, სოსო სამტრედიის „იბერიას" დაუბრუნდა.

თითქოს ტყუპების გზა გაიყო, სოსო სამშობლოში დაბრუნდა, ვასო კი ახალ გუნდში დარჩა. მან ორიოდე საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა, თავი საგოლე პასებითაც გამოიჩინა და გაჯიევიც კმაყოფილი დატოვა თავისი მომზადების დონით.

თითქოს რუსეთის უმაღლეს ლიგაში კიდევ ერთი ქართველის გამოჩენას აღარაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ სეზონის დაწყების წინ „ანჟიმ" თავისი ფეხბურთელების განაცხადი გამოაქვეყნა და... მათში ვასო გიგიაძე ვერ მოვიძიეთ.

სიტუაციაში გასარკვევად „სარბიელი" „იბერიის" მთავარ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს დაუკავშირდა და მისგან შემდეგი მოისმინა — ვასო ამჟამად მოსკოვშია და მკურნალობს, როცა დაასრულებს, სამტრედიაში ჩამოვა და სანამ რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდება, „იბერიის" ღირსებას დაიცავს, მერე კი კვლავ მახაჩყალაში ჩავა და „ანჟისთან" ხელშეკრულებას გააფორმებს.

მკითხველისთვის ნათელია, რომ ვასო გიგიაძის გაანჟელებას ტრავმამ შეუშალა ხელი, რომელიც ჯერ კიდევ „კრივბასში" ყოფნისას მიიღო — წელი გაუცივდა, ტკივილები ჰქონდა და ვერაფრით მოირჩინა.

ასეა თუ ისე, გიგიაძეები კვლავ ტყუპად არიან. ამას ჰქვია, ყველა გზა რომში, უკაცრავად, სამტრედიაში მიდისო.

ლუკა თალაკვაძე



# დიალოგი აქტუალურ თემაზე

ხე ცალი მხრიდან არ იჭრება, ბიძიკო. არ შეიძლება ახლა მივდგეთ და ვიძახოთ — რახან ფეხბურთელების გადინება ფეხბურთს არ უხდება, დავკეტოთ საზღვრები და არავინ გავუშვათო. მასე სადაა, ძმაო და შვილო, მასე უტუ მიქავას დროს არ იყო. კი, ბატონო, გეთანხმები, არც მთლად მტყუანია ის ხალხი, ვინც ჩვენი ბიჭების უცხოეთში წასვლას უშლის ხელს, მაგრამ ხელის შეშლამდე, კეთილი ინებე და შემიქმენი პირობები, დამაინტერესე, დაადე ფასი ჩემს ნამოქმედარს და, რა იცი, გაგიგო ეგება. მეთანხმები ხომ?

ვერ გვაქვს საქმე აწყობილი ისე, რომ არ წავიდნენ ჩვენი ფეხბურთელები. შე დალოცვილო, თუკი სხვა ორს მაძლევს, შენ ერთი მაინც ხომ უნდა მომცე, რომ თავი და ოჯახი ვირჩინო, არაა მარტო ქართველობაზე და დინამოელობაზე ეს ცხოვრება აწყობილი და რა გინდა, რომ ქნა. მშიერი ვის გაუძლია, ფეხბურთელმა რომ გაძლოს.

არც ისე შიათო, მეუბნები. კი, გეთანხმები, ფეხბურთელს იმდენი კი აქვს დღეს, რომ ნამეტანი არ გათელოს ცხოვრებამ, მაგრამ რომ ხედავენ, უკეთ შეუძლიათ მომავლის მოწყობა, იმიტომ იქაჩებიან საზღვრებს გარეთ, ბიძიკო. არაა წესიერი კაცის საქმე სხვის ჯიბეში ფულის თვლა, ძმიშვილო, მარა რა ხდება იცი? აგერ, გუშინ შენს გვერდით მორბენალი შენი ტოლი ბიჭი რომ გააკეთა ამ ფეხბურთმა, შენც გინდა პატარა რამეს შეავლო ხელი, ასე არაა? მით უმეტეს, მუშტარიც გახვევია, მეტს მოგცემ, მეტად დაგაფასებთო, გეუბნებიან და ძნელია უარის თქმა ასეთ დროს.

ცხოვრება ბედაურია, ბიძიკო, თეთრი ბედაური. კაცები კი ურმით მივჩანჩალებთ და მაგარი მოწადინება გინდა, ურმიდან ბედაურზე რომ მოასწრო გადაჯდომა. ზოგი ახერხებს, ზოგი ვერა და აქედან გამომდინარე, ზოგს ყისმათას ეძახიან, ზოგს უყისმათოს. ჩვენებზე რა გითხრა და აგერ ანელკას მაგალითს მოგიყვან — რაა ახლა ვითომ ეგ ანელკა იმისთანა, რომ აამტუტა მთელი მსოფლიო, რამდენიც გინდა, იმდენია მაგისთანა და მაგაზე უკეთესი, მაგრამ ყველა კი ვერ იღებს კვირაში 55 ათასს.

უნდა მოუწერონ ხელი, უნდა მოუწერონ, ძმიშვილო, ულაპარაკოდ. გულზე ხელი დავიდოთ ორივემ და ალალად ვთქვათ — ჩვენს ფეხბურთში ეგ ბიჭები ველარ გაიზრდებიან, ამოწურეს უკვე თავისი თავი, ახლა მეტი სივრცე სჭირდებათ, სხვა გასაქანი.

ჩვენი ფეხბურთი რას მაგონებს იცი, ბიძიკო? საბავშვო ბაღს. ჰო, ჰო, რას იცინი, საბავშვო ბაღს, გივლია ხომ? ე, იმ საბავშვო ბაღის მოწაფეებივით არიან ქართველი ფეხბურთელები. ბაღის ასაკიდან რომ გამოვლენ, სკოლა უნდათ, ბიძია, უნდათ, აბა არ უნდათ. მაგ სკოლამდე კი ბევრი გვიკლია ჯერ, ეწყინოს ეგება ვინმეს მარა, ასეა და რა გინდა, რომ ქნა.

სკანდალი? არაფერი სკანდალი და რუზრუზი არ სჭირდება ამ საქმეს, ბიძია. ტრანსფერია და ტრანსფერი, მორიგდებიან როგორმე, ფულის საქმე არ არის? კი, კი, ფულშია საქმე, თორემ რა გახდა ერთი ფეხბურთელის გუნდიდან გუნდში გადასვლა. სასკანდალოა ახლა ეგ? ისე კი მიკვირს, ძმაო და შვილო, ამდენი ხმაური რომ მოყვა ამ საქმეს, ძველი კუდები ხომ არ მოსდევს ამ საქმეს, თუ იცი? კაი, კაი, არ იცი და არ გესმის ხომ, ასე ვარ მეც.

ბიჭი კი წავა, ბიძიკო, უსათუოდ წავა, ვინ დაუდგება წინ, მაინცდამაინც ევროპელობა კი არაა საჭირო, კაცმა თავისი სურვილით რომ მიიღოს გადაწყვეტილება. ხმაურს რაც შეეხება, არ სჭირდება ფეხბურთელს ასეთი ალიაქოთი, ბიძიკო, ნათესავების, ძმაკაცების საქმე ნათესაობა და ძმაკაცობაა, ამ დონემდე ფეხბურთის დაყვანა არ შეიძლება. პარლამენტიო? ამაში კი ვეთანხმები იმ ხალხს, ძმიშვილო, თუკი დაბლა ვერავინ ვერაფერი გაგირკვია, უნდა ჩაიცვა რკინის ქალამანი და სადღაც მაინც უნდა მიხედო შენს საქმეს, სულ არა აქვს მნიშვნელობა, პარლამენტი იქნება ის თუ ბუნდესტაგი. ა, ეს მინდოდა მეთქვა, ბიძიკო, არსაქნელი არ იქნებისო, ხომ გაგიგია, მდინარე ალმა ვის წაუყვანია, ჩვენში რომ წაიყვანონ, ჯერ ასე გვაქვს საქმე, ჩვენი მდინარეები გაედინებიან გარეთ და მომავალში რა იქნება, ვინ იცის.

კონსტანტინე გოგიშვილი



მიხეილ აშვეთიამ თავისი გაიტანა

# უამრავი ამბიცია და გულთმისანი ესპანელები

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალი აღარ განმეორდება. უეფას შტაბ-ბინაში გამართულმა წილისყრამ ყველაფერი ამთავითვე განსაზღვრა: „მანჩესტერ იუნაიტედს“ მეოთხედფინალში მეტოქედ მადრიდის „რეალი“ ერგო, „ბაიერნს“ — „პორტუ“, ხოლო შემდეგ ისეა დალაგებული, რომ მანჩესტერელებმა და მიუნხენელებმა მეტოქეებს რომ აჯობონ, ერთმანეთს ნახევარფინალში გადაეყრებიან.

მაშ ასე, „იუნაიტედი“ — „რეალი“. თასის ახლანდელ მფლობელს ამავე ჯილდოს შვიდგზის ალმპყრობი ხვდება. ისტორიის დავთრები გვატყობინებს, რომ ეს გუნდები აქამდე ორჯერ დაპირისპირებიან ერთმანეთს. პირველად ეს 1956-57 წლების სეზონში მოხდა, როდესაც ინგლისური გუნდისთვის ევროშეჯიბრება ახალი ხილი იყო, ხოლო „რეალი“ პირველი გათამაშების გამარჯვებული გახლდათ. იმხანად უძლეველმა მადრიდულმა კლუბმა ნახევარფინალური წინააღმდეგობა ორ მატჩის ჯამში 5:3 დასძლია და ფინალში გავიდა, სადაც, ისევე როგორც ზედიზედ კიდევ სამი წლის განმავლობაში, გაიმარჯვა და ჯილდო ალმართა. მეორედ „იუნაიტედისა“ და „რეალის“ გზები 1967-68 წლების შეჯიბრებაში გადაიკვეთა. ამჯერად ბრიტანელებმა იძალეს (ორი შეხვედრის ჯამში 4:3) და ფინალში გავიდნენ, სადაც „ბენფიკა“ დაამარცხეს. ამრიგად, თუ ნიშნებს ვენდობით, ახლანდელი მეოთხედფინალის გამარჯვებული თასის მფლობელი უნდა გახდეს, მაგრამ ეს ერთობ რთული საქმე იქნება, რადგან, როგორც ზევით მოგახსენეთ, მას ნახევარფინალშივე ძალიან ძლიერი მეტოქე ელის: „ბაიერნ“ — „პორტუს“ შორის გამარჯვებული... თუმცა მის დასახელებას ნუ ვიჩქარებთ და კენჭისყრის დამსწრე „რეალის“ პრეზიდენტს, ლორენსო სანსს მოვუსმინოთ:

„ძალიან კმაყოფილი გახლავართ. ერთმანეთს ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებული ხვდება. ამაზე დიდი შეხვედრების წარმოდგენა კი ძნელია. თანაც, ნება დამრთეთ საკუთარი წინასწარმეტყველება გავიმეორო: ფინალი ესპანური იქნება, „რეალი“ — „ბარსელონა“.

მანჩესტერელთა მხრივ ცერემონიალს არცთუ მაღალი რანგის ჩინოვნიკი, მდივნის ასისტენტი კენ რამსდენიც ესწრებოდა. მან განაცხადა: „ერთმანეთს ევროპული ფეხბურთის ისტორიაში დიდი და წარმატებული კვალის დამტოვებელი კლუბები შევხვდით. ჩვენ ბუმბერაზი ტრადიციები და ძველი ქიშპი გვაკავშირებს, თუმცა 1968 წლის მერე ერთმანეთისთვის ძალა აღარ მოგვისინჯავს. კაცმა რომ თქვას, ჩვენ „ჩელსისთან“ არ გვინდოდა შეხვედრა და რაკი ავცდით, კმაყოფილი გახლავართ.“

რამსდენის ნათქვამს მისმა უშუალო შეფმა, მდივანმა კენ მერეტმა დაამატა: „ჩემი აზრით, ფანტასტიკური წყვილია, ბრწყინვალე... „რეალთან“ საგანგებო ურთიერთობა გვაქვს და სიამოვნებით გავეჯიბრებით. მადრიდელები ჩვენი ისტორიის ნაწილს წარმოადგენენ. 1968 წლის ნახევარფინალებს რა დამავიწყებს.“



REUTERS

ნაკენჭისყრევს: „რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი (მარცხნივ) და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მდივანი კენეტ მერეტი

როგორც ხედავთ, ამბიცია არც ერთს აკლია. ერთის პრეზიდენტი მეოთხედფინალშივე ფინალზე ფიქრობს და იქაურ მეტოქეს ირჩევს, მეორე კი კენჭისყრაზე მდივანს და მდივნის ასისტენტს აგზავნის...

როგორც „რეალის“ პრეზიდენტმა მოგვახსენა, სულაც არ არის გამორიცხული ფინალში ერთმანეთის პირისპირ ესპანური გუნდები წარსდგნენ, ოღონდ ამის ორი ვარიანტია: „რეალი“ — „ბარსელონა“ ან „რეალი“ — „ვალენსია“. ჩვენი მხრივ დავძინოთ, რომ მონონაციონალური ფინალის არც მეორე, ინგლისური ვარიანტია გამორიცხული: „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ჩელსი“. მითუფრო, რომ „ჩელსის“ მეოთხედფინალში „ბარსელონასთან“ უწევს თამაში, ანუ შეუძლია ესპანური ფინალის ალბათობა შეამციროს.

„ჩელსის“ დირექტორი კოლინ ჰაჩისონი: „კენჭისყრამ თავიდან „ბაიერნს“ შეგვახვედრა, მერე კი გარემოებათა გამო გამოცვალეს და „ბარსელონა“ გვარგუნეს. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ჩვენ უმაღლესი კლასის შეჯიბრებაში ვმონაწილეობთ? იოლი თამაშები არ არსებობს. მართალია, ჩვენს წყვილში ფავორიტად „ბარსელონას“ მიიჩნევენ, მაგრამ „ჩელსი“ ნახევარფინალს უმიზნებს.“

„ბარსელონას“ დირექტორი ამადორ ბერნაბეუ: „ლონდონელების შესახებ ყველაფერი ვიცით, თან იქ ჩვენი ყოფილი ფეხბურთელი ალბერტ ფერერი თამაშობს. ძნელი მატჩები გველის, თუმცა მწამს, ფინალი ესპანური იქნება.“

მაშ ასე, „ბარსელონას“ ბანაკშიც ესპანური ფინალისა სწამთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუძინებელი შინაური მტრის, „რეალის“ იქ მოხვედრაში ეჭვი არ ეპარებათ, ხოლო მეორე გუნდად საეჭვოა, საკუთარ თავს კი არა, „ვალენსიას“ მიიჩნევდნენ.

„ჩელსი“ კატალონიელებს 1966 წელს, ბაზრობათა თასის ნახევარფინალში შეხვედრია, სადაც 2:2-ის მერე მეტოქე 5:0 ჰყავს დამარცხებული.

ახლა კი დავუბრუნდეთ „ბაიერნს“, რომელიც „პორტუს“ უნდა ეთამაშოს და რომელზეც ზემოთ შევწყვიტეთ საუბარი. გახსოვთ ჩემპიონთა თასის 1984 წლის ფინალი? მაშინ სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და პორტუგალიელებმა 2:1 მოიგეს. იმ მატჩში „ბაიერნის“ დღევანდელი ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე მონაწილეობდა.

„1987 წელს ფავორიტები გახლდით, მათ კი 2:1 მოგვიგეს. არადა, გვეგონა თასი ჩვენ დაგვრჩებოდა. ძალიან კარგია, რომ ახლა შურისძიების საშუალება გვეძლევა“ — განაცხადა დიდმა ფორვარდყოფილმა.

კენჭისყრამ ერთი სიურპრიზიც შემოგვთავაზა: წლეულს ნახევარფინალში უეჭველად იქნება გუნდი, რომელიც ადრე ამ ეტაპზე არასდროს ყოფილა — „ლაციოსა“ და „ვალენსიას“ შორის გამარჯვებული.

„უკმაყოფილონი არ გახლავართ, თუმცა მეტოქედ ძალიან კარგი გუნდი გვერგო. და მაინც, „ლაციოს“ ნახევარფინალში გასასვლელად ყველა პირობა აქვს“ — აი, ასე შეაფასა მდგომარეობა რომაელთა პრეზიდენტმა მასიმო კრანიოტიმ.

შეგახსენებთ, რომ „ლაციო“ ის გუნდია, ამასწინათ „ჩელსის“ მშობლიურ „სტემფორდ ბრიჯზე“ 42 წლიან ისტორიაში ჩემპიონთა თასზე პირველი თამაში რომ მოუგო.

ბაბუნა ძედია

## ფეხბურთის რუბრიკიდან



ესპანური მადრიდის „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი უგო სანჩესი მექსიკური „უნამის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. იგი 1980-იან წლებში მექსიკის ნაკრებისა და „რეალის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ფეხბურთელი გახლდათ. „უნამის“ ხელმძღვანელობამ სანჩესის გამოცდილება გაითვალისწინა და მას მთავარი მწვრთნელობა შესთავაზა. გუნდი ამჟამად მცირე კრიზისს განიცდის და 10 შეხვედრიდან მხოლოდ 12 ქულა აქვს.

გერმანელმა ნახევარმცველმა იენს იერემისმა მიუნხენის „ბაიერნთან“ მიმდინარე კონტრაქტი 2003 წლამდე გაახანგრძლივა. ფეხბურთელი ერთობ წარმატებულად თამაშობს და გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი წევრია. მის გადაბირებას სეზონის ბოლოს „ფიორენტინა“ ცდილობდა, მაგრამ ახალმა შეთანხმებამ ეს ვარაუდი საბოლოოდ გააქარწყლა. აღსანიშნავია, რომ იერემისი „ბაიერნში“ „მიუნხენ 1860“-დან სწორედ „ფიორენტინას“ ამჟამინდელი თავკაცის, ჯოვანი ტრაპატონის დაჟინებით მოხვდა — „ბაიერნს“ მაშინ ხომ სწორედ ტრაპატონი ავარჯიშებდა. ნახევარმცველმა კლუბთან თითქმის ყველა პირობა შეათანხმა, უახლოეს დღეებში იგი ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს.

იტალიელი ნახევარმცველის, სტეფანო ფიორეს გადაბირებას სეზონის ბოლოს რომის „ლაციო“ ეცდება. „უდინეზეს“ ფეხბურთელით კიდევ რამდენიმე წამყვანი იტალიური კლუბი, მათ შორის, „ინტერი“, „რომა“ და „მილანიც“ დაინტერესდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი მოახერხებს ფიორეს დაყოლიებას. „ლაციომ“ „ფიორენტინას“ მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს შეძენაც მოისურვა, თუმცა ფლორენციულ კლუბს მასთან ოფიციალური მოლაპარაკება ჯერჯერობით არ დაუწყია.

გერმანელი მცველი თომას ბერთოლდი „შტუტგარტის“ მწვრთნელ რალფ რანგნიკის კრიტიკისთვის 7,5 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ვეტერანმა ფეხბურთელმა თავკაცის ტაქტიკური სქემები დაიწუნა, რაც არ ეპატია და დაისაჯა კიდეც. „შტუტგარტი“ წლეულს საშუალო დონეზე ასპარეზობს და ბუნდესლიგის გათამაშების ცხრილის შუა საფეხურებზე იმყოფება.

ესპანელი მცველი ფერნანდო იერო ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში, „რუსენბორგთან“ მატჩში დაშავდა და შეცვალეს. ექიმების ცნობით, მადრიდის „რეალის“ კაპიტანს კუნთი დაეჭიმა და ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს, ხოლო თუ სარეაბილიტაციო კურსმა წარმატებით ჩაიარა, მოედანზე, ალბათ, სამ კვირაში გავა. სამეფო კლუბს ნორვეგიელებთან მატჩამდე კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე — ფერნანდო მორიენტესი გამოაკლდათ. მასაც კუნთი დაეჭიმა, თუმცა, ალბათ, იეროზე ერთი კვირით ადრე გამოჯანმრთელდება.

დანიურმა „ბრონდბიუმ“ „ლივერპულის“ მცველი სტიგ ინგე ბიორნებიუ სამი თვით ითხოვა. სააგენტოების ცნობით, დანიელებმა კონტრაქტის პირობების გახმაურება არ ისურვეს. ნორვეგიის ნაკრების წევრი, 30 წლის ბიორნებიუ „ლივერპულში“ 1992 წელს ტრონჰეიმის „რუსენბორგიდან“ გადავიდა, თუმცა ბოლო ხანს გუნდის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვეღარ ხვდებოდა. „ბრონდბიუს“, რომელიც გათამაშების ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება, დანიის ჩემპიონობა განუზრახავს. გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ბიორნებიუს გამოცდილება მათ დიდად წაადგებათ.

გერმანიის ბუნდესლიგის აუტსაიდერმა „დუისბურგმა“ მთავარი მწვრთნელი ფრიდჰელმ ფუნკელი თანამდებობიდან გაათავისუფლა. გუნდის ხელმძღვანელობა აშკარად უკმაყოფილო დარჩა მისი მოღვაწეობით. მთავარი მწვრთნელის მოვალეობას სეზონის ბოლომდე ფუნკელის თანაშემწე ზეპო აიხკორნი შეასრულებს. 46 წლის ფუნკელი „დუისბურგს“ 1996 წლიდან წვრთნიდა. გუნდი ბუნდესლიგის გათამაშების ცხრილში უკანასკნელ ადგილზეა და მეორე დივიზიონში დაქვეითების აშკარა საფრთხე ემუქრება. აინტრახტელი იორგ ბერგერისა და დორტმუნდელი მიხაელ სკიბეს შემდეგ ბუნდესლიგაში მიმდინარე სეზონში მესამე მწვრთნელი მოხსნეს.

ნორვეგიელმა თავდამსხმელმა იონ კარეუმ „ვალენსიასთან“ წინასატრანსფერო შეთანხმება გააფორმა. ესპანელები „რუსენბორგს“ 8 მილიონ დოლარს გადაუხდიან. გაზეთ „მარკას“ ცნობით, ნორვეგიელი ფორვარდი „ვალენსიაში“ სეზონის ბოლოს 5 წლით გადაბარგდება. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა კარეუს გადაბირებას დორტმუნდის „ბორუსიაც“ ლამობდა, მაგრამ ვერ შეძლო. სავარაუდოდ, ზაფხულში ესპანურ კლუბს არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი დატოვებს. იგი მომავალი სეზონიდან ალბათ „ლაციოში“ ჩაირიცხება.


LEVON TRAVEL

ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
- ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45


# ფიფა და სოკი დაზავდნენ

სიდნეის ოლიმპიურმა თამაშებმა, რომელიც 13 სექტემბერს იწყება, ფიფას გვარიანი პრობლემა შეუქმნა. შეგახსენებთ, რომ თვის დასაწყისში ზეპ ბლატერი და ხუან ანტონიო სამარანჩი ერთმანეთს შეხვდნენ. მათი საუბრის თემა ოლიმპიადაზე წამსვლელ ფეხბურთელთა კლუბებიდან განთავისუფლების საკითხი გახლდათ.

ცნობილია — სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ფეხბურთში მსოფლიოს თუ კონტინენტთა ჩემპიონატები ოლიმპიადაზე მეტს ნიშნავს. ამიტომაც კლუბებმა პროტესტი გამოთქვეს, სექტემბერში ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები იწყება და სიდნეიში გასაშვები მოთამაშეები სადა გვყავსო. ფიფამაც მათი მხარე დაიკავა. ამასაც თავისი ახსნა აქვს. მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად ფიფა ფეხბურთელებს კლუბებიდან თოთხმეტი დღით ადრე ათავისუფლებს, მაგრამ რაკილა ოლიმპიური თამაშები მათი ეგიდით არ ტარდება, მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურებმა ამ წესის დარღვევა განიზრახეს. ზეპ ბლატერის წინადადება ასეთი გახლდათ — ფეხბურთელებს სანაკრებო სამზადისისთვის მხოლოდ ხუთი დღე უნდა დათმობოდათ. თუმცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გაჯიუტდა და საბოლოოდ კომპრომისული ვარიანტი მიიღეს — ათი დღე.

ეს გადაწყვეტილება გუშინ გახდა ცნობილი. როგორც ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენრუფინენმა განაცხადა, მხარეები მიღწეული შედეგით კმაყოფილნი არიან.

UEFA CUP

# ნუმას ცრემლები

## უეფას თასი. მეოთხედფინალი. მეორე წრე

**სლავია (ჩეხეთი)**

2:1 (0:3)

**ლიდსი (ინგლისი)**

0:1 კიუელი (47), 1:1, 2:1 ულიხი (52, 79პ)
სლავია: ჩერნი, კოზელი, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი (ლერხი 58), სკალა, ჰისკი, კოლერი, ტ. დოშეკი (რ. ვაგნერი 58), კუჩარი (ვოზაბალი 85), ზელენკა
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰაალანდი, რადებე, ჰარტი, ვუდგეიტი, მაკფაილი, ბაკე, კიუელი, ბრიჯისი (ა. სმიტი 50), ჯონსი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
13 460 მაყურებელი

„სლავიამ“ პრაღაში „ლიდს იუნაიტედს“ 2:1 მოუგო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში 2:4 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა. ნახევარფინალში ინგლისური გუნდი მოხვდა. „ლიდსი“ მიმდინარე სეზონში აშკარა პროგრესს განიცდის, პრემიერლიგის გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა და ევროთასებზეც საკმაო წარმატებებს მიაღწია.

ლიდსელებმა „სლავიას“ თავიდანვე შეუტიეს და პირველ 30 წუთში ანგარიშის გახსნა არაერთხელ შეეძლოთ, მაგრამ სტეფან მაკფაილმა და ჰარი კიუელმა გოლის გატანის რეალური შანსები ვერ გამოიყენეს. ავსტრალიელმა ფორვარდმა ჰარი კიუელმა 48-ე წუთზე მაინც მოახერხა თავის გამოჩენა, იმავე მაკფაილთან გათამაშებული კომბინაცია ზუსტი და ძლიერი დარტყმით დააგვირგვინა და ანგარიში გახსნა.

„სლავიამ“ ხუთ წუთში გაათანაბრა — ნაიჯელ მარტინის კარი ახლო მანძილიდან ივო ულრიხმა დალაშქრა და წონასწორობა აღადგინა. 79-ე წუთზე ულრიხმა დუბლიც შეასრულა — მისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა, თუმცა ამ გოლმა მასპინძლებს ვერ უშველა.

„ლიდსის“ თავკაცი დევიდ ოლირი მატჩის შემდეგ ცუდ ხასიათზე იყო: „ცუდია, რომ წავაგეთ. იმედია, ამ შეცდომას მომავალში გავითვალისწინებთ. იმდენი შანსი ვერ გამოვიყენეთ, რომ ბოლოს დავისაჯეთ. ასე ნამდვილად არ შეიძლება“.

მწვრთნელის მოსაზრება გაიზიარა გოლის ავტორმა ჰარი კიუელმა, რომელიც წლეულს აშკარად წარმატებულ სეზონს ატარებს: „წაგებამ ნამდვილად გაგვაოცა. როცა გასახდელს მივაშურეთ, აღარც გვახსოვდა, რომ ნახევარფინალში მოვხვდით, „სლავია“ ნამდვილად კარგი გუნდია, ბრძოლა შეუძლია და დაამტკიცა კიდეც. თუმცა, წაგების მიუხედავად, ჩვენი მიღწევა ნამდვილად საამაყოა. ბევრი ვიშრომეთ, ნახევარფინალში რომ გავსულიყავით. იმედია, ფინალშიც მოვხვდებით“.

„სლავიას“ თავკაცმა ფრანტიშეკ ჩიპსომ განაცხადა, რომ მისი გუნდის ბედი ერთი კვირის წინ ლიდსში გადაწყდა: „მომდევნო ეტაპზე ასპარეზობა „ლიდსმა“ წინა ხუთშაბათს გაინაღდა, როცა შინ 3:0 დაგვამარცხა. დღევანდელ შეხვედრაში ჩვენი პრესტიჟი უნდა დაგვეცვა. მოხარული ვარ, რომ ეს მოვახერხეთ, საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ მოვიგეთ, თანაც თავიდან ხომ 0:1-ს ვაგებდით. ლიდსში 0:2 რომ წაგვეგო, დარწმუნებული ვარ, დღევანდელ მატჩს მეტი ინტრიგა ექნებოდა“.

REUTERS ბრემენიდან



ვერდერი — არსენალი 2:4. ლონდონელთა კაპიტანმა ტონი ადამსმა (№6) ბრემენელი აილტონიააყირავა

**ვერდერი (გერმანია)**

2:4 (0:2)

**არსენალი (ინგლისი)**

0:1, 0:2 პარლოუ (8, 25), 1:2 ბოდე (41), 1:3 ანრი (59), 2:3 ბოგდანოვიჩი (60), 2:4 პარლოუ (70)
ვერდერი: ფ. როსტი, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ტრარესი (ბოგდანოვიჩი 46), ვიდნერი, ფრინგსი, აილტსი, ა. ჰერცოგი, ბოდე, პიზარო, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ადამსი (პეტი 63), ლუჟნი, სილვინიო, ლიუნგბერგი, ვიეირა (უინტერბერნი 77), პარლოუ, გრიმანდი, კანუ (ოვერმარსი 71), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაძევება: ანრი (64)
მსაჯი: კიმ მილტონ-ნილსენი (დანია)
31 400 მაყურებელი

ლონდონის „არსენალმა“ „ვერდერი“ ბრემენშიც დაამარცხა 4:2, ორი მატჩის ჯამში კი 6:2 სძლია და გათამაშების ნახევარფინალში სავსებით დამსახურებულად მოხვდა. საპასუხო მატჩის წინ ბევრი ფიქრობდა, რომ გერმანელები ინგლისელებს არაფერს დაუთმობდნენ, ბოლომდე იბრძოლებდნენ და ლონდონში განცდილ მარცხს ბრემენში სასიკეთოდ შეატრიალებდნენ. ამის მთქმელებს საფუძველიც ჰქონდათ — გუნდმა ხომ გათამაშების წინა ეტაპზე „ლიონსა“ და „პარმას“ მოუგო.

თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ბრემენელებს „არსენალთან“ არაფერი გამოუვიდათ, მეტიც, საკუთარ კედლებში 2:4 წააგეს და ნახევარფინალის მიღმა დარჩნენ. ლონდონურმა კლუბმა კი დამაჯერებელი სვლა განაგრძო, ოთხ საუკეთესოს შორის მოხვდა და უეფას თასის მოგების ყველაზე რეალური კანდიდატია.

„არსენალს“ სულაც არ ეტყობოდა, რომ სტუმრად თამაშობდა, პირიქით, უპირატესობას ფლობდა და „ვერდერზე“ გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნა, აქედან ოთხი ზუსტად გამოიყენა. თავი გამოიჩინა რეი პარლოუმ, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა და მეოთხე გოლშიც ლომის წილი დაიდო — ტიერი ანრის ზუსტი საგოლე პასი მიაწოდა და ფრანგს „ვერდერის“ კარის დალაშქვრა აღარ გასჭირვებია. აღსანიშნავია, რომ ანრი 64-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს — იგი მაიკ ბარტენს ეუხეშა და მსაჯისგან უმალ მიიღო წითელი ბარათი.

ლონდონელთა თავკაცმა არსენ ვენგერმა არბიტრი გააკრიტიკა. მისი თქმით, ტიერი ანრი წითელ ბარათს ნამდვილად არ იმსახურებდა და მაქსიმუმ ყვითლით უნდა დასჯილიყო. „ჩვენ ნახევარფინალში მოვხვდით და არ მინდა, დიდი აყალმაყალი ავტეხო, მაგრამ, ჩემი აზრით, ნილსენი შეცდა, როცა ტიერი ანრი დასაჯა — განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა — ვერ გამიგია, რატომ უჩვენა მან ანრის წითელი“.

მართლაც, ვენვერს ქვეყანა არ შეუყრია და მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ძირითადად მატჩზე ისაუბრა. „ნამდვილად ლამაზი საღამო იყო. მოხარული ვარ, რომ ნახევარფინალში გავედით. თავიდანვე შემტევი ტაქტიკა ავირჩიე, ისეთი პრემიერლიგაში რომ ვიყენებთ. ევროთასებზეც იგივე მსურდა, კარგია, რომ გაგვიმართლა და ბიჭებმა ოთხი გოლი გაიტანეს“.

„ასეთ მკაცრ სასჯელს, ალბათ, არ ვიმსახურებდი — ამბობს თავად ფრანგი ფორვარდი — ამას ვიდეოჩანაწერიც დაამტკიცებს, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. მიხარია, რომ ნახევარფინალში მოვხვდით, ჩვენ ამის ღირსნი ვიყავით“.

**გალათასარაი (თურქეთი)**

2:1 (4:1)

**მალიორკა (ესპანეთი)**

1:0 კაპონე (31), 2:0 ჰაქან შუქური (47), 2:1 კარლოსი (63)
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, ბიულენთი, ერგუნი, ოკანი (მეჰმეთი 77), აჰმეთი, ჰაჯი, ფათიჰი, ჰასან სასი, არიფი (ჰაქან უნსალი 66), ჰაქან შუქური (მარსიო სანტოსი 85)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, სერისუელა, სივიერო, კარერასი, ნადალი, ნოვო (ი. სტანკოვიჩი 70), იბაგასა (ჯოკაი 70), ანტონიო რუისი, რობლესი, კარლოსი (დიეგო ტრისტანი 64)
მწვრთნელი: მარიო გომესი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
30 000 მაყურებელი

სტამბოლელებმა „მალიორკასთან“ 2:1 მოგების შემდეგ ისე გაიხარეს, თითქოს ნახევარფინალში გასვლა ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე არ გაენაღდებინოთ. გამოეფინენ თურქები ქალაქში, დაიწყეს მაშხალების სროლა და ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვიროდნენ: „მაშალა გალა“.

თამაში კი... „გალათასარაის“ შეეძლო, მშვიდად ყოფილიყო და თუგინდ 0:3 წაეგო, მაგრამ სხვაგვარად მოხდა. ჯერ ბრაზილიელმა კაპონემ მიიღო პასი გეორგე ჰაჯისგან და კარისკენ დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა, მერე კი ბადეში გაეხვია. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ჰაქან შუქურმა მეორედ დალაშქრა ესპანელთა კარი.

მალიორკელებს ახლა ოთხი გოლიც რომ შეეგდოთ, საქმეს ვერ შველოდა, მაგრამ თავი გამოიდეს და ერთი ბურთი მაინც გაქვითეს. ეს კარლოს დომინგესმა გაახერხა.

თურქებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს. ისინი ხომ 1989 წლის შემდეგ ევროთასის ნახევარფინალში არ გასულან. თუმცა ნახევარფინალი რაა, თასი უნდა ავიღოთო, იმუქრება ფათიჰ თერიმი, „გალათასარაის“ მწვრთნელი: „ამ შეხვედრაში ათიოდე ჩინებული მომენტი შევქმენით, მაგრამ მხოლოდ ორჯერ გავიტანეთ. გარწმუნებთ, მომდევნო მატჩებში უფრო მეტსაც მივაღწევთ. ჩვენი მიზანი თასია. ნუთუ არ დადგა დრო, რომ თურქულმა კლუბმაც იზეიმოს დიდი გამარჯვება. სისულელეა იმაზე საუბარი, რომ უბრალოდ ბედი გვწყალობს. ჩვენი წარმატების საიდუმლო სხვა რამ გახლავთ. კერძოდ, საკუთარი თავის რწმენა, ბრძოლისუნარიანობა და მუხლჩაუხრელი მუშაობა. დამეთანხმებით, რომ სხვაგვარად არაფერი გამოვა“.

მალიორკელთა თავკაც მარიო გომესს კი რაღა ეთქმოდა. ის თავის მართლებას შეუდგა: „გალათასარაი“ ჩინებული, კარგად ორგანიზებული გუნდია. დაცვის ხაზიც ძალიან ძლიერი აქვს და კონტრშეტევებზეც საუკეთესოდ თამაშობს. თურქებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. ცხადია, საწყენია, რომ დავმარცხდით. თუმცა საპასუხო მატჩში მოგება არც დაგვისახავს მიზნად — აზრი არ ჰქონდა, რადგან შინ დიდი ანგარიშით წავაგეთ. ახლა ყურადღებას ესპანეთის პირველობაზე გადავიტანთ. შაბათს „ვალენსიასთან“ ურთულესი შეხვედრა გველის და კარგად უნდა მოვემზადოთ“.

**ლანსი (საფრანგეთი)**

2:1 (0:0)

**სელტა (ესპანეთი)**

0:1 რევივო (57), 1:1 ისმაელი (63პ), 2:1 ნუმა (73)
ლანსი: ვარმუზი, პიერ-ფანფანი, ისმაელი, კუენდრუ, კოლი, ნიარკო, ბლანშარი, ბრუნელი, დაკურტი, სახო, ნუმა
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
სელტა: პინტო, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი, მაკელელე, ჯოვანელა, ველასკო, გუსტავო ლოპესი (ჰუგენდორპი 75), კარპინი, რევივო, ბენი მაკკარტი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)
41 649 მაყურებელი

ესპანელებს იმითღა შეუძლიათ თავის დამშვიდება, რომ ჩემპიონთა ლიგას ამ ქვეყნის სამი კლუბი შემორჩა — უეფას თასის ნახევარფინალში სხვები ითამაშებენ.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ფრანგულ „ლანსსაც“ ასე დაემართა. კლუბი, რომელიც ევროტურნირების მეოთხედფინალშიც კი არასდროს გასულა, უცბად ნახევარფინალისტი გახდა.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, 57-ე წუთზე, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. 20 მეტრიდან რევივომ საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა. თუმცა „ლანსს“ ესპანელთა მძლეველის სახელი ჰქონდა დაგდებული (წინა წრეში „ატლეტიკო“ დაამარცხა) და წაგებას არ აპირებდა.

პირველი გოლიდან ექვსი წუთის შემდეგ ხუანფრანმა საკუთარ საჯარიმოში ლამინ სახო წააქცია. ინგლისელ არბიტრ პოლ დარკინს არ უყოყმანია — პენალტი დანიშნა და ისმაელმა წონასწორობა აღადგინა.

ესპანელებს გული დიდად არ დასწყვეტიათ, რადგან ნახევარფინალში გასასვლელად ეს ანგარიშიც ჰყოფნიდათ. მათ ნერვიულობა ცოტა მოგვიანებით, 73-ე წუთის შემდეგ დაეტყოთ, როდესაც ფილიპ ბრუნელის პასით პასკალ ნუმამ ახლო მანძილიდან მეორე შეაგდო.

აქედან მოყოლებული სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, თუმცა ფრანგთა მეკარეს, ჟილიომ ვარმუზის სასახელოდ უნდა ითქვას — ის უშეცდომოდ ირჯებოდა.

მატჩის შემდეგ ცრემლმორეულმა ნუმამ განაცხადა: „რაღა დავმალო, ნახევარფინალში გასვლას არ ველოდი. დაუჯერებელი რამ მოხდა. დღევანდელი დღე ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესია. გატანილი გოლი კი მინდა, თანაგუნდელებს და ქომაგებს მივუძღვნა“. ნუმას სიტყვებს ვარმუზმა ესღა დაუმატა: „ჯადოსნური საღამოა“.

ზემოთ ვთქვით, მადა ჭამაში მოდისო. ფრანგთა მწვრთნელის ფრანსუა ბრისონის ნათქვამიც ამის დასტურია. კაცი, რომელიც ადრე ამბობდა, ჩვენთვის მეოთხედფინალში გასვლაც უდიდესი წარმატება გახლავთო, ახლა აცხადებს: „წინ ვიყურებით. დღევანდელი თამაში გვარწმუნებს, რომ უფრო მეტის მიღწევაც ძალგვიძს“. უშუალოდ მატჩის მსვლელობაზე კი ბრისონმა შემდეგი თქვა: „ბოლო ჩვიდმეტი წუთი უაღრესად ნერვიულად წარიმართა. დიდი შანსი იყო, რომ ვიგოელებს ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ გავძელით. ჩვენმა ფეხბურთელებმა საკუთარ თავს აჯობეს“.

REUTERS ლანსიდან



ლანსი — სელტა 2:1. პასკალ ნუმამ სიხარულისგან ბევრი იტირა

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### მისტერ სუნის ვერსია

რახან ისე გადაწყვიტეთ, რომ გასული შაბათის სვეტში გაგაცანით მალაიზიელი იატაკქვეშა ბიზნესმენი, მისტერ სუნი კუალა ლუმპურიდან (მალაიზიის დედაქალაქია), რომელიც მთელი მსოფლიოს ტოტალიზატორია, ფსონებს წერს და კვირაში ასამდე თამაშის შედეგს უკვეთავს ევროპის კლუბებს, აუცილებლად უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

მოგეხსენებათ, გუშინ, შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა. პლანეტის საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების წილისყრა (უეფას თასი მეორეხარისხოვანი შეჯიბრია, რადგან „იუვენტუსი“ გავარდა). რა დასამალია და ეს სვეტი წილისყრის დაწყებამდე ოროდე საათით ადრე იწერება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ გოგია მესვეტემ თავის ტფილელ ძმაბიჭ-გარკვეულთაგან დანამდვილებით შეიტყო მისტერ სუნის მიერ ჩატარებული წილისყრის ამბავი. თუ გოგია მესვეტეს ძმაბიჭებს ვერწმუნებით, მისტერ სუნს ხუთშაბათსავე შეუდგენია ჩემპიონთა ლიგის თავისი განრიგი, აუღია თავისი მობილური და მსოფლიო ფეხბურთის მაფიაში გაუვრცელებია, ისე მოახერხეთ, რომ გუნდები ჩემი ვერსიით დაწყვილდნენო.

მისტერ სუნს სადამდეც მობილური მიუწვდა, კი გასცა ბრძანება, მაგრამ მისმა ვერსიამ თბილისამდე როგორ ჩამოაღწია, ვერ მოგახსენებთ. საფიქრებელია, რომ ჩვენს ქალაქში, სადაც ყველაზე უკეთ იცნობენ მისტერ სუნის აზროვნების სტილს, მისი ვერსია ლოგიური და დედუქციური აზროვნებით ამოიცნეს.

მოკლედ, მისტერ სუნის კენჭისყრა ამგვარია:

„ბარსელონა“ ხვდება „ჩელსის“. ამ შემთხვევაში მისტერ სუნი ორივე გუნდს გვარიან განსაცდელს უმზადებს, თუმც კი შეეცდება საქმე ისე მოაკვარახჭინოს, რომ ნახევარფინალში „ბარსა“ გაიყვანოს. ამ წყვილის შერჩევისას მისტერ სუნი იმას ცდილობდა, რომ „ბარსა“ „ვალენსიასა“ და „რეალისთვის“ აეცილებინა, რადგან შიდაეროვნული თამაშები მხოლოდ ჩემპიონატებში უყვარს. სამაგიეროდ, „ვალენსიას“ მოწინააღმდეგედ გაუმწესა „ლაციო“. სწორედ ის გუნდი, სადაც გაისად ითამაშებს ვალენსიელთა დროებითი კაპიტანი კლაუდიო ლოპესი. ოჰ-ოჰ-ო, თქვენ არ იცნობთ მისტერ სუნს... იგი ფინალისკენ მიათრევს შარშანდელ ფინალისტს, მიუნხენის „ბაიერნს“, რომელსაც მოწინააღმდეგედ „პორტუ“ შეურჩია. მეოთხე წყვილს კი თავადაც მიხვდებოდით. „მანჩესტერსა“ და „რეალზე“ მისტერ სუნი ყოველთვის ცუდი გულის იყო. პირველს ამ სეზონში ორჯერ დაუგვიანა თამაშის დასაწყისი — ერთხელ ტრასაზე „პრობკა“ გააჩერა, მეორედ „ოლდ ტრეფორდზე“ შუქი წაახდინა და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ სერ ალექსი მისტერ სუნის წარმომადგენლებს არ უჯერებს. „რეალი“ რამდენჯერმე დაპირდა რამეებს და სისუსტის გამო ვერ შეუსრულა (თუნდაც „როზენბორგთან“ ფრე ვერ მოახერხა). ამიტომ, მისტერ სუნი ფიქრობს, ამ ჩაშვებულ წყვილში, თავში ქვა იხალონ, ნახევარფინალიდან მივხედავო.

არ ვიცი, ვნახოთ, ორ საათში კენჭისყრა იწყება და იქ გამოჩნდება, სადამდე წვდება მისტერ სუნის კლანჭები. თქვენ კი შაბათ დილით შეადარებთ ერთმანეთს სუნის და უეფას კენჭისყრის შედეგებს.

# ხან გარემარბი, ხან ნახევარმცველი

***რამდენჯერ უნდა დაიწეროს, რომ უელსელი ვარსკვლავი რაიან გიგზი სინამდვილეში უელსელი სულაც არ არის? ის ინგლისელია, რომლის მამაც დედას ცუდად ეპყრობოდა და ვაჟმა მამისა ყველაფერი უარყო, ეროვნება, გვარი... მაგრამ დღეს ამაზე სულაც არ არის საუბარი, ქვემოთ რაიან გიგზი ახლანდელ ამბებზე მოგვითხრობს.***



რაიან გიგზი

**— რაიან, თქვენი ბოლოდროინდელი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— დღეს საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, ხოლო მოთამაშის ასეთი განწყობა მოედანზეც აუცილებლად აისახება. მიმდინარე სეზონში ტრავმების მხრივაც გამიმართლა — იშვიათად მიწევს ექიმთან მისვლა და ამიტომაც მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვარ, რაც თავის მხრივ კარგ ფორმაში ყოფნას განაპირობებს. ბოლო ხანს ხალხისგან სულ უფრო ხშირად მესმის, რომ ჩინებულად ვთამაშობ, მაგრამ ქებას ყურადღებას არ ვაქცევ და ვცდილობ მონაგარს მეტი და მეტი გოლი დავამატო. ვარჯიშებზეც დღენიადაგ ხარვეზების გამოსწორებას ვცდილობ.

**— შესძლებს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის ურთულესი გზის ბოლომდე გასვლას?**

— მართალია მეოთხედფინალში გავედით, მაგრამ გეთანხმებით, წინ გრძელი და ძალიან რთული გზაა. თან მოწინააღმდეგეებად ევროპის უძლიერესი გუნდები შემოგვრჩნენ, მაგრამ ჩვენც გვაქვს ერთი უპირატესობა — გამოცდილება. ასეთ სიტუაციაში ადრეც ვყოფილვართ და ამიტომ ჩვენს ფეხბურთელებს ზეწოლის გაძლების უნარი გამოუმუშავდათ. გარდა ამისა, რამდენადაც ვატყობ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ საუკეთესო ფორმაში მაშინ შევიდა, როდესაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო — განა „ფიორენტინასთან“ „ოლდ ტრეფორდზე“ ჩატარებულმა შეხვედრამ ეს არ დაამტკიცა? მე თუ მკითხავთ, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო.

**— გამოცდილება ახსენეთ... რა გრძნობა დაგეუფლათ გასულ სეზონში ფინალურ მატჩში რომ ითამაშეთ?**

— ჩემს კარიერაში სხვა ისეთი დიდებული მომენტი, როგორიც „ბაიერნის“ დამარცხება და თან ზუსტად ისე დამარცხება გახლდათ, არ ყოფილა. კაცი ფეხბურთელის კარიერას ასეთი შეხვედრებისთვის ირჩევ. ბოლოს და ბოლოს რა არის მიზანი? მიზანი საუკეთესოთა წინააღმდეგ თამაშია, ხოლო ამის მწვერვალი სწორედ ჩემპიონთა ლიგის ფინალი გახლავთ. „ინტერის“ და „ბარსელონას“ დარ გუნდებთან გაჯიბრება და რობერტო ბაჯოს თუ რივალდოს პირისპირ დგომა საუცხოოა. ბედნიერია ყველა, ვინც დღეს თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედში“.

**— ენდი კოულს ჩინებული გოლები გააქვს, არა?**

— ის მთელი სეზონია ასე თამაშობს. ენდი უკვე კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი ევროგოლის ავტორი გახდა და ამიტომ მისი ახალი წარმატებები აღარ მაკვირვებს. დააკვირდით კოეფიციენტს: კოულს მეტოქის კარში საშუალოდ ორ შეხვედრაში ერთზე მეტი გოლი გააქვს, რაც ვგონებ, ფენომენალური შედეგია. კაცმა რომ თქვას, ის ჟურნალისტებისგან გაცილებით მეტ ქებას იმსახურებს, თუმცა პრესისა რა მოგახსენოთ და კევინ კიგანმა კი ნამდვილად დაუფასა ნიჭი, ენდი ინგლისის ნაკრების უცვლელი წევრი გახდა. მე თუ მკითხავთ, მისთვის უფრო ადრეც უნდა მიექციათ ყურადღება და დღეს ეროვნულ გუნდში მეტი თამაში უნდა ჰქონდეს ჩატარებული.

**— ჩემპიონთა თასი კარგია, მაგრამ პრემიერლიგის ტიტულზე რას იტყვით. შეძლებთ მის კვლავ მოპოვებას?**

— აგერ უკვე რამდენიმე კვირაა ხალხი ამბობს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უკვე ჩემპიონია, თუმცა საკუთრივ კლუბში ასე არავინ ფიქრობს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სანამ შეჯიბრება არ დამთავრდება და ფეხი ბოლოჯერ არ შეეხება ბურთს, გადაწყვეტილი არაფერია. „ლიდსი“ ძლიერად თამაშობს, კუდში მოგვდევს, ხოლო „ჩელსის“, „ლივერპულის“ და „არსენალის“ ჩამოწერა ნაადრევია. დღეს ჩვენ მათზე უკეთეს პოზიციაზე ვართ, მაგრამ ყველაფერი შეიძლება ხელის ერთი დაკვრით შეიცვალოს.

**— „იუნაიტედში“ ბევრი მოთამაშეა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია?**

— გახსოვთ, ორი სეზონის წინ ინგლისის ჩემპიონის ტიტული „არსენალმა“ რომ წაგვართვა? იცით, რისი ბრალი იყო? ტრავმების, რომელთა წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყეთ. მაშინ მწვრთნელმა თქვა, რომ ამის გამეორება დაუშვებელი იქნებოდა და დუაიტ იორკი, იაპ სტამი და სხვები იყიდა. დღეს ძირითადში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. სულ ერთია ვინ ხარ, თამაშების რაოდენობა ფეხბურთელთა ცვლას მოითხოვს.

**— ხანდახან წმინდა თავდამსხმელად რომ გათამაშებენ, გსიამოვნებთ?**

— „იუნაიტედში“ რომ მივედი, ერთადერთი, რაც ვიცოდი მარცხენა გარემარბობა გახლდათ, მაგრამ მერე სხვადასხვა პოზიციებზე მომიხდა თამაში და უნდა ვთქვა, რომ ამან დიაპაზონი გამიფართოვა. დღეს მწვრთნელს გაცილებით მეტი ვარიანტით მოქმედების საშუალებას ვაძლევ. ფეხბურთელთა ადაპტაციის უნარი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, დევიდ ბექემს ფრთაზეც ეხერხება თამაში და მოედნის ცენტრშიც, პოლ სქოულზი თავის ამპლუას ხანდახან თავდამსხმელობას უთავსებს, მე კი ხან ფორვარდი ვარ, ხანაც ნახევარმცველი.

**— კი მაგრამ, რაიან, თქვენს ხმაურიან პოპულარობას რა უქენით?**

— დევიდ ბექემს გადავულოცე. კაცმა რომ თქვას, მოედანს გარეთ სიმშვიდე მირჩევნია, რადგან პირადი ცხოვრება ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ფეხბურთელი, კაცი სულ გამოჩენილი უნდა იყო, მაგრამ ქალაქში სჯობს ამას თავი აარიდო. დევიდს მოსვენება არ აქვს და მისი სულაც არ მშურს.

თარგმნა
ბაბუნა ქიქიამ

# ფრანკომ დევიდს შეკითხავა

„მილანის“ ყოფილმა ვარსკვლავმა ფრანკო ბარეზიმ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ დევიდ ბექემს იტალიაში თამაში უწინასწარმეტყველა. ბარეზის სჯერა, რომ დევიდს სულ მალე სერია A-ს რომელიმე წამყვან კლუბში იხილავს.

ბექემს „მანჩესტერთან“ კონტრაქტი 2002 წელს უსრულდება, თუმცა მის შესაძლო ტრანსფერზე უკვე ბევრს საუბრობენ. პოპვარსკვლავი მეუღლე ვიქტორია ადამსი დევიდს დაჟინებით სთხოვს კლუბის გამოცვლას. „სფაის გელზის“ სოლისტს მანჩესტერი არ მოსწონს და ქმართან ერთად სხვა ქალაქში ცხოვრება სურს.

მისის ბექემი ნაწყენია, რომ მის მეუღლეს, როი კინის მსგავსად, ხელფასს არ უზრდიან. ასე რომ, თუ დევიდი ვიქტორიას აჰყვა, სავსებით შესაძლებელია, მალე კლუბი გამოიცვალოს.

ფრანკო ბარეზი კი, რომელიც „მილანის“ ერთ-ერთი დირექტორია, არ გამორიცხავს, რომ დევიდი მალე რომელიმე იტალიურ გუნდში აღმოჩნდება.

„დევიდი იტალიურ ფეხბურთს ნამდვილად შეეგუება. მას წარმატების მისაღწევად ყველა მონაცემი აქვს. არც ერთი იტალიური კლუბი არ იტყოდა უარს ბექემის შეძენაზე“ — აცხადებს ბარეზი.

ფრანკოს ერთადერთ შემაფერხებელ ფაქტორად ის მიაჩნია, რომ იტალიასა და ინგლისში განსხვავებული ხელფასებია.

— ინგლისში ყველა ფეხბურთელს დიდი ფული აქვს — ამბობს ბარეზი — პრემიერლიგას შეჩვეულ მოთამაშეებს სხვა ქვეყანაში გადასვლა უჭირთ...

ვაჟა ლომიძე

## სატირბორტი

### კითხვა-პასუხი

— მდაა, რთული ვითარებაა მსოფლიო ფეხბურთში.

***— ანელკამაც თავზე ხელი აიღო.***

— მარტო ანელკამ? მაკმანამანმაც...

***— მაკმანამანს თავზე არ აუღია, სინდისზე აიღო...***

— ისე, თეთრი ფორმა უხდება.

***— უხდება, მაგრამ არ აცვია.***

— ნუ, ახლა რა გინდა,- ვერ უძლებს კონკურენციას...

***— ქიტაპთან თუ ვერ უძლებ, ხელფასს როგორღა იღებ?***

— მარტო მაკმანამანი ხომ არ არის ეგრე?

***— არა, მაგრამ მაკმანამანი კმაყოფილია. სახეზე აწერია, რომ ყოფნის.***

— რამდენ ხანს თამაშობს?

***— სამოცდამეთხუთმეტედან ბოლომდე.***

— ეგრე შერინგემიც სამოცდათხუთმეტიდან თამაშობს...

***— ეხლა შემიდარა. რეებს ახდენს იმ თხუთმეტ წუთში?***

— ისე, ამ მწვრთნელების გამკვირვებია. რა მოხდება, რომ სამოცდამეათეზე შემოიყვანონ?

***— მაკმანამანი ოთხმოცდამეცხრეზე რომ შეიყვანო, ისიც ეყოფა.***

— და ეს ის მაკმანამანია, ფლანგებს რომ ხნავდა.

***— რა მაგის პასუხია და ფეხბურთელები გოიმები ყოფილან. მაგალითად, სალასი...***

— რა კაცი ხარ? რაღაცას იტყვი და ახალი ამბავი გგონია...

***— რა წესია, მწვრთნელი რომ გცვლის და შენ ეჩხუბები?***

— უტვინოა. თავდამსხმელს ყოველთვის ჰგონია, რომ მისმა გუნდმა სამით ერთი უნდა მოიგოს, მწვრთნელი კი ოცნებობს, რომ ორით ორი არ გახდეს. სალასსაც ასე ეგონა...

***— რატომ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი?***

— ხუან ესნაიდერი კი ვერ ხვდებოდა და...

***— უიმე, რა კაცი გამახსენა...***

— აბა, შენ რა გეგონა?

***— და გაზა?***

— გაზამ რა ქნას?

***— რომ გამოცვალონ, ეგეც იჩხუბებს?***

— არა, კაცო. გაზა ოღონდ კი გამოცვალონ და მადლობასაც იტყვის.

***— რა უცნაურია, არა?***

— ამ ბოლო დროს სულ ტირილით ითხოვს, მოედნიდან გამიყვანეთო.

***— რატომ?***

— სწყინდება იქა, მუშტი-კრივს იწყებს და რომ არავინ აჰყვება, ტირილს იწყებს.

***— ბავშვობაში გადავარდნილა.***

— ეჰ, ეგ დიდობაში ვერ გადავარდა.

***— რაში ჭირდებოდა ეგ დიდობაში გადავარდნა?***

— აგე, დაჭირდა, ხომ ხედავ?

***— რაში?***

— ცოტაც და ბაბუა გახდება და შვილიშვილი რას იტყვის?

***— რა უნდა თქვას?***

— მტირალა ბაბუა მყოლიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 100 იუბილარი



მარკო ვან ბასტენი

**აიაქსი ამსტერდამი ჰოლანდია**

დაარსდა: 1900 წლის 18 მარტს
პრეზიდენტი: მიხაელ ვან პრააგი
მწვრთნელი: ჰანს ვესტერჰოფი (დროებით)
სტადიონი: „ამსტერდამ არენა“ (ტევადობა 51 324)
კლუბის ოფიციალური სპონსორი: ABN-AMRO
ჰოლანდიის ჩემპიონი (27): 1918, 19, 31, 32, 34, 37, 39, 47, 57, 60, 66, 67, 68, 70, 72, 73, 77, 79, 80, 82, 83, 85, 90, 94, 95, 96, 98;
ჰოლანდიის თასის მფლობელი (14): 1917, 43, 61, 67, 70, 71, 72, 79, 83, 86, 87, 93, 98, 99; ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (4): 1971, 72, 73, 95; ფინალისტი (2): 1969, 96; ევროპის თასების თასის მფლობელი (1): 1987; ფინალისტი (1): 1988; უეფას თასის მფლობელი (1): 1992; ფინალისტი: არ ყოფილა; ევროპის სუპერთასის მფლობელი (3): 1972, 73, 95; საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (2): 1972, 95

# აიაქსი: აი, ასი!



იოჰან კრუიფი

## ოილიდი, ტელამონიდი თუ ფუტბალ კლაბი

...1900 წლის 11 მარტს ამსტერდამის კალვერსტრაატზე მდებარე კაფე „ისტ ინდიაში“ არისტოკრატები შეიკრიბნენ, რათა საფეხბურთო კლუბი ჩამოეყალიბებინათ. ალბათ არც ერთი გუნდი არ დაბადებულა ასეთ ელიტარულ გარემოში. ორგანიზატორებმა — ფლორინ სტემპელმა, ჰან „პა“ დეიდმა და კარელ რისერმა სტუმრებს სპილოსძვლისფერი პერგამენტის მოსაწვევი ბარათები დაუგზავნეს. დილით, ათს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ყველა ადგილზე იყო. სამწუხაროდ, შეკრების ოქმი არ დაწერილა. ამიტომაც არავინ იცის, თუ ვინ მოიფიქრა პირველად, ახალშობილისთვის „აიაქსი“ ეწოდებინათ. ერთი რამ კი ფაქტია — რომ არა ამსტერდამელთა ინიციატივა, ბერძნული მითოლოგიისა და ჰომეროსის „ილიადას“ გმირების სახელებს ბევრი ვერც გაიგებდა. „ილიადაში“ ორი აიაქსია — ოილიდი და ტელამონიდი. ორივე შესაშური გამძლეობითა და სიმამაცით გამოირჩევა. თითქოს დაებედაო ახალშექმნილ კლუბს სეხნიების თვისებები! მართალია, არსებობს ვერსია, რომ ისინი სინამდვილეში ერთნი იყვნენ, მაგრამ ეს ამჯერად არ გვაინტერესებს. სამყარო ლეგენდას Ajax Amsterdam Football Club-ით იცნობს.

## პირველი ნაბიჯები

ახალშობილი ბავშვი უკვე ორი წლის ასაკიდან იდგამს ფეხს. „აიაქსსაც“ ასე დაემართა. 1902 წლიდან ამსტერდამელებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს ქვეყნის ჩემპიონატის III (!) ლიგაში. რვა წელი დასჭირდა კლუბს, რათა უძლიერესთა შორის დამკვიდრებულიყო. 1915 წელს „შუბოსანთა“ (ჰომეროსისეული გმირები შუბის უზადო ხმარებით იყვნენ განთქმულნი) ისტორიაში ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა — შვეიცარიის „სენტ გალენიდან“ გადავიდა 38 წლის ინგლისელი მწვრთნელი ჯეკ რეინოლდსი, რომელმაც 50 (!) წლის განმავლობაში იღვაწა „აიაქსში“ სხვადასხვა თანამდებობაზე. იგი 88 წლისა გარდაიცვალა და მის სახელს „აიაქსში“ დღესაც დიდი მოწიწებით იხსენებენ. სწორედ რეინოლდსმა განუვითარა „აიაქსს“ ის თვისებები, რომლებითაც დღესაც გამოირჩევა ეს კლუბი, უმთავრესად იმ დროისათვის უჩვეულო თამაშის ძალიან მაღალი ტემპი. შედეგმაც არ დააყოვნა: იმ წელს, როცა ბოლშევიკებმა რუსეთში გადატრიალება მოახდინეს, „აიაქსმა“ ქვეყნის თასი დაისაკუთრა. ეს პირველი, სერიოზული წარმატება იყო, მომდევნო წელს თასს ჩემპიონის პირველი ტიტულიც მოჰყვა.

30-იან წლებს „აიაქსის“ ისტორიაში პირველ „ოქროს ხანას“ უწოდებენ. ამ ათწლეულში გუნდი ხუთჯერ გახდა ჩემპიონი და რაც ყველაზე მთავარია, მის მატჩებზე ჰოლანდიაში ყველაზე დიდი აუდიტორია იკრიბებოდა. ალბათ არც ერთი კლუბი არ დაზარალებულა ისე მეორე მსოფლიო ომისგან, როგორც „აიაქსი“. მაშინდელ გუნდში ფეხბურთელების უმეტესობა ებრაელი იყო და მას შემდეგ, რაც ვერმახტის ჯარები ნიდერლანდებში შევიდნენ, ებრაელმა „ლეგიონერებმა“ ქვეყანა უმალ დატოვეს. კარგი დღე არც გუნდში დარჩენილთ დაადგათ, თითქმის მთელი „აიაქსი“ სატუსაღოში აღმოჩნდა. თითქოს დიდი ხნით უნდა გამქრალიყო კლუბი ლიდერთა რიგებიდან, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე, 1946 წელს, იგი აღდგა და მომდევნო წელს მერვედ მოიპოვა ჩემპიონობა. იმდროინდელ გუნდში ყველაზე გამოსარჩევი ფიგურა ცენტრალური მცველი კეეს ვან დერ ჰარტი გახლდათ, რომელიც საფეხბურთო სამყაროსათვის პირველი აიაქსელი ვარსკვლავი იყო. მან 44-ჯერ ითამაშა ნაკრებში და მერე ფრანგულ „ლილში“ გადაბარგდა.

50-იან წლებში „აიაქსის“ სტადიონზე (აშენდა 1934 წელს) მისული მაყურებელი კიდევ ერთ ცნობილ პიროვნებას ადევნებდა თვალს. ეს გახლდათ რინუს მიხელსი, რომელიც შემდგომ, როგორც მწვრთნელი და ტოტალური ფეხბურთელის ფუძემდებელი, უდიდეს გადატრიალებას მოახდენს მსოფლიოს ფეხბურთში. როგორც ფეხბურთელი კი იგი დიდი ვერაფერი ჩვითო იყო, თუმცა ექვსჯერ ჩაიცვა ქვეყნის ნაკრების ნარინჯისფერი მაისურა.

## მფრინავი ჰოლანდიელი

1957 წელს „აიაქსმა“ ევროპაც დააჭაშნიკა. ამ წელს შედგა კლუბის დებიუტი ევროპის საკლუბო ტურნირებზე. აღმოსავლეთგერმანული „ვისმუტის“ ძლევის შემდეგ ამსტერდამელები ბუდაპეშტის „ვაშაშს“ შეხვდნენ და საშინელი მარცხი იწვნიეს (ორი მატჩის ჯამში 2:6). კიდევ უფრო უიღბლო და სამარცხვინო გამოდგა მეორე ცდა, როდესაც „აიაქსმა“ საკუთარ მინდორზე უსახელო ნორვეგიულ „ფრედრიკსტადს“ ვერ აჯობა. რა იყო, რა ხდებოდა, ნუთუ ლეგენდა რეალობად ვერ იქცეოდა? მაგრამ არა, 1964 წლის დეკემბერში კლუბს სათავეში რინუს მიხელსი ჩაუდგა, რომელსაც „რკინის რინუსი“ შეარქვეს. გუნდში გაძლიერდა დისციპლინა, ვარჯიშებიც ინტენსიური გახდა, თუმცა ყველაფერი ეს დიდებას არ მოიტანდა, რომ არა 16 წლის იოჰან კრუიფის გამოჩენა.

„მფრინავ ჰოლანდიელად“ წოდებული „დიდი იოჰანი“ 1947 წლის 25 აპრილს დაიბადა. თორმეტი წლისამ მამა დაკარგა და დედამისი იძულებული გახდა, შვილის გამოსაკვებად მუშაობა დაეწყო. მან კლუბ „აიაქსს“ მიაკითხა, რომლის სტადიონიც მათი სახლის პირდაპირ მდებარეობდა და იქ მაისურების მრეცხავად და დამლაგებლად მოეწყო. ბიჭიც ხშირად სტუმრობდა გუნდის მწვანე მინდორს და დიდების თამაშს ადევნებდა თვალყურს. ასე მოიწამლა ფეხბურთით და თანდათან თავისი თამაშით კლუბის ხელმძღვანელობაც დააინტერესა. მას გამოცდა მოუწყეს, რომელიც კრუიფმა ბრწყინვალედ ჩააბარა და 16 წლის ჭაბუკი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა. პირველივე სეზონში მან 24 გოლი გაიტანა.

...მიხელსისა და კრუიფის დებიუტი ევროპაში 1966 წელს შედგა. პირველ ეტაპზე თურქული „ბეშიქთაშის“ დამარცხების შემდეგ „აიაქსი“, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ინგლისურ „ლივერპულს“ შეხვდა. არავინ ელოდა „ბითლზების“ ქალაქიდან ჩამოსული სტუმრების წაგებას. საფეხბურთო სამყარომ სწორედ ამ მატჩში გაიცნო მისი ბრწყინვალება იოჰან კრუიფი. მან პირდაპირ გაანადგურა ლივერპულელთა დაცვა — 5:1. „ლივერპულის“ ლეგენდარული მწვრთნელი ბილ შენკლი რეტდასხმული იყო, მან ალბათ იმდენი ინერვიულა, რომ ცხოვრებაში ერთადერთი არასერიოზული განცხადება გააკეთა: „აიაქსი“ დიდი ვერაფერი გუნდია და დარწმუნებულნი იყავით, შინ ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენთ“. საპასუხო მატჩში „ენფილდ როუდზე“ მისულმა ბრიტანელებმა საცოდავი „ლივერპული“ იხილეს, რომელმაც ფრეს ძლივს მიაღწია.

ერთი სიტყვით, „აიაქსი“ ევროპის საფეხბურთო დაბლობიდან პირდაპირ მწვერვალისკენ ისწრაფვოდა.



„აიაქსი“ 1971 წელს. დგანან (მარცხნიდან): ნეესკენსი, ჰულსჰოფი, სტუი, სურბიერი, რაინდერსი; სხედან: კაიზერი, სვარტი, ვასოვიჩი, კრუიფი, ჯ. მიურენი, კროლი



ეს პატარა ბიჭი პატრიკ კლუივერტია, მის გვერდით კი უკვე სახელოვანი ფრანკ რაიკაარდი. ორივე „აიაქსის“ აღზრდილია

1969 წელს „აიაქსი“ ევროპის უპრესტიჟულესი ტურნირის, ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა. მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ჰოლანდიელები „მილანთან“ 1:4 განადგურდნენ. მათ რიგებში ორი დიდი ფეხბურთელი — კრუიფი და კაიზერი თამაშობდა. ამათ ფონზე მოკრძალებულნი იყვნენ სურბიერი, ჰულსჰოფი, სვარტი. ისინი თანდათან იმაღლებდნენ ტექნიკურ-ტაქტიკურ დონეს და „შუბოსანთა“ შემდგომ ლაშქრობებშიც მიიღეს მონაწილეობა. ლაშქრობაც დაიწყო. მადრიდის „რეალის“ შემდეგ (ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი) „აიაქსი“ მიუნხენის „ბაიერნთან“ ერთად ის კლუბია, რომელმაც საპატიო ჯილდო ზედიზედ სამჯერ მოიპოვა. 70-71 წლებში „აიაქსი“ პირველად შესწვდა ევროპულ მწვერვალს — ჩემპიონთა თასის ფინალში ბერძნული „პანათინაიკოსი“ იმსხვერპლა. 2:0 სრულად ასახავდა ჰოლანდიელთა უპირატესობას.

იმავე წლის ზაფხულში „ბარსელონას“ წინადადებით მოხიბლულმა მიხელსმა გუნდი დატოვა. იგი რუმინელმა სტეფან კოვაჩმა შეცვალა, რომელიც ბუქარესტის „სტიაუას“ წვრთნიდა და 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთის ნაკრების თავკაცის, ნიკულესკუს მრჩევლად მუშაობდა.

კოვაჩს ურიგო გუნდი არ ჩაუბარებია. „აიაქსი“ მას ერთიანი, მონოლითური, ტექნიკურად და ტაქტიკურად ჩინებულად მომზადებული დახვდა. რაღა დარჩა კოვაჩს? იმაზე მუშაობა, რომ ცალკეული მოთამაშეები უფრო მოქნილნი, მარჯვენი გაეხადა. კოვაჩს დიდი დამსახურება მიუძღვის გუნდის თამაშის ახლებური ტაქტიკის ჩამოყალიბებაში. მან წამოაყენა მოძრავი ზონის იდეა, მან მაქსიმალურად დაგეშა ნახევარმცველები, რომელთაც პოზიციის სწრაფი ცვლა და ხშირი ურთიერთშენაცვლება ევალებოდათ. რუმინელ მწვრთნელს ტალანტების აღმოჩენის უნარიც ჰქონდა. სწორედ მან მიიყვანა გუნდში ჯონი რეპი. შედეგმაც არ დააყოვნა, „აიაქსმა“ ფინალში მილანის „ინტერი“ 2:0 დაამარცხა და მეორედ დაეუფლა ჩემპიონთა თასს. იმ დღეს კრუიფის შეჩერება შეუძლებელი იყო. საინტერესოა, რომ „აიაქსმა“ მთელი გათამაშება წაუგებლად ჩატარდა და მეკარე სტუიმ ცხრა მატჩში მხოლოდ სამი ბურთი გაუშვა. მომდევნო სეზონში „აიაქსი“ კვლავ ფინალში გავიდა. მისი მეტოქე ამჯერად იტალიური კლუბი, ოღონდ ტურინის „იუვენტუსი“, გახლდათ. 1973 წლის 30 მაისს ბელგრადის სტადიონზე თავშეყრილი 93 500 ქომაგი მოწმე გახდა ჩემპიონთა თასზე „აიაქსის“ ზედიზედ მესამე ტრიუმფისა. აკორდი მართლაც რომ „აიაქსური“ იყო. „აიაქსის“ იმდროინდელი თამაში ტოტალური ფეხბურთის შეუდარებელი ნიმუში გახლდათ. იმ დროს „აიაქსმა“ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა: ჰოლანდიის ჩემპიონობა და თასი, ევროპის ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ამქვეყნად ყველაფერი მთავრდება. „აიაქსსაც“ ასე დაემართა და 1973 წლის შემოდგომის ერთ სუსხიან საღამოს სოფიის სტადიონზე დასამარდა ლეგენდარული გუნდი. მაგრამ ბულგარულ ცსკასთან დამატებით დროში დამარცხებას საპატიო მიზეზი ჰქონდა. გუნდში უკვე აღარ იყო კრუიფი, რომელიც მწვრთნელ რინუს მიხელსის მსგავსად კატალონიის სიამაყე „ბარსელონაში“ წავიდა.

მეკარე სტუი, მცველები — სურბიერი, კროლი, ბლანკენბურგი, ჰულსჰოფი, ნახევარმცველები — ჰაანი, მიურენი, ნეესკენსი, კრუიფი და თავდამსხმელები — რეპი, სვარტი და კაიზერი. აი, ისინი, ვინც „აიაქსს“ დიდება, სახელი და ათასობით ქომაგის სიყვარული მოუტანა.

## აიაქსის დაბრუნება

70-იანი წლების ბოლო და 80-იანების დასაწყისი კლუბის ისტორიაში დიდი ვერაფერი ხანაა. ამ პერიოდში გუნდი ახალ, თავისებურ პოლიტიკას დაადგა. „აიაქსი“ გახდა გარდამავალი ეტაპი საუკეთესო... დანიელი ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ სრულად ახალგაზრდები მიდიოდნენ გუნდში და მერე სრულყოფილ ოსტატებად ტოვებდნენ მას. იენსენი, არნესენი, ლერბიუ, მიოლბიუ, იესპერ ოლსენი და მრავალი სხვა „აიაქსის“ რიგებში თამაშობდნენ. 23 წლის ფრენკი




შოთა არველაძე




გიორგი ქინქლაძე

არნესენი „აიაქსის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანიც კი იყო.

...1983 წელს „დე მეერის“ ტრიბუნებზე პლაკატი გამოჩნდა: „ვან ბასტენი — ახალი იოჰან კრუიფი“. ასე შეხვდნენ 18 წლის მარკო ვან ბასტენის გამოჩენას „აიაქსის“ გულშემატკივრები. ოთხი წელი დაჰყო გუნდში კრუიფის სახელოვანმა მემკვიდრემ და უწინდებური დიდებით შემოსა იგი. ამ დროს მშობლიურ „აიაქსს“ ჯერ ფეხბურთელად, შემდეგ კი ტექნიკურ დირექტორად დაუბრუნდა იოჰან კრუიფი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ 1987 წელს „აიაქსმა“ კვლავ მოიგო ევროპული ჯილდო — ათენში, თასების თასის ფინალში ლაიპციგის „ლოკომოტივი“ 1:0 დაამარცხა. ის ერთადერთი ბურთი გერმანელთა კარში „სუპერ-მარკომ“ გაიტანა.

„ახლა კი მჯერა, რომ ძლიერი გუნდი გვყავს. ადრე, როცა „აიაქსზე“ ლაპარაკობდნენ, 70-იან წლებს გულისხმობდნენ. დღეს დავამტკიცეთ, რომ გუნდი 80-იანებშიც ევროპული კლასისაა“ — თქვა ესპანურ „სარაგოსასთან“ ნახევარფინალური რაუნდის შემდეგ „აიაქსის“ ტექნიკურმა დირექტორმა იოჰან კრუიფმა.

## ლუის ვან გაალი

თასების თასის მოპოვებით „აიაქსმა“ ათი წლის წინ დაკარგული დიდება დაიბრუნა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. კრუიფიც და თითქმის მთელი გუნდიც მალე სხვადასხვა კლუბებში გაიფანტნენ.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ „აიაქსი“ მხოლოდ მაშინ აღწევს დიდ წარმატებას, როცა მის რიგებში ახალი, არაორდინალური ფეხბურთელი გამოჩნდება-ხოლმე. 1992 წელს „აიაქსის“ ტიტულებით უმდიდრეს მუზეუმს კიდევ ერთი — უეფას თასი შეემატა, რაშიც ლომის წილი იმ დროს ჰოლანდიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულმა დენის ბერხკამპმა დაიდო. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც იყვნენ, ბერხკამპი ყველას ორი თავით სჯობდა. იტალიურ „ტორინოსთან“ ორრაუნდიანი ბრძოლა საკმაოდ ძნელი გამოდგა, თუმცა „აიაქსს“ უკვე სტუმრად გამართული 2:2-ის შემდეგ შეეძლო საქმის მოთავება. საინტერესოა, რომ გუნდმა მხოლოდ ფინალსა და ნახევარფინალში მოახერხა საკუთარ მოედანზე მატჩის გამართვა. 1989 წელს ვენის „აუსტრიასთან“ გულშემატკივართა ხულიგნობის გამო „აიაქსს“ ჯერ ევროპაში გაუცდა ერთი წელი, შემდეგ კი საშინაო შეხვედრებს დიუსელდორფში ატარებდა.

...ლუის ვან გაალი, კაცი ბლოკნოტით ხელში, კაცი, რომელმაც „აიაქსს“ ჩემპიონური სული შთაბერა და დიდება დაუბრუნა. „აიაქსის“ ისტორიაში სახელგანთქმულ მწვრთნელებად სულ ოთხს მოიხსენიებენ — ჯეკ რეინოლდსს, რინუს მიხელსს, სტეფან კოვაჩსა და ვან გაალს.

...1995 წლის 24 მაისი, ვენა, ერნსტ ჰაპელის სახელობის სტადიონი, 70 000 მაყურებელი და ჩემპიონთა თასის ფინალი. ლუის ვან გაალმა თითქმის 20-21 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდი შეუშვა მინდორზე ფაბიო კაპელოს „მილანთან“ საპაექროდ. გამოცდილნი მხოლოდ დენი ბლინდი და ფრანკ რაიკაარდი იყვნენ, დანარჩენნი — პირტიტველა ჭაბუკები. რუმინელი არბიტრის, კრაჩუნესკუს საფინალო სასტვენი და „აიაქსი“ ჩემპიონთა თასის მფლობელია! გამარჯვების გოლი 85-ე წუთზე გაიტანა შეცვლაზე შესულმა პატრიკ კლუივერტმა, რომელმაც მილანელთა მეკარე სებასტიანო როსის შანსი არ დაუტოვა.

ვან დერ სარი, რაიციგერი ტყუპი დე ბურები, ზეედორფი, კანუ, ფინიდი, დავიდსი, ლიტმანენი, კლუივერტი, ოვერმარსი და რაღა თქმა უნდა, ვან გაალი. იმ წელს „აიაქსმა“ პენალტების სერიაში ბრაზილიური „გრემიო“ დაამარცხა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ ვან გაალი და კომპანია კვლავ ჩემპიონთა თასის ფინალში არიან, მეტოქე კლუბი ისევ იტალიურია, „იუვენტუსი“. საქმე მატჩისშემდგომ პენალტებამდე მივიდა, იქ კი ფორტუნამ „მაესტრო ლიპის“ გუნდს გაუღიმა და თასიც „იუვეს“ დარჩა.




„აიაქსი“ 1995 წელს. ზედა რიგში (მარცხნიდან): კლუივერტი, ბოგარდი, რაიციგერი, ბლინდი, ფინიდი; ქვედა რიგში: ლიტმანენი, ოვერმარსი, დავიდსი, გრიმი, ვან დერ სარი, კანუ, ფ. დე ბური

მაგრამ უკვე ცხადი იყო, [illegible] ლებს ჰოლანდიაში არავინ [illegible] ბდა და ნადირობაც გაჩაღდა. დღეს იმ გუნდიდან „აიაქსში“ არავინაა, წავიდა ვან გაალიც, მაგრამ „აიაქსი“ მაინც ერთადერთად და განუმეორებლად რჩება.

## შოთა და გიო

1997 წლის ზაფხულში ლუის ვან გაალი კატალონიაში, „ბარსელონაში“ გადაბარგდა. „აიაქსის“ პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა მწვრთნელად დ[illegible] სიელი სპეციალისტი, ადრე გერმანულ „კიოლნში“ ნამუშევარი მორტენ ოლსენი მიიპატიჟა. ჩემპიონთა თასის მომპოვებელი გუნდიდან აღარავინ დარჩა და ოლსენსაც ახალი გუნდის შენება მოუხდა.

ამავე წლის ზაფხულში ქართული ფეხბურთისა და ლეგენდარული კლუბის გზები გადაიკვეთა. მორტენ ოლსენის ძალისხმევით „აიაქსს“ თავისი მომავალი ხუთი წლით საქართველოს ნაკრების ბომბარდირმა შოთა არველაძემ დაუკავშირა. თურქულ „ტრაბზონსფორში“ შოთას დარჩენას სთავაზობდნენ და ოქროს მთებსა და მილიონ დოლარს ჰპირდებოდნენ, მაგრამ ჩვენებურმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არაფრისდიდებით არ დავრჩებიო. სწორადაც მოიქცა, სად „ტრაბზონსფორი“ და სად „აიაქსი“. პირველივე სეზონიც იღბლიანი და წარმატებული გამოდგა — 25 ბურთით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. შოთამ იმ სეზონში ფაქტობრივად დაშლილი „აიაქსი“ უეფას თასის მეოთხედფინალამდე ლამის მარტომ ათრია, იტალიურ „უდინეზესთან“ ინდივიდუალური ოსტატობით გატანილმა ბურთმაც საფეხბურთო ევროპა აალაპარაკა. არველაძემ მეოთხედფინალში მოსკოვის „სპარტაკსაც“ გაუტანა, მაგრამ...

მომდევნო წელს ოლსენმა მეორე ქართველი, გიორგი ქინქლაძე გადაიბირა. „აიაქსმა“ ქინქლაძის ყოფილ გუნდ „მანჩესტერ სიტის“ კლუბის ისტორიაში არნახული სატრანსფერო თანხა — 5 000 000 დოლარი გადაუხადა. ქართველებიც ხელს ვიფშვნეტდით. როგორი ამბავია, ლეგენდარულ გუნდში ორი ქართველი — შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა — გიომ „აიაქსში“ თავისი თამაში ვერ აჩვენა, ოლსენმა იგი ფლანგზე გაამწესა, გიოს კი ნახევარდაცვის ცენტრში სურდა, იქ, სადაც ფინელი იარი ლიტმანენი იყო. ამბობდნენ, „ქინქი“ ლიტმანენს ვერ ამოაგდებსო, ფინელიც „ბარსელონაში“ წავიდა, თუმცა ოლსენის ხუშტურებმა და გიოს პრინციპულობამ მაინც თავისი გააკეთა. პრემიერლიგელი „დერბი ქაუნთის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა ქინქლაძე „აიაქსის“ „ტყვეობიდან“ იჯარით დაიხსნა და ახლა მის გამოსყიდვასაც ლამობს. და დარჩა შოთა ეულად..

პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა წლევანდელი სეზონის დაწყების წინ მორტენ ოლსენი დაითხოვა და მის ადგილზე 1988 წლის ევროპის ჩემპიონი იან ვოუტერსი დანიშნა. ვოუტერსიც საქმეს შეუდგა, მაგრამ „აიაქსის“ საქმეები მაინც უკან წავიდა. ვან პრააგმაც იცადა, იცადა და სულ ახლახან, „უტრეხტთან“ „ამსტერდამ არენაზე“ ზუსტად ასწლიან იუბილეზე 0:1 წაგებული მატჩის შემდეგ ვოუტერსიც გაუშვა. მისი ხელმძღვანელობით „აიაქსმა“ ვერაფრით გამოიჩინა თავი.

## დღეს

რას მოგვაგონებს დღევანდელი „აიაქსი“. ნუთუ იმ სახელოვან გუნდს, რომელიც ერთ დროს საფეხბურთო ევროპას აზანზარებდა და ნებისმიერ ტურნირში უდავო ფავორიტად ითვლებოდა? ალბათ, არა...

...კლუბის დირექტორატის ცნობით, ვოუტერსის შემცვლელს უახლოესი სამი კვირის მანძილზე დაასახელებენ. კანდიდატებად „ტილბურგის“ მწვრთნელ კო ადრიანსეს, „ალკმარის“ ყოფილ თავკაცს ვილემ ვან ჰანეგემს და შოტლანდიური „სელტიკის“ ყოფილ მწვრთნელ ვიმ იანსენს ასახელებენ. სეზონის ბოლომდე კი „აიაქსს“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ჰანს ვესტერჰოფი უხელმძღვანელებს.

ისე, ყველას აჯობებდა, მიხაელ ვან პრააგს მწვრთნელად იოჰან კრუიფი დაენიშნა...

**გიორგი ვაშაძიძე**




მოსკოვის „დინამოს“ ქომაგები სეზონური აბონემენტების რიგში

# რუსეთის ჩემპიონობისთვის ლუკოილი, რკინიგზა, არმია და FEDCOM-ი იბრძოლებენ

ხუთთვიანი შესვენების შემდეგ გუშინ მოსკოვური დერბით ჩვენს ჩრდილოეთ სამეზობლოში მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. დღეს პირველი ტურის კიდევ რვა თამაში გაიმართება. ახალ პირველობას დიდი სკანდალი დაებედა. ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლების ხელში ჩასაგდებად წამყვანი რუსული ტელეკომპანიების დაპირისპირებამ რუსი მაყურებელი კინაღამ ფეხბურთის გარეშე დატოვა. ორმა მთავარმა პრეტენდენტმა — OPT-მ და HTB-მ ერთმანეთში სასტიკი ომი გააჩაღა, პირველს რუსეთის ნაკრების თამაშების ტრანსლაციაზე ექსკლუზიური უფლება აქვს და რუსეთის ჩემპიონატისა და თასის მატჩების დაუფლებით ბაზრის გაფართოებას ცდილობდა. გუშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ვინ მიიღებდა „სანუკვარ ლუკმას“, თუმცა არაოფიციალური მონაცემებით HTB-ს მეტი შანსი აქვს. შეთანხმების მიღწევას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტორი, რომ ტელეტრანსლირების უფლების გაყიდვა კლუბების პრეროგატივაა, თუმცა მოსკოვის „სპარტაკის“ გარდა, რომელმაც ეს უფლება Ren-TV-ს მიჰყიდა, სხვა გუნდების მოთხოვნებს ტელეკომპანიებმა უბრალოდ იგნორირება გაუკეთეს. ისინი ტრანსლაციების ჩალის ფასად შესყიდვას ცდილობენ.

მეცხრე ჩემპიონატს სპეციალისტებმა სახელი უკვე დაარქვეს — „მოსკოვის ჩემპიონატი“, რომელშიც „ლუკოილი“, რკინიგზა, არმია და Fedcom-ი იბრძოლებენ. „ლუკოილი“, რუსეთის უდიდესი სანავთობო კომპანია, რომლის მოგებამ შარშან 1,9 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რამდენიმე თვეა, „სპარტაკის“ ოფიციალური სპონსორი გახდა. „რუსეთის სარკინიგზო ხაზები“ კი „ლოკომოტივს“ პატრონობს. ამ გუნდმა შესვენებისას 700 000 დოლარი დახარჯა. 300 ათასი ტრანსფერებზე (ყველაზე კარგ შენაძენად ექსსპარტაკელ ციმბალარს ასახელებენ) და დანარჩენი ჩერქიზოვოში ახალი გაზონის შემოტანაზე. ჩემპიონობის პრეტენდენტად მიიჩნევა ვალერი გაზაევის „დინამოც“. ამ გუნდს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საკომუნიკაციო კომპანია Fedcom-ი აფინანსებს. გარდა ამისა, კლუბმა ახლახან სპონსორული ხელშეკრულება გააფორმა რუსეთში ბირთვული ენერგიის ყველაზე დიდ მწარმოებელ O.A.O.TBEL-თან. „დინამოს“ პლუსი მისი პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხიც არის, რომელიც კვლავ რჩება პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტად. ამათ ამქარში რუსეთის არმიის გუნდის გარევასაც ვარაუდობენ.

ყველა მოსკოვური კლუბის თავკაცობა საჯარო გამოსვლებში „სპარტაკის“ დაჩოქებაზე ოცნებობს. სავარაუდოა, რომ ჩემპიონატი წარიმართება საქართველოს მსგავსად: „ნებისმიერი, ოღონდ არა „სპარტაკი“ („დინამო“). პროვინციიდან სენსაციას არ ელიან. თუმც არ გამორიცხავენ, რომ ნევისპირეთის „ზენიტმა“, სამარის „კრილია სოვეტოვმა“ და ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ჩემპიონატი უფრო საინტერესო გახადონ. ეს უფრო „ზენიტისგან“ არის მოსალოდნელი, რომელსაც რუსეთის აირის უდიდესი იმპორტიორი „გაზპრომი“ სპონსორობს. „კრილიას“ და „ალანიას“ კი სტარტზე სერიოზული პრობლემები შეექმნათ. სარატოველებმა, რომელთაც ამბიცია გენერალურ სპონსორად „ციმბირის ალუმინის“ მოსვლის შემდეგ გაუჩნდათ, ნოემბერში ვლადიკავკაზელებს 50 ათასი დოლარი გადაუხადეს არტურ პაგაევში. ამ ფეხბურთელმა ძირითადში ადგილიც მოიპოვა, თუმცა ერთი კვირის წინ მოულოდნელად ვლადიკავკაზში დაბრუნდა. „იზვესტიის“ ცნობით, პაგაევი ოსეთის ავტორიტეტებმა დააშინეს და აიძულეს, დაბრუნებულიყო. ახლა „ალანიამ“ 50 000 დოლარი „კრილიას“ უკან უნდა დაუბრუნოს. სამაგიეროდ, თავად ვლადიკავკაზელები უკან 100 000 დოლარს მიიღებენ. ისინიც ანალოგიურ სკანდალში არიან გახვეულნი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიხეილ აშვეთიას თბილისის „დინამოდან“ განთავისუფლების ფურცელს არ აძლევს. „დინამო“ — ფედერაციის დაპირისპირებამ კი შ ეიძლება ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნას ვოვა გუცაევის დებიუტს „ალანიაში“. გუცაევს აშვეთიას შემცვლელი არ ჰყავს. თუმცა „ალანიას“ იმედი აქვს, რომ აშვეთიასთვის დროებით ტრანსფერს გაახერხებს.

ახალ ჩემპიონატში 107 ლეგიონერი იასპარეზებს. თანამეგობრობის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი უკრაინელია (30), შემდეგ ბელარუსები (17) მოდიან. საქართველოს მიხეილ აშვეთიას ჩათვლით 12 ფეხბურთელი ჰყავს: მოსკოვის „ლოკომოტივში“ — ზაზა ჯანაშია და ლადო კაკაშვილი, „ალანიაში“ — ლევან სილაგაძე, მამუკა წერეთელი, მიხეილ ფოცხვერია, გიორგი კიკნაძე, გიორგი ანჩაბაძე; „კრილიაში“ — დავით გვარამაძე, ზურაბ ფოფხაძე; ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ ბადრი სპანდერაშვილი და მახაჩკალის „ანჟიში“ ალეკო გოგობერიშვილი.

შორეული საზღვარგარეთიდან კი ყველაზე მეტნი ბრაზილიელები არიან. ამ ქვეყანას 6 ლეგიონერი წარმოადგენს. აქედან ოთხი აფხაზი ახრიკ ცვეიბას თანაგუნდელები არიან ელისტის „ურალანში“. 3 კაცით არის წარმოდგენილი იუგოსლავია.

სპეციალისტები „ფაკელთან“ და „სატურნთან“ ერთად აუტსაიდერებად „ჩერნომორეცს“ და „ანჟის“ მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს „ინტელექტ-ბანკი“ პატრონობს.

„ანჟი“ დღეს სტადიონზე რემონტის გამო „ტორპედოს“ ასტრახანში მიიღებს, „ფაკელი“ „როსტსელმაშს“ ეთამაშება, „დინამო“ — „სატურნს“, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივს“ ესტუმრება, „როტორი“ „ზენიტს“ იღებს, „კრილია“ — „ურალანს“. ქართველი მაყურებლისთვის კი ყველაზე უფრო საინტერესო მოსკოვში „სპარტაკისა“ და „ალანიას“ თამაში იქნება. საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი კლუბში თავის პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებს. ამ შეხვედრაში „ალანიას“ არც მაყურებელი უწინასწარმეტყველებს წარმატებას და არც სტატისტიკა. 31 პროცენტი მიიჩნევს, რომ „ალანია“ წააგებს, 26 პროცენტი, რომ 0:2-ს წააგებს, 13 პროცენტი კი თვლის, რომ „ალანია“ განადგურდება. ეს გუნდები აქამდე 17-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: „სპარტაკმა“ 10-ჯერ მოიგო, „ალანიამ“ — 4-ჯერ. 3 თამაში ფრედ დასრულდა.

**სიმონ მენაბდე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# მილუოკელები ეშმაკებს ჰგავდნენ

23 მარტი

**დენვერი 86:100 ვაშინგტონი**

დენვერი: ვან ექსელი (18), მაკლაუდი (18)
ვაშინგტონი: ჰოვარდი (22 ქულა, 11 მოხსნა), რიჩმონდი (22)

**ჰიუსტონი 110:95 კლიპერსი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (34 ქულა, 14 პასი, 9 მოხსნა), მობლი (30)
კლიპერსი: ოდომი (28), ანდერსონი (20)

**დალასი 98:104 კლივლენდი**

დალასი: ფინლი (29 ქულა, 10 მოხსნა), ნოვიცკი (17)
კლივლენდი: კემპი (22 ქულა, 12 მოხსნა)

**ინდიანა 84:105 მილუოკი**

ინდიანა: როუზი (22), მილერი (16)
მილუოკი: კასელი (30), ალენი (26), ტომასი (21)



REUTERS დენვერიდან

დენვერი — ვაშინგტონი. დენვერელი ჯორჯ მაკლაუდი (შუაში) და ვაშინგტონელები ჯუონ ჰოვარდი (მარცხნივ) და ჯერარდ კინგი

დასავლეთ კონფერენციისგან განსხვავებით, სადაც უკვე გამოიკვეთა საპლეიოფოდ გამზადებული რვა გუნდი, მისისიპის გაღმოლმა ნბა-ში ჯერაც ბევრი რამაა გასარკვევი. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობებია მოსალოდნელი ბოლო, მერვე ადგილისთვის ბრძოლაში. ძირითადად ორი გუნდს — „ორლანდოს“ და „მილუოკის“ აქვს ამის პრეტენზია და შანსებიც ორივეს ასე თუ ისე თანაბარი აქვს. ამ ორიდან წინ „ორლანდოა“ და მას კიდევ უფრო დაწინაურების კარგი შანსი ჰქონდა, მისი მოცილე „მილუოკი“ ინდიანაპოლისში იქაურ „ინდიანა პეისერზს“ ხვდებოდა და ყველა ლოგიკის მიხედვით უნდა წაეგო. პირიქით კი მოხდა, „მილუოკიმ“ ლოგიკა თავდაყირა დააყენა და აღმოსავლეთის უძლიერეს გუნდს მისსავე დარბაზში მოუგო. არადა, აქამდე „ინდიანას“ შინ სულ სამჯერ წაეგო, რაც საუკეთესო შედეგი იყო მთლიანად ასოციაციაში. ვერავინ წარმოიდგენდა „მილუოკის“ გამარჯვებას, რადგან ამ გუნდს ხანგრძლივი ჩავარდნის პერიოდი უდგას — ბოლო 27 თამაშიდან 21 წააგო, რაც ძალიან ბევრია.

„მართლა გვინდა პლეი ოფში თამაში — ამბობდა „მილუოკის“ მწვრთნელი ჯორჯ კარლი მატჩის შემდეგ — გამარჯვება ჩვენ უფრო გვჭირდებოდა, ვიდრე „ინდიანას“, ბიჭებმაც თავი მოიკლეს და ამისთვის დასაჩუქრდნენ. ისინი თამაშის დროს ეშმაკებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადამიანებს“.

თავისი გუნდის თამაშით, ცხადია, უკმაყოფილო იყო მასპინძელთა მწვრთნელი, ლეგენდარული ლარი ბერდი: „რა უნდა ვთქვა, პირწმინდად წავაგეთ. ახლა აღარ მინდა ამის გახსენება, დაცვაში რა საშინელებებს ჩავდიოდით, ბურთს ვერ ვხსნიდით და საერთოდ, ჩვენი თამაში თამაშს არ ჰგავდა“.

გარდა იმისა, რომ „მილუოკისთვის“ ახლა ყოველი გამარჯვება ძვირფასია, მას სხვა სტიმულიც ჰქონდა. შარშან ბოლო რვა წლის განმავლობაში პლეი ოფში პირველად მოხვედრილი „ბაქსი“ პირველი წრიდან სწორედ „ინდიანამ“ გააძევა და მას შემდეგ „მილუოკი“ შემთხვევას ეძებს, თავის მძლეველს სამაგიერო მიუზღოს.

დაიწყო თუ არა მატჩი, იმთავითვე ნათელი გახდა, რომ სტუმრები დასაკლავად განწირული ბატკნის როლს არ დასჯერდებოდნენ და მძლავრ მასპინძლებს იქით შეუტიეს მონდომებით. ისინიც გვიან მოეგნენ გონს, მაგრამ ვეღარაფერი გააწყვეს მეტოქესთან, რომელსაც იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სხვაობა უკანა ხაზში. სტუმართა დაბლებმა — მსროლელმა რეი ალენმა და გამთამაშებელმა სემ კასელმა აშკარად დაჩაგრეს გამოცდილი და ბევრის მნახველი რეჯი მილერი და მარკ ჯეკსონი (12 ქულა). ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ჭკვიანმა გამთამაშებელმა, ჯეკსონმა, პირველი ტაიმი ორი ქულით და ხუთი ბურთის დაკარგვით დაასრულა, ალენს კი პირველ ტაიმში 18 ქულა ჰქონდა ანგარიშზე, კასელს — 13. ეს უპირატესობა ანგარიშშიც შესაბამისად აისახა. პირველი მეოთხედი 33:19 დასრულდა, პირველი ტაიმი — 62:40, ცხადია, „მილუოკის“ სასარგებლოდ.

მასპინძლები მეორე ტაიმშიღა გამოფხიზლდნენ, მაგრამ აქ მოღლილ ალენსა და კასელს ახალგაზრდა ტიმ ტომასი შეეშველა და ყველაფერი „ინდიანას“ მეოთხე შინაური მარცხით დამთავრდა.

„ჰიუსტონ როკიტსი“ ახლა ერთობ დასუსტებულია, მაგრამ ისე როგორ დაეცემა, უფხო გუნდებს თავი დააჩაგვრინოს. ტეხასელები დასავლეთის ყველაზე ცუდ გუნდს, „კლიპერსს“ მასპინძლობდნენ და ლიდერის, ახალბედა სტივ ფრენსისის ბრწყინვალე გარჯის წყალობით იოლად აჯობეს. თავად ფრენსისმა 34 ქულით სეზონისა და კარიერის რეკორდი დაამყარა, თან სულ ერთი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

ერთხანს „კლივლენდ კავალიერსმაც“ დააპირა პლეი ოფისთვის მებრძოლი გუნდების მარაქაში გარევა, მაგრამ... იქ ხომ რვა-რვა (თითო კონფერენციიდან) გუნდი ხვდება, „კლივლენდი“ კი არ გახლავთ იმ გაქანების, მისთვის აღმოსავლეთის რჩეულთა შორის მოიძებნებოდეს ადგილი. დალასში ჩასული „კავალიერსი“ ისეთი ალტკინებით შეება მეტოქეს, თითქოს ამ შეხვედრაში გამარჯვება მის პლეი ოფში მოხვედრა-არმოხვედრის საკითხს საბოლოოდ წყვეტდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ სეზონში შედარებით ჩრდილში მყოფი შონ კემპი.

ბოლო ხანებში არნახულად გამოცოცხლდა „ვაშინგტონ ვიზარდსი“. დედაქალაქელებმა გამარჯვებებს უხშირეს და ახლა მათი დენვერში გამარჯვება მეშვიდე იყო ბოლო ათ თამაშში. „ამ გუნდში თავიდანვე დიდი პოტენციალი ჩანდა. საკმარისია, ბიჭებმა მოინდომონ და მათ თავისუფლად ძალუძთ, ადგილი დაიკავონ წამყვან გუნდებს შორის. ეს ბოლო ხანებშიც არაერთხელ დადასტურდა, მხოლოდ ისაა ძნელი ასახსნელი, რატომ იყო „ვიზარდსი“ აქამდე ჩამქრალი“ — კლუბის პრეზიდენტი, ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი მოთამაშეობისას მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდა და სწორედ ჟინმა და მიზანსწრაფვამ მოუტანა ის წარმატებები, რომლებზეც ნებისმიერი კალათბურთელი ოცნებობს. როცა ჯორდანი „ვაშინგტონის“ ადმინისტრაციის სათავეში მოვიდა, გაკვირვებულმა შენიშნა, რომ „ვიზარდსის“ ვარსკვლავები არც კი ფარავდნენ თავიანთ გულგრილ დამოკიდებულებას გუნდისადმი. „ჩვენ ბევრი კარგი ბიჭი გვყავს. თუნდაც ჯუონ ჰოვარდი. იგი ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშეა ლიგაში, სამწუხაროდ, ზომაზე მეტად აქცევს ყურადღებას ფულს“ — ამბობს ჯორდანი, რომელიც ახალგაზრდობაში ოცჯერ (!) ნაკლებ ხელფასს იღებდა, ვიდრე ჰოვარდი. არა, ჰოვარდი ურიგო ბიჭი არაა, იგი, ალბათ, ყველაზე მეტი თავდადებით აკეთებს თავის საქმეს გუნდში. ახლაც, დენვერში საუკეთესო იყო თავისიანთა შორის.

**ირაკლი ფირაშვილი**

# კარტერმა ნაკრებს სწავლა ამჯობინა

ცვლილებაა „დრიმ თიმად“ წოდებულ ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში. წინათაც ვიუწყებოდით, რომ ნაკრების წევრმა, ფინიქსელმა ტომ გულიოტამ ამ რამდენიმე დღის წინ მუხლი იტკინა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ თავდამსხმელი იძულებულია, დარჩენილი სეზონი გამოტოვოს. როგორც ჩანს, დაშავებულ მუხლს გულიოტა შემოდგომამდე ვერ მოიშუშებს. ასე რომ, ვერც სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებს, რომელიც სექტემბერში გაიმართება. „ახალგაზრდობაში ჩემი ოცნება იყო, ოლიმპიურ თამაშებზე ქვეყნის ინტერესები დამეცვა. როცა თორმეტ მოთამაშეს შორის ამირჩიეს, მივხვდი, რომ ეს ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდი წარმატება და უდიდესი პატივი იყო“ — ამბობს გულდათუთქული გულიოტა, რომელიც ახლა 29 წლისაა და საეჭვოა, რომ კიდევ მიეცეს ოლიმპიადაზე თამაშის შანსი.

ცხადია, ბევრი დაკარგა უილბლო ვარსკვლავმა, მაგრამ ნაკრებს მისი არყოფნით არაფერი დააკლდება. ნბა ხომ სუპერვარსკვლავების სამჭედლოა და გულიოტას შემცვლელის პოვნა არ უნდა გაჭირდეს. კანდიდატები უამრავია. სპეციალურმა კომიტეტმა 23 მარტს კიდეც დაასახელა მისი შემცვლელი. ეს ბედნიერება „ტორონტო რეპტორზის“ ყმაწვილ სუპერვარსკვლავ ვინს კარტერს ერგო, მაგრამ... „ამჟამად ნაკლებად მაღელვებს, ვითამაშებ თუ არა იმ არაფრისმომცემ ოლიმპიადაზე“ — განუცხადა ერთ-ერთ საინფორმაციო საშუალებას კარტერმა, რომელსაც გადაუწყვეტია, ამ ზაფხულს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში ჩააბაროს გამოცდები, რომლის მიტოვებაც ამ ორი წლის წინ, ნბა-ში თამაშის დაწყებისას მოუხდა. ოლიმპიური ოქრო (რომელსაც ალბათ უცილობლად მოიპოვებს ამერიკის ნაკრები), ცხადია, ყველასთვის სანუკვარი ჯილდოა, მაგრამ ამაზე კარტერი ამაზე თავისი ნებით ამბობს უარს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინ ნაკრებში თამაში შაკილ ონილმაც არ ისურვა. თუმცა, კარტერის უარი საბოლოო და ოფიციალური არაა. ასე რომ, მას საკმაო დრო აქვს, რათა გადაწყვეტილება შეცვალოს.

**ივანე კობიაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# I წრე ექვსეული

## ანონსი

ახლა უკვე უკან მოვიტოვეთ რეგალურალი ჩემპიონატის მომქანცველი მარათონი. ექვსეულში დაიგულეს თავი კლუბებმა და თითქოს გულიც დაიმშვიდესო. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ მხოლოდ მოჩვენებითია, ახლა იწყება რაც იწყება, ეშხში შედის მეცხრე ეროვნული და ხვალიდანაც სულ სხვანაირად აძგერდება ქომაგის გული.

ხვალ ექვსეულის თამაშები იწყება. დღევანდელი ქართული კალათბურთის ექვსი წარჩინებული საჩემპიონო ბრძოლას განაგრძობს...

ისეთი ამბები გველის, კაცს რომ თავს ავიწყებს. იოლი თამაში აღარც ერთი იქნება, ერთიორად გაძნელდება მოგება, გამარჯვებასაც სულ სხვა ფასი დაედება.

ექვსეულის თამაშები ორ წრედ ჩატარდება. ერთი თბილისში, ვერის ბაღურ სარბიელზე, მეორე კი აპრილში ბათუმში გაიმართება. ყველაფერი ეს იმიტომ კეთდება, რომ შემდგომში ოთხი რჩეული გუნდი გამოვლინდეს, ისინი, ვინც საბოლოოს მედლებს წაატანენ ხელს.

კლუბთა აზრი და მიზანიც სწორედ ეგ არის. ელიტაში თავი არავის ეზედმეტება და დიახაც რომ ოთხეულში შეღწევა სურთ. საბრძოლოდ გამზადებულან. გუნდები და ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი. თავად მოუსინჯონ ერთმანეთს მკლავის ძალა, თვითონვე გადაწყვიტონ თავიანთი ბედი.

ოთხეულში დამკვიდრება უკლებლივ ყველა გუნდს ძალუძს. ცხადია, ამას ყველა ვერ მოახერხებს, დრო მოვა და ორი მათგანი თამაშგარეთ დარჩება. ეს საფრთხე არა და არ ემუქრება გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს, ბათუმის „ბასკოს". რეგულარულ ჩემპიონატში ზღვისპირულმა გუნდმა კარგი ფორა შეიქნა, „ბასკო" მთელი სამი ქულით უსწრებს უშუალო მდევარს რუსთავის „აზოტს" და ყველაზე უარეს შემთხვევაშიც მხოლოდ ამ კლუბს თუ გაუშვებს თავისზე წინ.

სიმართლე ითქვას, ესეც ნაკლებად მოსალოდნელია, მაშინ „ბასკომ" დარჩენილი ორივე თამაში უნდა დათმოს „აზოტთან" და ერთი-ორი ქულაც სხვასთან შეხვედრაში განიავოს. თუ იმას გავიაზრებთ, რომ ექვსეულის მეორე წრეში „ბასკო" მეტოქეებს მასპინძლის რანგში წარუდგება, მაშინ იქნებ წარმოუდგენლადაც მოგვეჩვენოს ამ გუნდის დაქვეითება.

თუ პროგნოზია, პროგნოზი იყოს. ვფიქრობთ, რომ „ბასკო" თბილისშივე გაინაღდებს პირველობას და მერე დაარხეინებული დაელოდება მეოთხეადგილოსანს, რომელთანაც პლეი ოფში დაიჭერს საქმეს.

„აზოტის" მთავარი საზრუნავი ის გახლავთ, რომ რამენაირად პოზიციები არ დათმოს. ოთარ ხმელიძის გუნდი ახლა მეორეზეა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მესამეობაც ხელს აძლევს, ამაზე უარესს კი, ვფიქრობთ, არ დაუშვებენ რუსთაველები. მეოთხე საფეხურზე ყოფნა ნიშნავს იმას, რომ ნახევარფინალში „ბასკოს" უნდა შეეტოქოს. ბათუმელებთან თამაშს კი, ცხადია, ყველა უფრთხის.

სტუ-ს მიზანიც „აზოტის" მსგავსია. ტექნიკოსები მესამეზე არიან და დაბლა დაშვებას ცოცხალი თავით არ აპირებენ. თუ რატომ, ამაზე უკვე მოგახსენეთ. უბრალოდ, გეტყვით, რომ საწადელის ასრულება „აზოტზე" მეტად გაუჭირდებათ — სტუ-ს სტაბილურობა აკლია, ამ პრობლემას თუ მოევლო, მერე მათგან ყველაფერს უნდა ველოდეთ.

გაცილებით უფრო ფიცხელ ბრძოლას გაუმართავენ ერთმანეთს ექვსეულის ქვედა ნაწილში მოკალათებულნი. ოთხეულში მოხვედრის პატივს სდასუ, „ვითა" და „მაკაბი" შეეცილებიან. სტუ არ უნდა მოდუნდეს, თორემ ამ ომში მასაც დაუნდობლად გარევენ. ახლავე ჩანს, არავინ არაფერს დათმობს, დანდობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აი, მეცხრე ეროვნულის გალვივებული ინტრიგაც. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ყველამ საქმეში უნდა დაამტკიცოს, რა უნდა და შეუძლია.

**გიორგი ბიძაშვილი**

ევროლიგა. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 23 მარტი

# მიზეზი ერთია: ჰაფმანი!



ვილერბანი — ეფესი 77:60. ეფესელი იბრაჰიმ ქუთლუაი (ბურთით) ჯეი ლარანიაგამ მარწუხებში მოაქცია

REUTERS

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1 |
| ოლიმპია | 1 |

**ოლიმპია 71:64 ბარსელონა**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (8), ბრეჟეცი (5), დუშჩაკი, გოლემაცი (18), იასიკევიჩუსი (7), კოტნიკი (4), მილიჩი (20), პარავინია, ზდოვცი (9)

ბარსელონა: ალსტონი (8), დიგბო (7), დუენიასი (7), ელსონი, გასოლი (3), გოლდვაიერი (16), გუროვიჩი (8), ნავარო (6), რენციასი (3), როდრიგესი (6)

ლიუბლიანის „ოლიმპიას" გაუტეხელი გუნდის სახელი აქვს, რაც მეოთხედფინალის საპასუხო მატჩმაც დაადასტურა. ბოლო წამზე მოგებული პირველი მატჩის შემდეგ „ბარსელონას", წესით, დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა უნდა მიელო, მაგრამ ოლიმპიელთა შესანიშნავმა თამაშმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

პირველი ტაიმი უმაღლესი კლასისა იყო. მეტოქეებმა დიდი კალათბურთი ითამაშეს. მასპინძელთა შორის მარკო მილიჩი გამოირჩეოდა, სტუმართა შორის — პირველი მატჩის გმირი ენტონი გოლდვაიერი. „ოლიმპიამ" ფარი დაიპყრო და ბარსელონელი რობერტო დუენიასის 12 მოხსნის მიუხედავად, ამ კომპონენტში 28:22 აჯობა მეტოქეს.

შესვენების შემდეგ თამაშის ხარისხი შედარებით გაუარესდა. „ოლიმპიამ" 13-ქულიანი უპირატესობა მიიღო, მაგრამ მატჩის მიწურულისკენ „ბარსელონა" აფეთქდა და სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბარსელონელები ამ მატჩის შემდეგვე მიიღებდნენ „ოთხთა ფინალის" საგზურს, მაგრამ „ოლიმპიამ" ყურადღება მოიკრიბა და მეოთხედფინალური სერიის გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა გადამწყვეტ მატჩს მიანდო, რომელიც 30 მარტს გაიმართება ბარსელონაში.

| | |
|---|---|
| ეფესი | 1 |
| ვილერბანი | 1 |

**ვილერბანი 77:60 ეფესი**

ვილერბანი: ბილბა (13), ბლომი (4), ლარანიაგა (3), ლოვერნი (4), მაქსი (17), პერსევო (3), პლუვი (6), სამი (1), სილსი (12), სონკო (14)

ეფესი: ბეშოქი (12), დალიენ დრობნიაკი (13), ფირინჯიოღლუ (1), ქუთლუაი (3), მულაომეროვიჩი (15), ონანი (4), რიდი (2), თურქოღლუ (10), ვექილოღლუ

ზუსტად ამგვარი სიტუაცია იყო 1997 წელს. „ვილერბანი" და „ეფესი" ევროლიგის მეოთხედფინალში შეხვდნენ. ორი მატჩის შემდეგ სერიის ანგარიში 1:1 იყო, გადამწყვეტი მატჩი კი, რომელიც სტამბოლში გაიმართა, „ვილერბანმა" მოიგო.

არაერთხელ გვითქვამს, რომ „ეფესი" სასტარტო ხუთეულის გუნდია. საკმარისია რომელიმე კალათბურთელს თამაში არ წაუვიდეს, რომ სტამბოლელებს მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ. ამ მატჩში ვილერბანელებმა მკაცრი მეურვეობა დაუწესეს ეფესელ სნაიპერს იბრაჰიმ ქუთლუაის და ესეც მატჩის დასაწყისში ჩაგდებული ერთადერთი სამქულიანით დაკმაყოფილდა. მისი რიგიანი შემცვლელი „ეფესს" არ ჰყავს. ამიტომ სროლა დამირ მულაომეროვიჩს მოუხდა. ხორვატმა გამთამაშებელმა სამიდან სამი სამქულიანი კი ჩააგდო, მაგრამ ათი ორქულიანიდან მხოლოდ ორს მიუჩინა კალათში ადგილი.

მიუხედავად ამისა, „ეფესმა" ერთი ქულით წააგო ტა[illegible] (32:31). სტუმართაგან მხოლოდ [illegible]სეინ ბეშოქის და ჰიდაიეთ თურქო[illegible] თამაშს თუ ეთქმოდა ნორმალუ[illegible] კოჭნატკენმა პრედრაგ დრობნიაკმა 7 მოხსნას კი მოუყარა თავი, მაგრამ სათანადოდ ვერ ირჯებოდა და დაცვაში რამდენჯერმე გაატარა ვილერბანელი მარლონ მაქსი.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა მკაცრი პრესინგი შესთავაზეს მეტოქეს და 30-ე წუთისთვის 58:48 იგებდნენ. ჯიმ ბილბამ თანაგუნდელთა ლიდერობა იკისრა და გვარიანად შეავიწროვა სტამბოლელები. ჩანს, „ეფესის" მწვრთნელი ერგინ ათამანი მარცხს შეეგუა და ბოლო წუთებში სასტარტო ხუთეულის ყველა წევრი დაასვენა. უხეირო სათადარიგოებმა კი „ვილერბანს" 17 ქულამდე გააზრდევინეს ანგარიშში სხვაობა. „ვილერბანმა" წლეულს შინ გამართული მეთერთმეტე საევროლიგო მატჩიდან მეათე მოიგო.

ცხადია, გამარჯვებულთა მწვრთნელი გრეგ ბენიო გახარებული იყო და გადამწყვეტ მატჩსაც გადასწვდა: „დღევანდელი შეხვედრით აღტაცებული ვარ. ვფიქრობ, სტამბოლში „ეფესის" ძლევას შევძლებთ, ამისთვის საგანგებო სტრატეგია მაქვს შემუშავებული". ამაზე ერგინ ათამანმა მიუგო: „სტრატეგია ვერაფერს გიშველით, რადგან ჩემი მოთამაშეები უფრო მაღალი კლასისა არიან და ამის წყალობით გაჯობებენ".

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 |
| ციბონა | 0 |

**ციბონა 63:69 პანათინაიკოსი**

ციბონა: ალიპოვიჩი, გირიჩეკი (18), კრსტიჩი (6), მარცელიჩი, ნიჩევიჩი (5), პრკაჩინი (3), სარლია (8), სესარი (16), ი. ვრანკოვიჩი (7)

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (16), ბერკი (10), ფოტსისი (4), ჯენტილე (7), კალაიძისი, კატაში (5), კოხი (3), რებრაჩა (11), როჯერსი (13)



ოლიმპია — ბარსელონა 71:64. ბარსელონელი ხუან კარლოს ნავარო მილოშ პარავინიამ (მარცხნივ) და იურე ზდოვცმა შუაში მოიქციეს

REUTERS

„ვულოცავ „პანათინაიკოსს". იგი მართლა დიდი გუნდია და „ოთხთა ფინალში" დამსახურებულად გავიდა. ვუსურვებ მას ევროლიგის მოგებას. ჩვენ კი იმით დავიმშვიდებთ თავს, რომ ათენურ მატჩთან შედარებით გაცილებით უკეთ ვითამაშეთ" — ზაგრების „ციბონას" მწვრთნელი ნევენ სპაჰია წაგებას და ევროლიგიდან გამოთიშვას ღირსეულად შეხვდა.

„მძიმე მატჩი იყო. „ციბონამ" დიდი ბრძოლა გაგვიმართა, მაგრამ მოვიგეთ და „ოთხთა ფინალში" გავაღწიეთ — ათენის „პანათინაიკოსის" მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი თავშეკავებული იყო.

„პანათინაიკოსი" პირველი გავიდა „ოთხთა ფინალში" და ერთადერთი გუნდია, რომელმაც ეს ორი მატჩის შემდეგ მოახერხა. ათენელები მესამედ მოხვდნენ „ოთხთა ფინალში", 1996 წელს მათ ევროლიგა მოიგეს, ხოლო 1994 და 1995 წლებში მესამეები იყვნენ.

ათენელთა მოგების სულისჩამდგმელი იუგოსლაველი ცენტრი ჟელკო რებრაჩა გახლდათ. პანათინაიკოსელის გალაღებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ნიკოლა პრკაჩინის ტრავმამ — „ციბონას" ცენტრმა მე-13 წუთზე მიატოვა მატჩი. ზაგრებელთა უკანახაზელებმა იოსიპ სესარმა და გორდან გირიჩეკმა კარგად კი ითამაშეს, მაგრამ საათივით აწყობილი „პანათინაიკოსის" დასამარცხებლად მარტო მათი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა.

„პანათინაიკოსის" მომავალი მეტოქე „ეფესი"-„ვილერბანის" წყვილში გამარჯვებული ი[illegible]ება.

| | |
|---|---|
| მაკაბი | 1 |
| ფორტიტუდო | 1 |

**ფორტიტუდო 73:80 მაკაბი**

ფორტიტუდო: ბაზილე (14), ფუჩკა (10), გალანდა (6), გაი (3), კარნიშოვასი (12), იარიჩი (10), მაიერსი (8), პილუტი, ს. ვრანკოვიჩი (10)

მაკაბი: ბრისკერი (6), კომეგისი (4), ჰენფელდი (9), ჰაფმანი (29), მაკდონალდი (12), შარფი (3), შეფერი (17)

გახსოვთ ამ გუნდების პირველი მატჩი? ალბათ, ისიც გახსოვთ, როგორ ლანძღავდა „მაკაბის" ხელმძღვანელობა მსაჯებს. ორი დღის შემდეგ კი მსაჯებს „ფორტიტუდოს" მწვრთნელის კარლო რეკალკატის რისხვა დაატყდათ: „თამაშს მოვიგებდით, მსაჯებს ნორმალურად რომ ემსაჯათ. მათ სტოიან ვრანკოვიჩს ზედიზედ სამი ჯარიმა მისცეს და იძულებული ვიყავი, იგი შემეცვალა".

რეკალკატის პირველ მოპასუხედ „მაკაბის" უკანახაზელი დორონ შეფერი შეიქნა: „პირველი მატჩის შემდეგ ჩვენი მწვრთნელი დაემდურა მსაჯებს, ახლა „ფორტიტუდოს" მწვრთნელის ჯერია. მსაჯი მოთამაშესავით ადამიანია და შეცდომის უფლება აქვს".

„მაკაბის" მწვრთნელი პინი გერშონი არც ახლა დაწყნარდა: „ვრანკოვიჩმა ზუსტად ასევე იუხეშა თელ ავივში, მაგრამ მაშინ მსაჯებმა რატომღაც არ დააჯარიმეს".

„ფორტიტუდოს" ცენტრი ჯაკომო გალანდა გულახდილი იყო: „რას ერჩით მსაჯებს. თამაში პირველსავე წუთზე წავაგეთ, რადგან მოედანზე იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულები გავედით. დროზე მოვრჩეთ ლაპარაკს, თორემ შაბათს იტალიის ჩემპიონატის ბოლონიურ დერბიში „კინდერთან" გვაქვს სათამაშო, ხუთშაბათს კი თელ ავივში „მაკაბის" უნდა შევხვდეთ".

მატჩის ბოლო წუთებზე მოედანზე ხალხი გადმოვიდა, პოლიციამ ერთი ორს ხელკეტიც კი წასცხო, სხვაგვარად ვერ დააშოშმინა.

ბოლონიელი მაყურებლის, მწვრთნელის და მოთამაშეების გაგულისების მიზეზი „მაკაბის" ცენტრი, 25 წლის ელამი და ჟღალთმიანი ამერიკელი ნეით ჰაფმანი იყო. ამ კაცმა დიდებულად ითამაშა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. ჰაფმანმა 29 ქულა და 6 მოხსნა გააკეთა, ამასთანავე ცხრამეტი საჯარიმოდან ცხრამეტივე (!) ჩააგდო. რაც მთავარია, ჰაფმანმა თერთმეტი პერსონალური მიაღებინა ფორტიტუდოელებს. აქედან ხუთი — ვრანკოვიჩს, ოთხი — გალანდას.

ჰაფმანმა ფარქვეშ სისწრაფის წყალობით დაჩაგრა შედარებით ზანტი ვრანკოვიჩი და ცამეტ წუთში მოედნიდან გააგდო. სიმართლე ითქვას, ვრანკოვიჩი უფრო ადრე იყო გასაგდები, მაგრამ მსაჯებმა ორი-სამი ჯარიმა აშკარად აპატიეს. რაც არ უნდა იყოს, სტოიანი დიდად ავტორიტეტული მოთამაშეა, ჰაფმანი კი სახელს ახლა იგდებს. ვრანკოვიჩი გალანდამ შეცვალა, ჰაფმანმა ამასაც მალე [illegible]კიდა ოთხი პერსონალური და გავარდნის შიშით მწვრთნელ რეკალკატის სკამზე დაასმევინა. ყველაზე უკეთ ჰაფმანს დან გაი ეთამაშა, მაგრამ ერთადერთი იმას გამორჩა, რომ ბევრი პერსონალურები არ მიიღო.

სანამ ვრანკოვიჩი და გალანდა ჰაფმანზე ჯარიმდებოდნენ, „ფორტიტუდოს" ლიდერობა ლიტველმა არტურას კარნიშოვასმა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. „მაკაბის" მწვრთნელმა პინი გერშონმა გაითვალისწინა, რომ ლიტველმა პირველ მატჩში პირწმინდად დაჩაგრა გურ შელეფი, ამიტომ ეს უკანასკნელი საერთოდ არ ათამაშა და კარნიშოვასის დაკეტვა ნადავ ჰენფელდს მიანდო. ჰენფელდმა შესანიშნავად შეასრულა მწვრთნელის დავალება. ფორტიტუდოელები იძულებულნი გახდნენ, ინდივიდუალურ ოსტატობას დაყრდნობოდნენ. ჯანლუკა ბაზილემ ერთი ორჯერ კი გაიბრწყინა, მაგრამ მას არავინ აჰყვა. „მაკაბიმ" პირველი ტაიმი ცხრა ქულით მოიგო (45:36), მაგრამ მეთექვსმეტე წუთზე 16-ქულიან უპირატესობასაც ფლობდა (39:24).

მეორე ტაიმში „მაკაბის" შეტევებს ცეცხლი მოაკლდა. „ფორტიტუდომ" ვეღარაფრით მოახერხა არეულ-დარეული თამაშის დალაგება და, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ სხვაობა ერთ ქულამდეც შეამცირა, ისეთი მოთამაშე არ აღმოჩნდა, რომელიც გადამწყვეტ მომენტში გუნდის ლიდერობას გასწევდა.

ერთი სიტყვით, 30 მარტს თელ ავივში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

**მერაბ რატიშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 26-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 003 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 004 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 3,0 | 6,5 |
| 005 | შტუტგარტი-ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 006 | ჰამბურგი-მიუნხენ 1860 | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 007 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 008 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | შალკე-აინტრახტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 010 | ვერდერი-დორტმუნდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 24-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 013 | ბოხუმი-კიკერსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 014 | ბოხუმი-კიკერსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | მიონხენგლად.-ობერჰაუზენი ($17^{45}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 016 | ფორტუნა-ალემანია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 017 | მაინცი-კარლსრუე | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 018 | მანჰაიმი-კიოლნი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

27 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | ქემნიცი-კოტბუსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 30-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ასტონ ვილა-დერბი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 021 | ბრედფორდი-მანჩესტერი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 022 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 023 | ჩელსი-საუთჰემპტონი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 024 | ლივერპული-ნიუკასლი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 025 | მიდლსბრო-უენსდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 026 | სანდერლენდი-ევერტონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 027 | უოტფორდი-ტოტენჰემი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 028 | ლესტერი-ლიდსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 029 | არსენალი-ქოვენთრი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 030 | არსენალი-ქოვენთრი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 031 | ვესტ ჰემი-უიმბლდონი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 38-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 032 | ბოლტონი-პორტ ვეილი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 033 | ბოლტონი-პორტ ვეილი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 034 | კრ.პალასი-ჩარლტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 035 | ჰადერსფილდი-ქრიუ | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 036 | იფსვიჩი-ფულემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 037 | მან.სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 038 | მან.სიტი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 039 | ნოტინგემი-ბლექბერნი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 040 | პორტსმუთი-სუინდონი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 041 | ქუინზ პარკი-ნორვიჩი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 042 | შეფილდი-ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 043 | ტრანმერი-უოლსოლი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 044 | ვულვერჰემპტონი-სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

27 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | ბარნსლი-გრიმსბი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 046 | ბარნსლი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 38-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 047 | ბორნმუთი-უიკომბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 048 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 049 | ბარნლი-ბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 050 | კემბრიჯი-ოქსფორდი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 051 | ჩესტერფილდი-ლუტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 052 | კოლჩესტერი-ჯილინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 053 | მილუოლი-როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 054 | პრესტონი-რექსემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 055 | პრესტონი-რექსემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 056 | რედინგი-კარდიფი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 057 | სკანთორპი-ოლდემი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 058 | სტოკი-ბლეკპული | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 059 | უიგანი-ნოტსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 38-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 060 | ტორკი-პლიმუთი ($16^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 061 | ბარნეტი-ბრაიტონი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 062 | ჩესტერი-მენსფილდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 063 | ექსეტერი-ჩელტენემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 064 | ჰალი-დარლინგტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 065 | ლინკოლნი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 066 | მაკლსფილდი-შრიუსბერი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 067 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 068 | ნორთჰემპტონი-საუთენდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 069 | როჩდეილი-კარლაისლი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 070 | როტერჰემი-პიტერბრო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 071 | სუონსი-ლეიტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 072 | სუონსი-ლეიტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 073 | იორკი-ჰარტლპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 29-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 074 | ბორდო-ნანსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 075 | პსჟ-ლე ავრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 076 | მეცი-სენტ ეტიენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 077 | ტრუა-ბასტია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 078 | სტრასბური-მარსელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 079 | მონპელიე-ოსერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 080 | რენი-ლანსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 081 | ლიონი-სედანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 082 | მონაკო-ნანტი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 091 | ლე მანი-გენგამი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 092 | კანი-ლილი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### იტალია. სერია "ა". 27-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 094 | ბოლონია-უდინეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 095 | კალიარი-პარმა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 096 | ლაციო-რომა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 097 | ლეჩე-ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 098 | პერუჯა-ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 099 | პიაჩენცა-ვენეცია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 100 | რეჯინა-ბარი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 101 | ტორინო-ვერონა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალია. სერია "ბ". 28-ე ტური

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 102 | ატალანტა-მონცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 103 | ჩეზენა-პისტოიეზე | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 104 | კიევო-სამპდორია | 3,0 | 2,4 | 2,5 |
| 105 | ემპოლი-კოზენცა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 106 | ჯენოა-ალძანო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 107 | ნაპოლი-ტერნანა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 108 | სალერნიტანა-სავოია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 109 | სალერნიტანა-სავოია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 110 | ვიჩენცა-ფერმანა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 111 | ვიჩენცა-ფერმანა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 112 | ტრევიზო-რავენა | 1,7 | 2,7 | 5,6 |

27 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 113 | ბრეშა-პესკარა | 1,6 | 2,7 | 7,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 30-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 114 | მალაგა-ბარსელონა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 115 | ესპანიოლი-რასინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 116 | ბილბაო-სევილია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 117 | ბილბაო-სევილია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 118 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 119 | ნუმანსია-ატლეტიკო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 120 | ალავესი-სარაგოსა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 121 | რეალი-რაიო ვალეკანო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 122 | რეალი-რაიო ვალეკანო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 123 | ბეტისი-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 124 | ვალენსია-მალიორკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 125 | დეპორტივო-ოვიედო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 126 | დეპორტივო-ოვიედო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 32-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | კორდობა-ლოგრონიესი ($15^{00}$) | 1,6 | 3,3 | 4,7 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 128 | ატლეტიკო-ბადახოსი ($15^{00}$) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 129 | ლეგანესი-ალბასეტე ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 130 | ლას პალმასი-ესტრემადურა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 131 | სპორტინგი-ვილიარეალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 132 | უელვა-ელჩე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 133 | ტოლედო-ეიბარი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 134 | მერიდა-ხეტაფე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 135 | ოსასუნა-სალამანკა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 136 | კომპოსტელა-ლეიდა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 137 | ტენერიფე-ლევანტე | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### პორტუგალია. 27-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 139 | ბელენენსეში-გიმარაეში | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 140 | პორტუ-მარიტიმუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 141 | პორტუ-მარიტიმუ 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 142 | ბრაგა-ბენფიკა | 4,4 | 3,1 | 1,7 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 143 | ამადორა-ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 144 | ალვერკა-სალგეირუში | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 145 | ჟილ ვისენტე-სეტუბალი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 146 | რიუ ავე-ლეირია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 147 | ბოავიშტა-სანტა კლარა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 148 | ბოავიშტა-სანტა კლარა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჰოლანდია. 27-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 153 | გრააფსხაპი-ვალვაიკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 154 | კამბური-როდა | 3,3 | 3,0 | 1,9 |
| 155 | ვიტესი-ჰერენვენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

26 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 156 | აიაქსი-ნაიმეგენი ($17^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 157 | აიაქსი-ნაიმეგენი ($17^{30}$) 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 158 | ტვენტე-უტრეხტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 159 | ტვენტე-უტრეხტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 160 | ფეიენოორდი-სპარტა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 161 | ფეიენოორდი-სპარტა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ბელგია. 28-ე ტური

25 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | გენკი-სენტ ტრუიდენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 164 | გენტი-ლოკერენი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 165 | გენტი-ლოკერენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 166 | ვესტერლო-ბეერსხოტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 167 | მეხელენი-აალსტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 168 მუსკრონი-ლიერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 169 შარლერუა-ლომელი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 170 ბევერენი-გეელი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 26 მარტი | | | |
| 171 ჰარელბეკე-ანდერლეხტი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| საბერძნეთი. 25-ე ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 181 არისი-აეკ | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 26 მარტი | | | |
| 172 კალამატა-ირაკლისი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 173 პანიონიოსი-პროდეფტიკი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 174 პანიონიოსი-პროდეფტიკი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 175 პანილიაკოსი-ეთნიკოსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 176 აპოლონი-პანაჰაიკი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 177 ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 178 კავალა-ქსანთი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 180 ტრიკალა-ოფი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 27 მარტი | | | |
| 179 იონიკოსი-პაოკ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჩეხეთი. 22-ე ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 183 ვიქტორია-ლიბერეცი ($13^{15}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 184 დუკლა-ბუდეიოვიცე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 185 იაბლონეცი-ბანიკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 186 ოპავა-ჰ.კრალოვე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 187 სპარტა-ბრნო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 188 სპარტა-ბრნო 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 189 დრნოვიცე-ბლშანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 26 მარტი | | | |
| 190 სიგმა-სლავია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| პოლონეთი. მე-20 ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 191 ლეხი-ლეგია ($15^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 192 ლკს-რაძიონკოვი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 193 ვისლა-გროცლინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 194 ვისლა-გროცლინი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 195 პოლონია-სტომილი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 196 რუხი-პოგონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 197 ამიცა-ოდრა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 198 გურნიკი-ვიძევი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 26 მარტი | | | |
| 199 ზაგლებე-პლოცკი ($17^{00}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| უკრაინა. მე-17 ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 200 ტავრია-კრივბასი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 201 ზირკა-ვორსკლა | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| 202 მეტალურგი-ზაპოროჟიე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 203 ჩორნომორეცი-შახტარი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 204 კარპატი-პრიკარპატია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 205 მეტალისტი-მარიუპოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 206 ცსკა-ნივა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 26 მარტი | | | |
| 207 დნიპრო-დინამო | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| თურქეთი. 26-ე ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 209 ისთანბული-ვანი ($16^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 210 ისთანბული-ვანი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 211 ბურსა-სამსუნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 212 ადანა-ერზურუმი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 213 ტრაბზონი-ბეშიქთაში | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 26 მარტი | | | |
| 214 ანკარა-გენჩლერბირლიგი ($16^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 215 ანთალია-გიოზთეფე ($16^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 216 ქოჯაელი-ალთაი ($16^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 217 გალათასარაი-ფენერბაჰჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შოტლანდია. 28-ე ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 218 დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 219 ჰართსი-მოზერუელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 220 კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 221 სენტ ჯონსტონი-დანდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 26 მარტი | | | |
| 222 რეინჯერსი-სელტიკი ($17^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ავსტრია. 26-ე ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 225 ბრეგენცი-გრაცერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 226 ლინცერი-რაპიდი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 227 ზალცბურგი-ლუსტენაუ | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 26 მარტი | | | |
| 228 აუსტრია-ტიროლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| შვეიცარია. მე-3 ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 229 ლოზანა-ქსამაქსი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 230 სერვეტი-სენტ გალენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 26 მარტი | | | |
| 231 გრასჰოპერი-ივერდონი ($17^{30}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 232 გრასჰოპერი-ივერდონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 233 ლუცერნი-ბაზელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დანია. 21-ე ტური | | | |
| 26 მარტი | | | |
| 234 ვაილე-კოპენჰაგენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 235 აკადემისკი-სილკებორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 236 ოლბორგი-ოდენსე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 237 ვიბორგი-ესბიერგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 238 ორჰუსი-ჰერფიოლგე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 239 ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| რუსეთი. 1-ლი ტური | | | |
| 25 მარტი | | | |
| 241 კრილია-ურალანი ($17^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 242 სპარტაკი-ალანია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 243 სპარტაკი-ალანია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 244 ფაკელი-როსტსელმაში | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 245 როტორი-ზენიტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 246 ანჟი-ტორპედო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 247 ნ.ნოვგოროდი-ჩერნომორეცი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 248 დინამო-სატურნი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 249 დინამო-სატურნი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| კალათბურთი. NBA | | | |
| 25 მარტი | | | |
| 812 ატლანტა-შარლოტი | | | |
| 813 დალასი-ვაშინგტონი | | | |
| 814 სან ანტონიო-კლივლენდი | | | |
| 815 კლიპერსი-დეტროიტი | | | |
| 816 ვანკუვერი-იუტა | | | |
| 26 მარტი | | | |
| 817 ნიუ ჯერსი-დენვერი | | | |
| 818 ორლანდო-მაიამი | | | |
| 819 ინდიანა-ფილადელფია | | | |
| 820 მილუოკი-ბოსტონი | | | |
| 821 მინესოტა-ტორონტო | | | |
| 822 ჰიუსტონი-ჩიკაგო | | | |
| 823 ფინიქსი-გოლდენ სტეიტი | | | |
| 824 საკრამენტო-ლეიკერსი | | | |
| 825 პორტლენდი-ნიუ იორკი | | | |
| 27 მარტი | | | |
| 826 იუტა-დალასი | | | |
| 827 სიეტლი-სან ანტონიო | | | |
| ჰოკეი. NHL | | | |
| 25 მარტი | | | |
| 834 ბოსტონი-ლოს ანჯელესი | | | |
| 835 ტორონტო-ნიუ ჯერსი | | | |
| 836 ოტავა-ვაშინგტონი | | | |
| 837 ფლორიდა-მონრეალი | | | |
| 838 ნეშვილი-კალგარი | | | |
| 839 ედმონტონი-ვანკუვერი | | | |
| 26 მარტი | | | |
| 840 ფილადელფია-პიტსბურგი | | | |
| 841 დეტროიტი-რეინჯერსი | | | |
| 842 ჩიკაგო-სენტ ლუისი | | | |
| 843 დალასი-კოლორადო | | | |
| 844 კაროლინა-აილენდერსი | | | |
| 845 ტამპა ბეი-მონრეალი | | | |
| 846 ატლანტა-ლოს ანჯელესი | | | |
| 847 ანაჰაიმი-ფინიქსი | | | |
| 27 მარტი | | | |
| 848 რეინჯერსი-დეტროიტი | | | |
| 849 კაროლინა-ბუფალო | | | |
| 850 კოლორადო-ჩიკაგო | | | |
| 851 სან ხოსე-ედმონტონი | | | |

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებულ თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ვენერა თვალს მიეფარა

მეხუთე დიდი სლემის ტურნირად შერაცხული კი ბისკეინის პირველობა, ხუთშაბათს ახალი სახელით და ძველი ჩემპიონების გარეშე დაიწყო — ვერც ვინუს უილიამსი და ვერც რიჩარდ კრაიჩეკი შარშან მოპოვებულ ტიტულებს ვერ დაიცავან.

კრაიჩეკმა თებერვლის დასაწყისში, თავის მრავალტანჯულ მუხლებზე კიდევ ერთი ოპერაცია გადაიტანა და მზიან ფლორიდაში ჩასვლაზე არც უოცნებია, ის აპრილის ბოლოსლა თუ განაახლებს ასპარეზობას.

სამაგიეროდ, ტურნირის ორგზის ჩემპიონის, უფროსი უილიამსის ზრდილობიანი უარი ბევრისთვის მოულოდნელი იყო: „ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რომ მაიამიში თამაშს ვერ შევძლებ, მაგრამ მაჯები ისევ მტკივა და არ მინდა, ტრავმა გავიმიზეზო“.

ვინუსს WTA ტურზე ნოემბრის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული არ უთამაშია. ავსტრალიის ღია პირველობა იანვარში მან მარცხენა მაჯის ტრავმის გამო გამოტოვა, მერე რამდენიმე მცირე ტურნირსაც არ ეწვია და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მყესების ანთება მარტო მარცხენა კი არა, მარჯვენა ხელზეც ჰქონია.

„ამჟამად თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, რამდენჯერმე ვივარჯიშე კიდეც, მაგრამ სრულიად არ გამოვჯანმრთელებულვარ და ექიმებმა მირჩიეს, ცოტაც დამესვენა“ — შემოთვალა უილიამსმა, რომლის დაკუნთულ სხეულს ჩოგბურთის კორტზე მაისის დასაწყისამდე ველარ ვიხილავთ.

ბევრმა შეიძლება შვებითაც ამოისუნთქოს ვინუსის არყოფნის გამო და შავ ჩოგბურთელს სეზონის ბოლომდე ხელფეხის დამტვრევა და თვალის დავსებაც უსურვოს, მაგრამ ამერიკელს პრობლემები ისედაც თავზე საყრელი აქვს.

ამათგან უმთავრესი ის არის, რომ ბოლო ერთი წელია, უილიამსი თავისმა უმცროსმა დამ დაჩრდილა. აშშ-ის ღია პირველობაზე სერენას გაჩემპიონებისა და დაჯილდოების ცერემონიალის დროს, ვინუსი საოცრად დაღვრემილი გახლდათ, მეორე დღეს დასთან ერთად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე კი დანა პირს არ უხსნიდა და შესამჩნევად იტანჯებოდა.

სერენამ რამდენიმე კვირაში პირად შეხვედრაშიც დაამარცხა უფროსი დაიკო, მერე პრეზიდენტ კლინტონის პირადი მიწვევით თეთრ სახლსაც ესტუმრა და შურით გულზე გამსკდარ ვინუსს ჩოგბურთის თამაშის ხალისიც დაუკარგა.

ბოლო რამდენიმე თვეა, ჩოგბურთზე გულაყრილი უილიამსი ფლორიდის ხელოვნების აკადემიაში დიზაინერის პროფესიას ეუფლება. თამაშითა და მოგზაურობით დაკავებულ სერენას იგი აქ მაინც სჯობნის ნიშნებით და გერმანიის ღია პირველობაზე თამაშის განახლებამდე, კიდევ ექვსი კვირა აქვს იმის გადასაწყვეტად, ჭრა-კერვა ურჩევნია თუ კორტზე ოფლისღვრა.



ვინუს უილიამსი



ენდი როდიკი

# პირისპირ კერპთან

კი ბისკეინი. აშშ. „ერიქსონის ღია პირველობა“ ჰარდი. საპრიზო 5,76 მილიონი $

კი ბისკეინის ტურნირს შარშანდლამდე „ლიპტონის“ პირველობა ერქვა, მაგრამ საქვეყნოდ განთქმულმა ჩაის მწარმოებელმა ფირმამ, ახალი ათასწლეულიდან სპონსორობა აღარ ისურვა და ეს პატივი არანაკლებად ცნობილ შვედურ ტელესაკომუნიკაციო ფირმას — ერიქსონს გადაულოცა.

კიდევ ერთი, ჩოგბურთისთვის სასიამოვნო ცვლილება ის არის, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 21 პროცენტით — 4,78-დან 5,76 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც მოთამაშეებს ჯიბის კიდევ უფრო გასქელების შესანიშნავ პერსპექტივას უქმნის. კაცების ჩემპიონი, მაგალითად, 410 ათასით გამდიდრდება.

პირველ წრეში ყველა განთესილი (ასეთი კი 32-ია) ისვენებდა, ამიტომ ასპარეზი იშვიათი გამონაკლისის გარდა ნაკლებად ცნობილ ჩოგბურთელებს დაეთმოთ.

მასპინძელთა ყველაზე დიდი ყურადღება 17 წლის ამომავალ ვარსკვლავ ენდი როდიკს დაეთმო. ამერიკელები დიდი ხანია, ჩივიან, რომ სამპრას-აგას-კურიე-ჩანგის ზეწარმატებული თაობის შემდეგ, ნიჭიერი ახალგაზრდები აღარ ეზრდებათ და ადრე თუ გვიან კატასტროფას ელიან.

მოევლინება თუ არა როდიკი მესიად შეჭირვებულ თანამემამულეებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ ბიჭს ნიჭიცა და ფიზიკური მონაცემებიც შესაშური აქვს. იანვარში ფლორიდელი ჩოგბურთელი პირველი ამერიკელი გახდა, რომელმაც 1959 წლის შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობის ჭაბუკთა ჩემპიონობა მოიპოვა, თანატოლთა შორის კლასიფიკაციით პირველია და სიმაღლე — 188 სანტიმეტრი იმის გარანტიასაც აძლევს, რომ არც პროფესიონალებს დაეჩაგვრინება იოლად.

როდიკს ტურნირის ორგანიზატორებმა პირველივე წრეში ცენტრალურ კორტზე მიუჩინეს ადგილი და მანაც იმედი არ გააცრუა — ესპანელი ფერნანდო ვისენტეს 6:4, 6:0 განადგურებით ATP ტურზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. მძლავრი ფორჰენდის გარდა ამერიკელმა მეტოქე ყუმბარისებური მოწოდებებითაც დაბომბა — მისი ეისების სიჩქარემ ორჯერ 215 კმ/სთ-ს მიაღწია: „ხანდახან ვუცქერდი ხოლმე რადარზე ციფრებს და ვერთობოდი. არ ვიცი, ასე სწრაფად როდესმე თუ მომიწოდებია, ავსტრალიაშიც იყო მსგავსი მოწყობილობა, მაგრამ იქ კილომეტრებში წარმოებდა აღრიცხვა და ვერაფერს ვხვდებოდი“.

როდიკს, რომელიც წლეულს სკოლას ამთავრებს და ძირითადად ოთხებზე სწავლობს, მეორე წრეში თავის კერპთან, ანდრე აგასისთან ელის შეხვედრა: „ვფიქრობ, ტრიბუნებზე ცოტა მეტი ხალხი იქნება. ანდრე ბავშვობიდან ჩემი გმირი იყო. ახლაც, აქ გვერდით რომ ჩავუვლი ხოლმე, ასე მგონია, სუპერვარსკვლავს ვხედავ. იმედია, უახლოეს ორ ღამეს დაძინებას მოვახერხებ“.

მშვიდობიანად გააღწია მეორე წრეში გორან ივანიშევიჩმა. ხორვატმა დევიდ პრინოშილს მოუგო 6:2, 6:3 და განაცხადა, რომ ბოლო ხანებში წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, სპორტიდან წასვლას არ აპირებს.

„ვფიქრობ, ორი-სამი წელი კიდევ ვითამაშებ. აღნაგობაც ისეთი მაქვს, არც ვსუქდები, არც მოუქნელი ვხდები და ისევ ბევრ ეისს ვურტყამ. მართალია, ისეთ მატჩებს ვაგებ, რომლებიც, წესით, უნდა მოვიგო, მაგრამ მაინც კარგ დროს ვატარებ ტურზე. თანაც, რაც უფრო ცუდად ვთამაშობ, ხალხს მეტად და მეტად ვუყვარვარ. რატომ, არ ვიცი“.

პირველი წრე. კაცები: **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:5, 6:3; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ხუან ალბერტ ვილოკა (ესპანეთი) 6:4, 6:2; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:3, 6:4; **ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 6:3; **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 7:5, 6:2.

ქალები: **ფაბიოლა ზულაგა** (კოლუმბია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:5), 7:5; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 5:7, 6:3, 6:2; **ირინა სპირლეა** (რუმინეთი) — კატარინა სებოტნიკი (სლოვაკეთი) 7:5, 6:1; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — ნანა მიაგი (იაპონია) 6:3, 6:2; **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — მარიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS კი ბისკეინიდან



# შედეგური რეკორდის ამბავი

ახლახან დასრულებულმა ათენის მსოფლიოს პირველობამ 15 ახალი მსოფლიოს რეკორდი მოიტანა, გუშინწინიდან მოყოლებული არც ამერიკულ მინეაპოლისში მიმდინარე უნივერსიადის მაგვარ სტუდენტთა შეჯიბრებას დაჰკლებია ხმაურიანი მიღწევები. მინესოტას შტატის ხსენებული მოზრდილი ქალაქის საცურაო აუზში 23 მარტს ერთი იშვიათი მოვლენა მოხდა — მსოფლიოს რეკორდი 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ერთბაშად ორმა კაცმა გააუმჯობესა, ოღონდ რახან ამერიკელმა ენტონი ერვინმა სამხრეთაფრიკელ როლანდ შომენს ფინიშთან წამის მეასედით მიასწრო, რეკორდის ავტორიც ის შეიქნა. წინასწარ გაცურვებში შომენი უფრო რიგიანად გამოიყურებოდა. არიზონას უნივერსიტეტის მეორეკურსელმა მაშინ ბრიტანელი მარკ ფოსტერისგან 1998-ში დამყარებული რეკორდი გაიმეორა (21, 32 წმ) და საღამოს ესტაფეტაზე ამ შედეგს კიდევ ოთხი მეასედი ჩამოაკლო. შომენმა საღამოს ერთეულთა ფინალშიც თევზივით იცურავა და 21,22 წამი უჩვენა, რაც მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი რეკორდი იქნებოდა, ფინიშისთვის უწინ კალიფორნიელ პირველკურსელს, ანუ ერვინს რომ არ ეწია.

სტუდენტებთან ერთად მინეაპოლისში არც თავისუფალ მსმენელებს შეურცხვენიათ თავი. უნგრელი ატილა ჟუზე, რომელიც შომენივით არიზონას უნივერსიტეტში ეწაფება განათლებას, გუშინ 200-მეტრიანი დისტანციის ტრიუმფატორი გახდა. შერეული სტილით ცურვაში, უნგრელმა ფინელი იანი რივინენის ექვსწლიანი რეკორდი დაამხო და თავისი წარმატების მთავარ ფაქტორებად, ამერიკაში გავლილი წვრთნის უნიკალური სისტემა და არიზონას თბილი მზე დაასახელა. მესამე მსოფლიოს რეკორდი 4X50 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში აღინუსხა. დილის მოთელვაზე ობერნის უნივერსიტეტის ბიჭებმა მატ ბასბიმ (ფეხბურთთან ასოციაცია გაგიჩნდებოდათ), აარონ კიარლამ, გრეგ ბუსემ და იმათმა ვენესუელელმა ამხანაგმა, ოსვალდო გუევედომ მთლიანი საქმის გასაკეთებლად წუთი და 24,83 წამი დახარჯეს, ოღონდ ამგვარ მიღწევებს მოცურავეთა საერთაშორისო ფედერაცია არ ამტკიცებს და მას მხოლოდ არაოფიციალური რეკორდების ისტორია შეინახავს.

**დავით გულუა**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სეოკ-ის თანამშრომელს კოტე ღლონტს ბიძის, თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის

ლერი ვარდოშვილის

გარდაცვალების გამო



# ზაბელი ისევ გააქანეს

გერმანელმა მრბოლმა ერიკ ზაბელმა „კატალონიის კვირეულში“ ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო. ამჯერად, მან ვიჩიდან სერდანიოლა დელ ვალესამდე მიასწრო ყველას. საერთო ჩათვლაში პირველობა კი ესპანელმა ხავიერ პასკუალ როდრიგესმა შეინარჩუნა. მისნაირი დრო კიდევ ერთ ესპანელს, სანტიაგო ბლანკოს აქვს, შვიდი მრბოლი კი ლიდერს მხოლოდ ოთხი წამით ჩამორჩება. ამ შვიდეულში არიან „კატალონიური კვირეულის“ ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებულები — ფრანგი ლორან ჟალაბერი და ჰოლანდიელი მიქაელ ბოგერდი.

ეტაპი საკმაოდ მთიანი იყო და ბევრიც ლამობდა შეტევას, მაგრამ როდრიგესის თანაგუნდელები რბოლას აკონტროლებდნენ და არავისთვის მიუციათ დიდი ხნით დაწინაურების საშუალება. ბოლო 30 კილომეტრზე იერიშები მომრავლდა. გზის უკანასკნელ აღმართზე ბერზინმა და გეროსამ სცადეს გაქცევა, მაგრამ მათ მარტოობა არ დააცალეს. დაღმართზე აქსელ მერქსმა მოინდომა პელოტონს დაშორებოდა, მაგრამ ისიც ამაოდ დაშვრა.

ფინიშამდე სამიოდ კილომეტრიღა რჩებოდა, „ტელეკომის“ წევრებმა სპრინტისთვის მზადება რომ დაიწყეს. მათ მშვენივრად გაართვეს თავი ამოცანას და ზაბელი ყველაზე უკეთ გამოაქანეს. ბერლინელსაც არ გასჭირვებია გამარჯვება და ფინიშის ხაზიც ხელებალმართულმა გადაკვეთა.

**გაგი გურული**



ერიკ ზაბელს თანაგუნდელებმა მეორედ მოაგებინეს

**კატალონიის კვირეული**

მეოთხე ეტაპი. ვიჩი — სერდანიოლა დელ ვალესი, 156 კმ

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — 3სთ 37წთ 48წმ
2. იგორ ფლორესი (ესპანეთი, ესკალტელი)
3. ბეატ ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი)
4. რუჯერო მარძოლი (იტალია, კანტინა ტოლო)
5. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ხავიერ პასკუალ როდრიგესი (ესპანეთი, კელმე) — 15სთ 27წთ 56წმ
2. სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი, ვიტალიციო) — იგივე დრო
3. ჯუზეპე დი გრანდე (იტალია, ფესტინა) — +4წმ
4. აქსელ მერქსი (ბელგია, მაპეი) — +4
5. ლორან ჟალაბერი — +4

# F1

მეორე ეტაპი **ბრაზილიის დიდი პრიზი**

## ინტერლაგოსი

*სან პაულუ, 26 მარტი*




**ტრასის სიგრძე** ........................................................ **4.292 კმ**
**რბოლის დისტანცია** .................................... **72 წრე — 309.024 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 21 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 ფრენცენი (ჯორდანი); 4 რ.შუმახერი (უილიამსი); 5 ირვინი (ფერარი); 6 პანი (პროსტი)

**კვალიფიკაცია** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:16.568

**წინა წლების გამარჯვებულები**

1990 — პროსტი (ფერარი); 1991 — სენა (მაკლარენი); 1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — სენა (მაკლარენი); 1994 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996 — ჰილი (უილიამსი); 1997 — ვილნევი (უილიამსი); 1998 — ჰაკინენი (მაკლარენი);

**საუკეთესო წრე** . . . ვილნევი (უილიამსი) - 1997 — 1:18.397

# სან პაულუში უკუღმა დაჰქრიან

ხვალ ბრაზილია 28-ედ უმასპინძლებს „სამეფო რბოლებს". საწყისი ხუთი ეტაპი სან პაულუში, „ინტერლაგოსზე" ჩატარდა. 1973 წელს სადებიუტო დიდ პრიზს მასპინძელი ემერსონ ფიტიპალდი („ლოტუსი") დაეუფლა. ემომ მომდევნო წელსაც აჯობა ყველას, ამჯერად „მაკლარენის" ბოლიდით. 1975 წლის გათამაშება კი კიდევ ერთმა ბრაზილიელმა პილოტმა, ჟოზე კარლოს პასემ („ბრებემი") მოიგო. მართალია ეს გამარჯვება ერთადერთი აღმოჩნდა მის ხანმოკლე კარიერაში (პასე 1977 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა), ფიტიპალდიმ კი ორჯერ ჩემპიონობა მოასწრო, მაგრამ ავტოდრომს სწორედ პასეს სახელი დაარქვეს.

ბრაზილიურმა ეტაპმა 80-იან წლებში რიო დე ჟანეიროს „ჟაკარაპაგუაზე" დაიდო ბინა. მას შემდეგ კი, რაც ყოფილ დედაქალაქში ათჯერ გათამაშდა, ძირფესვიანად რეკონსტრუირებულ და თითქმის ორმაგად დამოკლებულ „ინტერლაგოსს" დაუბრუნდა 1990 წელს. ოთხკილომეტრიანი წრე საკმაოდ რთულია. იქ პილოტებს პირველ ყოვლისა დამატებით სირთულეებს უქმნის ის გარემოება, რომ უჩვეულო, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით უხდებათ რბოლა. ტრასის პირველი ნაწილი ჩქაროსნულია — ორ გრძელ, სწორ მონაკვეთზე სიჩქარე 300 კმ/სთ-ს აჭარბებს. შემდეგ მოდის მოსახვევების ჩახლართული სისტემა, რაც რბოლის ტემპს მნიშვნელოვნად ამცირებს.

რამდენიმე საინტერესო ფაქტი: ათჯერ ჩემპიონატი სწორედ ბრაზილის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყო. 1984 წელს იქ შედგა ლეგენდარული ბრაზილიელი მრბოლის, აირტონ სენას დებიუტი. ორჯერ ასპარეზობა კოკისპირული წვიმის გამო ვადამდე შეწყდა. 1977 წელს რვა ბოლიდს ავარია შეემთხვა ტრასის უხარისხო საფარის მიზეზით. ბოლო ცხრა სეზონში „ინტერლაგოსზე" გამარჯვებულმა რვაჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. ბრაზილიაში მოგებებით რეკორდსმენია ოთხგზის ჩემპიონი ალენ პროსტი — „პროფესორმა„ 1982-90 წლებში ექვსჯერ იზეიმა წარმატება. სხვათა შორის, ეს მიღწევა ფორმულის აბსოლუტური რეკორდიცაა — ერთი ქვეყნის დიდი პრიზი შვიდჯერ არავის მოუგია. გუნდურ ჩათვლაში „მაკლარენი" ლიდერობს — ამ ინგლისური საჯინიბოს პილოტები ცხრაჯერ იდგნენ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე. „ფერარისა" და „უილიამსის" მარაგში 5-5 გამარჯვებაა.

რაც შეეხება წლევანდელი ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტების — მიხაელ შუმახერისა და მიკა ჰაკინენის მაჩვენებლებს, მათ „ინტერლაგოსზე" წარმატებას ორ-ორჯერ მიაღწიეს. თუმცა გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ფინელი მრბოლის მხარესაა, რადგან მან ბოლო ორ გათამაშებაში იმარჯვა, ამასთან, ორჯერვე პოულიც მისი იყო.

მაგრამ, როგორც ყოვლისმცოდნე სტატისტიკა გვამცნობს, დღემდე ვერავინ შეძლო ბრაზილიაში ზედიზედ სამჯერ გაემარჯვა. ასე რომ...



მიხაელ შუმახერს და მის ბოლიდს „ფერარის" საჯინიბოში თავს დასტრიალებენ

REUTERS სან პაულუდან



„მერსედესის" ძრავმა მიკა ჰაკინენს თავსატეხი გაუჩინა

# ჰონდა — BAR-ის ბაირამი

წლევანდელი ჩემპიონატის პირველი, ავსტრალიური ეტაპის შემდეგ, „მოხეტიალე ცირკის" მონაწილეებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და თავისი მრავალტონიანი და მრავალმილიონდოლარიანი ბარგი-ბარხანა მელბურნიდან ოკეანის გაღმა, ბრაზილიაში გადაიტანეს.

ბოლიდებში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად მექანიკოსებს არც თუ ცოტა — ათიოდე დღე ჰქონდათ. სხვათა შორის, მიმდინარე სეზონის კალენდარში რბოლებს შორის მხოლოდ ორკვირიანმა „ფანჯრებმა" ჩემპიონატი გაცილებით დინამიური და „ცოცხალი" გახადა წინა წლებთან შედარებით, როცა ეტაპებს შორის გაწელილ სამ-ოთხკვირიან შუალედებში პილოტები ზედმეტად „ცივდებოდნენ" და ასპარეზობისადმი ინტერესიც ნელდებოდა.

მელბურნის „ალბერტ პარკში" განცდილი ფიასკოს შემდეგ „მაკლარენს", მართალია, ცხვირპირი არ ჩამოსტირის, მაგრამ ნირწამხდარი რომაა, ცხადია. ასეთ უნიათო სტარტს, იმას, რომ ორივე ბოლიდი გზის მესამედის, ანუ 100 კმ-ის გავლასაც ვერ შესძლებდა, ცხადია, არავინ ელოდა. მითუფრო ზედიზედ მეორედ, რადგან მიკა ჰაკინენისა და დევიდ კულთჰარდის „ვერცხლისფერ ისრებს" ავსტრალიაში შარშანაც ზუსტად იგივე დაემართათ. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ორი სეზონი „ფერარი" მეტოქეზე გაცილებით საიმედოდ გამოიყურება. მაგალითად, შარშან „სისხლისფერმა ბედაურებმა" 32 სტარტიდან მხოლოდ ოთხჯერ ვერ მიაღწიეს ფინიშამდე, „მაკლარენებმა" კი თორმეტჯერ.

არადა, ორსაათიანი რბოლის ბოლომდე გაძლება უფრო მანქანაზე რომაა დამოკიდებული, ვიდრე თავად პილოტზე, გასული სეზონის ყველაზე უსახური გუნდის BAR-ის მაგალითიც კმარა. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი „ტირელის" ბოლიდის საჭეს 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჟაკ ვილნევი უჯდა, 16 რბოლაში გუნდმა ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შესძლო. უფრო მეტიც, ჩემპიონმა მხოლოდ სამჯერ მოახერხა 300-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშამდე მისვლა. წლეულს კი, პირველივე ეტაპმა სენსაციური შედეგი მოიტანა — ვილნევიცა და რიკარდო ზონტაც ექვსეულში აღმოჩნდნენ და ერთბაშად ოთხი ქულა მოიპოვეს. ასეთი რადიკალური ცვლილებების უმთავრესი მიზეზი გახლავთ „იაპონური დოპინგი", ანუ კონცერნ „ჰონდას" ახალთახალი ძრავი, რომლითაც შარშანდელი უნიათო „სუპერტეკი" შეცვალეს.

წლევანდელ სეზონს, როგორც ცნობილია, სამი ახალბედა ჰყავს — გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი, ბრიტანელი ჯენსონ ბატონი და არგენტინელი გასტონ მაცაკანე. „ალბერტ პაკში" სამივემ ვაჟკაცურად იბრძოლა, თუმცა თავი მაინც ვერაფრით გამოიჩინა. მხოლოდ ჰაიდფელდმა შეძლო გზის ბოლომდე დაძლევა, ბატონის დებიუტი კი იმითაა აღსანიშნავი, რომ 20 წლისა და ორი თვის ბრიტანელი ფორმულის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი უმრწმესი პილოტი შეიქნა. რეკორდი კი ახალზელანდიელ მაიკლ გაქველს ეკუთვნის — 1980 წელს კანადაში დებიუტის დღეს იგი ზუსტად ცხრამეტნახევარი წლისა იყო.

„მწვანე კონტინენტის" დიდი პრიზის მოგებით მიხაელ შუმახერმა, როგორც იქნა, მეცხრე ცდაზე ნავსი გატეხა და იქაური პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შედგა. ეს შუმის მე-17 ტრიუმფი გახლავთ ლეგენდარული იტალიური საჯინიბოს შემადგენლობაში ჩატარებული 60 რბოლაში. ვფიქრობთ, საინტერესოა, ვის რამდენი რბოლა მოუგია ერთი გუნდისთვის, ცხრილის ბოლო გრაფაში კი კარიერის გამარჯვებათა საერთო რაოდენობაა.

**ირაკლი ნიკოლაძე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აირტონ სენა (ბრაზილია) | მაკლარენი | 35 | 41 |
| 2 ალენ პროსტი (საფრანგეთი) | მაკლარენი | 30 | 51 |
| 3 ნაიჯელ მენსელი (დ. ბრტანეთი) | უილიამსი | 28 | 31 |
| 4 ჯიმ კლარკი (დ. ბრიტანეთი) | ლოტუსი | 25 | 25 |
| 5 დეიმონ ჰილი (დ. ბრიტანეთი) | უილიამსი | 21 | 22 |
| 6 მიხაელ შუმახერი (გერმანია) | ბენეტონი | 19 | 36 |
| 7 მიხაელ შუმახერი (გერმანია) | ფერარი | 17 | 36 |
| 8 ჯეკი სტიუარტი (დ. ბრიტანეთი) | ტირელი | 15 | 27 |
| ნიკი ლაუდა (ავსტრია) | ფერარი | 15 | 25 |
| 10 მიკა ჰაკინენი (ფინეთი) | მაკლარენი | 14 | 14 |
| 11 ნელსონ პიკე (ბრაზილია) | ბრებემი | 13 | 23 |
| ალბერტო ასკარი (იტალია) | ფერარი | 13 | 13 |
| 13 მარიო ანდრეტი (აშშ) | ლოტუსი | 11 | 12 |
| ალან ჯოუნსი (ავსტრალია) | უილიამსი | 11 | 12 |
| ჟაკ ვილნევი (კანადა) | უილიამსი | 11 | 11 |
| 16 გრემ ჰილი (დ. ბრიტანეთი) | BRM | 10 | 14 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

იყიდება
ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.
დაგვიკავშირდით: 8 99 51-15-19; 95-88-61; 52-68-90

## ლჰოცზე 2000




# ბიჭები ჯომოლუნგმას ჩრდილზე ადიან

ბოლო წლებში ქართველი მთამსვლელები საკმაოდ გაუშინაურდნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალებს, მაგრამ ისინი აქამდე რვაათასიანებზე სხვათა მიერ მრავალგზის გაკვალული ბილიკებით ადიოდნენ იმ ბუმბერაზებზე ან ისეთივე გზებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ამდენად, მათი სახელები ამ გოლიათთა დალაშქვრის ისტორიაში მხოლოდ ქრონოლოგიაში თუ მოიხსენიებოდა. ახლა კი, როგორც ვიუწყებოდით, ჩვენს ოთხ მთამსვლელს: აფი გიგანს, ბიძინა გუჯაბიძეს და გელა ოთარაშვილს ბენო ქაშაკაშვილის მეთაურობით ხუთ რუსთან ერთად განუზრახავს ჰიმალაის ერთ-ერთ დაულაშქრავ ცათამბჯენზე კვალის დატოვება.

მკითხველთა ნაწილმა შესაძლოა იფიქროს, კი მაგრამ, რა ხანია დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი დალაშქრულია და ჩვენმა მთამსვლელებმა რუსებთან ერთად მეთხუთმეტე სადღა აღმოაჩინესო.

საქმე ისა, რომ იმ ბუმბერაზთაგან ხუთი მრავალთავიანია, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. მაგალითად, კანჩენჯანღას ოთხი ასეთი თავი აქვს, ლჰოცზეს და ანაპურნას — სამ-სამი, მაკალუსა და ბროუდ პიკს — ორ-ორი. ამათგან, მიუხედავად რამდენიმე ცდისა, ერთადერთი თავიღა დარჩა დაუპყრობელი. ეს გახლავთ ლჰოცზეს შუათანა პიკი.

ლჰოცზე ამ მასივის ტიბეტური სახელწოდებაა და სამხრეთის მწვერვალს ნიშნავს. იგი დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან სამხრეთით სამი კილომეტრით განზე გამდგარა და მის „ჩრდილქვეშაა". სამხრეთიდან ევერესტი, ლჰოცზეს სამივე თავი და იქვე გაწოლილი შვიდიათასიანი ნეფცზეს მასივი ერთ უშველებელ მთლიან პირამიდასავით აყუდებულა.

ალბათ ამიტომაც წინათ ლჰოცზე ევერესტის წინა, გვერდით მწვერვალად მიაჩნდათ, მერე კი აღმოჩნდა, რომ იგი დედამიწის უმაღლესი პიკის სამხრეთ უნაგირადან მკვეთრად გამოყოფილი იყო.

ლჰოცზეს მასივის ოთხივე თავი 1300-მეტრიან ქედზეა წამომართული. ამათგან უმაღლეს ანუ მთავარ მწვერვალზე (8501 მ. ზოგი მონაცემით 8511 და 8516) პირველად 1956 წლის გაზაფხულზე შვეიცარიელები ფრიც ლუხზინგერი და ერნსტ რაისმანი ავიდნენ.

ამ ოთხთავა გოლიათის მომდევნო მწვერვალი, რომელიც ადამიანებს დანებდა, აღმოსავლეთის მწვერვალი იყო. მას ლჰოცზე შარსაც უწოდებენ და მისი სიმაღლე 8400 მეტრია (ზოგი მონაცემით 8398). მასზე პირველამსვლელები არიან ავსტრიელთა ექსპედიციის წევრები ზეპ მაიერლი და როლფ ვალტერი, რომლებმაც მიზანს 1970 წლის 12 ნოემბერს მიაღწიეს. ძირითადად სწორედ ამ დროიდან იწყება ლჰოცზეზე ხშირი იერიშები, რის შედეგადაც იგი მრავალგზის დაილაშქრა. ამათგან უთუოდ აღსანიშნავია აგრეთვე 1996 წლის 17 მაისს ყაზახეთის მთამსვლელ ანატოლი ბუკრეევის საბაზო ბანაკიდან მთავარ მწვერვალზე სოლო გავარდნა, რასაც 21 საათი და 16 წუთი მოანდომა მაშინ, როცა ექსპედიციები ჩვეულებრივ იქ ასვლას თვენახევარ-ორ თვეს ანდომებენ.

რაც შეეხება ლჰოცზეს ცენტრალურ თავს (8400, ზოგი მონაცემით 8426 მ.), რომელზეც ჩვენი მთამსვლელები სალაშქროდ გუშინ გაემგზავრნენ თბილისიდან, მასზე დღემდე აუსვლელობა იმით აიხსნება, რომ ამ მწვერვალს ძალზე ფრიალო კლდეები და დაჩეხილი რელიეფი აქვს, რაც ასეთი სიმაღლის პიკს თავისი შედარებით ტანმორჩილი თანამოძმეებისგან განსხვავებით უკარებას ხდის. ამ შუათანა მწვერვალზე ასავლელად აუცილებელია ჯერ მთავარი პიკის ან ლჰოცზე შარის დალაშქვრა, იქიდან კი ტრავერსით 1000-მეტრიანი დაჩეხილი ქედის გავლა და ბოლოს ცენტრალურ მწვერვალზე ასვლა.

ცალ-ცალკე მთავარ მწვერვალზე ან ლჰოცზე შარზე ასვლა თავისთავად მართლაც დიდად საშარო და ცალკეული ექსპედიციების საქმეა. მაგალითად, ლჰოცზე შარზე დღემდე მოწყობილი 27 ექსპედიციიდან მიზანს მხოლოდ 7 გუნდის 20-მა მთამსვლელმა მიაღწია და ამდენივე დაიღუპა. ამის გათვალისწინებით ლჰოცზეს მთავარი პიკიდან ან ლჰოცზე შარიდან შუათანა მწვერვალზე ასასვლელად დამატებით 8300 მეტრი სიმაღლეზე და უფრო ზემოთაც ტრავერსის განხორციელება, რასაც კიდევ რამდენიმე დღე და უზარმაზარი ენერგია სჭირდება, მეტად საძნელოა. ამიტომაც ლჰოცზეს ცენტრალურ მწვერვალზე დღემდე ადამიანის ფეხი არ დადგმულა, მაშინ, როცა დანარჩენ რვაათასიანთა ყველა მწვერვალი დალაშქრულია, თანაც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო კედლებიდან და ქედებიდან.

ცენტრალურ ლჰოცზეზე მთავრაი პიკიდან თუ ლჰოცზე შარიდან ტრავერსი რამდენიმე ექსპედიციამ დაისახა მიზნად, მათ შორის პირველად დიდბრიტანელებმა (1987 წელს), მერე შვეიცარიელებმა (1988) და ორჯერ რუსებმა (1998-99), მაგრამ პირველებმა ლჰოცზე შარზე მხოლოდ 7 ათას მეტრამდე ააღწიეს, შვეიცარიელები კი ავიდნენ ლჰოცზე შარზე, მაგრამ გზის გაგრძელება აღარ უცდიათ. ასევე დაემართათ რუსებსაც, რომლებმაც მიზნის მიღწევა ჯერ მთავარი მწვერვალის გავლით სცადეს, მერე ლჰოცზე შარიდან, მაგრამ საშინელმა უამინდობამ მათაც მიზანზე ხელი აალებინა, ამასთან, მათი ერთ-ერთი ექსპედიციისას დაშვებისას დაიღუპა ცნობილი მთამსვლელი ვლადიმერ ბაშკიროვი. მისი ცხედარი მთავარ მწვერვალთან ახლოს, 8200 მეტრის სიმაღლეზე განისვენებს.

„სპორტ ექსპრესი" იუწყება, რომ რუსებს, ქართველებთან ერთად, მწვერვალზე ასვლასთან ერთად ბაშკიროვის ჩამოსვენება და დაკრძალვაც მიზნად დაუსახავთო. ეს ამბავი ექსპედიციის წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ ჩვენგან რომ შეიტყო, შეიცხადა, ჩვენ ჩვენი დაღუპული მთამსვლელებისთვის ვერ მიგვიხედია და იმ უბედურს როგორ ჩამოვასვენებთო.

მართლაც, 8200 მეტრის სიმაღლიდან ჯერ არავინ ჩამოუსვენებიათ, რადგან კაცს იქ საკუთარი თავის ტარება უჭირს, ბევრიც კი ქანცის გაწყვეტის შედეგად ვარდება, მოძრაობა უჭირს და იღუპება.

ასეა თუ ისე, ჩვენი მთამსვლელების მიზანი ხუთ რუსთან ერთად ესაა — ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე ასვლა და იქიდან ფეხშეუდგმელ ცენტრალურ პიკზე ტრავერსი, რაც აქამდე ვერავინ შესძლო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## გერმანია

XXVI ტური

**უნტერჰახინგი 1:0 ულმი**

1:0 შტრემელი (84)

**არმინია 2:2 ჰანზა**

0:1 ლანცი (19), 1:1 მაული (55), 1:2 ვიბრანი (66), 2:2 სტრატოსი (74 პ)

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

**ოფენბახი 0:1 ზანქტ პაული**

**ბერლინი 3:1 ფიურტი**

## იტალია

XXVII ტური

**მილანი 2:0 იუვენტუსი**

1:0, 2:0 შევჩენკო (45, 84 პ)

## საფრანგეთი

II დივიზიონი

30-ე ტური. ნიორი — ლავალი 3:2; ვისკეალი — ნიმი 0:0; ტულუზი — ნიცა 0:0; ლუანი — აიაჩო 1:1; კრეტეი — შატორუ 0:1; ლორიანი — გენიონი 0:3; ვალანსი — სოშო 2:1; კაენი — ამიენი 4:1

## ჰოლანდია

XXVII ტური

**ალკმაარი 2:0 დენ ბოსხი**

**სიტარდი 3:1 მაასტრიხტი**

**ტილბურგი 0:0 პსვ**

## რუსეთი

I ტური

**ლოკომოტივი 1:0 ცსკა**

1:0 ჯანაშია (76)

## ბელგია

XXVIII ტური

**სტანდარდი 0:1 ბრიუგე**

## ჩეხეთი

XXII ტური

**ტეპლიცე 2:0 ბოჰემიანსი**

## თურქეთი

XXVI ტური

**გაზიანთეფი 0:0 დენიზლი**

## ავსტრია

XXVI ტური

**შტურმი 3:2 რიდი**

---

23 მარტი

**ფლორიდა — ბოსტონი 3:1**

0:0 0:0 3:1

0:1 მანი 44'12 (6); 1:1 პერიში 45'57 (24); 2:1 სტიუარტი 48'48 (9); 3:1 პ. ბურე 58'58 (52)

პაველ ბურემ (ბოლო 7 მატჩში 7 გოლი და 5 პასი) სნაიპერთა შორის ლიდერობა გაიმყარა და ბოსტონის ბოლო იმედები დაასამარა.

**ბუფალო — კალგარი 4:2**

1:1 0:0 3:1

0:1 ბიურო 1'15 (3); 1:1 შატანი 2'56 (30); 1:2 კოუენი 47'53 (3); 2:2 სანდერსონი 49'46 (13); 3:2 მაკი 57'52 (9); 4:2 შატანი 58'49 (31)

ბუფალოს კაპიტანი მაიკ პეკა დაუბრუნდა, რომელმაც რამდენიმე ძალისმიერი ილეთით პარტნიორები შეაგულიანა და გუნდის ზედიზედ მესამე გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

**ოტავა — ტორონტო 3:2**

2:1 0:1 1:0

1:0 ზამუნერი 5'02 (9); 2:0 დაკელი 13'08 (10); 2:1 ანტროპოვი 19'03 (10); 2:2 პერო 32'19 (17); 3:2 ბონკი 50'12 (20)

**ფილადელფია — ლოს ანჯელესი 2:3**

0:0 1:0 1:2 0:1

1:0 ჰალი 33'38 (9); 1:1 რობიტაილი 49'36 (34); 2:1 ოჯიკი 50'33 (8); 2:2 შტუმპელი 57'45 (16); 2:3 შტუმპელი 61'20 (17)

მატჩის გმირმა, ლოსანჯელესელმა იოზეფ შტუმპელმა (2+1) წლეულს მესამედ გაიტანა ოვერტაიმში.

**რეინჯერსი — ვაშინგტონი 1:4**

0:1 1:1 0:2

0:1 საიმონი 8'05 (28); 1:1 იორკი 30'33 (25); 1:2 ოუთსი 35'45 (14); 1:3 ჰალპერნი 55'10 (14); 1:4 ჰალპერნი 59'01 (15)

მშვიდობით, რეინჯერსო! ლიგის ყველაზე მდიდარი კლუბი საპლეიოფო რბოლას გამოეთიშა.

**ნეშვილი — დეტროიტი 3:6**

3:1 0:4 0:1

1:0 ფიცჯერალდი 8'16 (12); 1:1 რესტი 10'30 (5); 2:1 იაჩმენევი 12'31 (15); 3:1 ჩელბერგი 14'42 (23); 3:2 დანდენო 21'40 (6); 3:3 მერფი 24'28 (8); 3:4 ფიოდოროვი 49'23 (24); 3:5 ჰოლმსტრიომი 55'38 (11); 3:6 ჯილკრისტი 58'53 (3)

დეტროიტმა, ამ ბოლო დროს მოყოჩაღებული სერგეი ფიოდოროვის (1+2) წყალობით, მეორე პერიოდში მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

**ფინიქსი — კოლორადო 2:4**

1:3 0:0 1:1

0:1 საკიკი 2'36 (24); 0:2 საკიკი 3'22 (25); 1:2 ლეტოვსკი 8'22 (17); 1:3 ფორსბერგი 12'34 (14); 1:4 საკიკი 50'12 (26); 2:4 დოუნი 56'28 (24)

ფინიქსს, ზედიზედ მეხუთედ, შეუდარებელმა ჯო საკიკმა (ბოლო 11 თამაშში 15 გოლი!) წააგებინა, რომელმაც სეზონში მეორე ჰეთ-თრიქის ხარჯზე კარიერაში მე-400 გოლი მიითვალა.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ბუფალოდან

ბუფალოელი დუგ გილმორი და კალგარელთა მეკარე ფრედ ბრეტუეიტი ერთმანეთს შესკდომიან

## სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | *74* | *41* | *8* | *5* | *25* | *224:181* | *95* |
| *ვაშინგტონი* | *74* | *40* | *11* | *1* | *23* | *203:173* | *92* |
| *ტორონტო* | *74* | *40* | *7* | *3* | *23* | *224:200* | *90* |
| *ფილადელფია* | *74* | *39* | *12* | *3* | *23* | *214:165* | *93* |
| ფლორიდა | 74 | 39 | 5 | 5 | 30 | 219:189 | 88 |
| ოტავა | 73 | 37 | 11 | 2 | 25 | 218:186 | 87 |
| პიტსბურგი | 73 | 31 | 8 | 6 | 34 | 216:214 | 76 |
| ბუფალო | 75 | 31 | 10 | 3 | 34 | 195:195 | 75 |
| მონრეალი | 74 | 31 | 9 | 3 | 34 | 173:174 | 74 |
| კაროლინა | 74 | 31 | 10 | 0 | 33 | 197:201 | 72 |
| რეინჯერსი | 76 | 29 | 11 | 3 | 36 | 212:219 | 72 |
| ბოსტონი | 74 | 23 | 17 | 6 | 34 | 189:220 | 69 |
| აილენდერსი | 74 | 22 | 8 | 1 | 44 | 177:248 | 53 |
| ტამპა | 72 | 17 | 8 | 7 | 47 | 180:270 | 49 |
| ატლანტა | 72 | 13 | 7 | 4 | 52 | 149:272 | 37 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | *73* | *47* | *9* | *0* | *17* | *223:145* | *103* |
| *დალასი* | *73* | *40* | *8* | *4* | *25* | *187:163* | *92* |
| კოლორადო | 75 | 35 | 11 | 1 | 29 | 213:190 | 82 |
| *დეტროიტი* | *75* | *44* | *9* | *2* | *22* | *248:193* | *99* |
| ლოს ანჯელესი | 74 | 35 | 9 | 4 | 30 | 225:213 | 83 |
| ედმონტონი | 74 | 28 | 16 | 8 | 30 | 203:191 | 80 |
| ფინიქსი | 74 | 73 | 35 | 7 | 31 | 211:204 | 79 |
| სან ხოსე | 74 | 31 | 9 | 7 | 34 | 207:199 | 78 |
| ანაჰაიმი | 75 | 31 | 12 | 2 | 32 | 198:203 | 76 |
| კალგარი | 75 | 29 | 9 | 5 | 37 | 194:235 | 72 |
| ჩიკაგო | 73 | 29 | 8 | 2 | 36 | 219:225 | 68 |
| ნეშვილი | 75 | 26 | 7 | 7 | 42 | 188:221 | 66 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli